პოლიტიკის დოკუმენტი

ევროპული ღირებულებების სწავლება საქართველოს სკოლებში

With the support of the Erasmus+ Programme of the European Union

ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY

Advancing European values and standards in Georgian schools (EU-GS) 2020-2022

ევროპული ღირებულებების სწავლება საქართველოს სკოლებში

ეძღვნება ევროპის უნივერსიტეტის პროფესორისა და წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის კვლევის დიზაინის ავტორის, გიორგი ღლონტის, ხსოვნას

With the support of the Erasmus+ Programme of the European Union

ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY

Advancing European values and standards in Georgian schools (EU-GS) 2020-2022

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი შემუშავებულია ერასმუს+-ის ჟან მონეს პროექტის – „ევროპული ღირებულებებისა და სტანდარტების განვითარება ქართულ სკოლებში“ (620893-EPP-1-2020-1-GE-EPPJMO-PROJECT) – ფარგლებში. პროექტს ახორციელებს შპს ევროპის უნივერსიტეტი.

ევროპის უნივერსიტეტი არის კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებულ და ევროპული სტანდარტის შესაბამის სწავლა-სწავლების პროცესს.

ევროპის უნივერსიტეტისთვის ევროპეიზაცია წარმოადგენს მისი ინტერნაციონალიზაციისა და განვითარების სტრატეგიის ქვაკუთხედს, რაზეც თავად ინსტიტუციის სახელწოდებაც მეტყველებს.

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის მიზანია საქართველოს საშუალო განათლების სისტემის ევროპეიზაციის გზაზე მდგარ გამოწვევებთან დაკავშირებით განათლების ექსპერტების, სკოლის დირექტორების, განათლების სამინისტროსა და სხვა შესაბამის ადგილობრივ თუ საერთაშორისო აქტორთა შორის კრიტიკული განსჯის წახალისება და გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე, ზოგადი განათლების პოლიტიკის შემდგომი განვითარებისკენ მოწოდება.

„პუბლიკაცია მომზადებულია ევროკომისიის მხარდაჭერით. მასში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს. ევროკომისია არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე“.

© ევროპის უნივერსიტეტი, 2021
76 დავით გურამიშვილის გამზირი, 0141 თბილისი, საქართველო
ევროპის უნივერსიტეტის ვებგვერდი: www.eu.edu.ge
Email: info@eu.edu.ge, ტელ: (+995 32) 2 000 171

ავტორები: ლევან მახაშვილი
ნიკოლოზ ფარჯანაძე
ნიკა ჩიტაძე
გიორგი გობრონიძე

ISBN 978-9941-8-4010-4

აბსტრაქტი

პოლიტიკის დოკუმენტი მიმოიხილავს საქართველოს საჯარო სკოლებში ევროპული ღირებულებების, კერძოდ, დემოკრატიისა და ტოლერანტობის, სწავლა-სწავლების მდგომარეობას. შედარებისთვის გაანალიზებულია ევროკავშირის რამდენიმე წევრი სახელმწიფოს მაგალითიც. კვლევის შედეგები აჩვენებს მნიშვნელოვან სხვაობას პოლიტიკასა და პრაქტიკას, პოლიტიკის ზოგად მიზნებსა და ყოველდღიურ ცხოვრებაში მათ განხორციელებას შორის. აქედან გამომდინარე, **პოლიტიკის დოკუმენტი** დაინტერესებულ მხარეებს სთავაზობს შესაბამის რეკომენდაციებს, რომლებიც მიზნად ისახავს საჯარო სკოლებში აღნიშნული გამოწვევის აღმოფხვრასა და ევროპეიზაციის პროცესში მყოფი საქართველოს განათლების სისტემის მხარდაჭერას.

საკვანძო სიტყვები: საერთო ღირებულებების სწავლება (TCV), ევროპული ღირებულებები, საჯარო სკოლები, ზოგადი განათლება, ევროპეიზაცია, საქართველო.

შესავალი

„სწავლაში ძირითადი მნიშვნელობა იმ პროდუქტს კი არა აქვს, რომელსაც იგი კონკრეტული ჩვევის ან კონკრეტული შინაარსის მქონე ცოდნის სახით გვაძლევს, არამედ განსაზღვრული მიმართულებით მოსწავლის ძალების განვითარებას“.

*დიმიტრი უზნაძე**

1991 წელს, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველო საბჭოთა მემკვიდრეობის, ფუნქციამოშლილი ინსტიტუტებისა და განათლების სისტემაში სტრატეგიული ხედვის არქონის გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. მემკვიდრეობით მიღებული საბჭოთა განათლების სისტემის მთავარი მახასიათებლები, მაგალითად, ტოტალიტარული მმართველობა, ძლიერი ცენტრალიზაცია, ერთიანი იდეოლოგიური საგანმანათლებლო პროგრამები, შეფასების სუსტი სისტემა, ფინანსებისა და ადამიანური რესურსების არაადეკვატური და გაუმჭვირვალე მართვა, საზოგადოების შეზღუდული მონაწილეობა და კერძო სექტორის არარსებობა (Sharvashidze, 2003, გვ. 37) 1991-2003 წლების პერიოდში ფართოდ იყო გავრცელებული.

2003 წლის დემოკრატიულმა ცვლილებებმა ახალი ენერგია მისცა დაწყებითი და საშუალო განათლების სისტემის გამოცოცხლებას ევროპული სტანდარტების, ნორმებისა და ღირებულებების შესაბამისად. ევროპული ინტეგრაციის მიმართულებით საქართველოს დემოკრატიული განვითარებისა და პროგრესის პარალელურად, სკოლების ევროპეიზაციის მიზნით სხვადასხვა ფორმითა და მასშტაბით მიმდინარეობდა ახალი ცვლილებები, რომლებიც მოიცავდა ინფრასტრუქტურას, სწავლების მეთოდოლოგიას, სასწავლო გეგმას, ხარისხიან განათლებაზე ინკლუზიურ და თანასწორ წვდომას, ევროპული ღირებულებების წახალისებასა და სხვ. ცოდნის, პროგრესისა და ცვალებადი გარემოს გათვალისწინებით, სკოლებში ევროპული ღირებულებების დანერგვის საკითხში 2003 წლიდან დღემდე ეროვნული სასწავლო გეგმა რამდენჯერმე შეიცვალა და გაუმჯობესდა.

მიუხედავად ამისა, საქართველოს განათლების სისტემა კვლავ ჩამორჩება სხვა ევროპულ ქვეყნებს. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანგარიში (OECD, 2019) ჩვენი

* დიმიტრი უზნაძე — გამოჩენილი ქართველი ფსიქოლოგი. მისი სამეცნიერო საქმიანობის ძირითადი სფეროები იყო ფილოსოფია, ფილოსოფიის ისტორია, აღზრდის თეორია, ექსპერიმენტული პედაგოგიკა და სხვა. დიმიტრი უზნაძის „განწყობის ფსიქოლოგია“ თანამედროვე ფსიქოლოგიის მეცნიერების მნიშვნელოვან მიღწევად მიიჩნევა.

ანალიზისთვის კარგი საწყისი შეიძლება იყოს. დოკუმენტი განმარტავს, რომ „საქართველომ არსებითი პროგრესი განიცადა განათლებაზე წვდომის გაფართოებასა და ხარისხის გაუმჯობესებაში. თუმცა, საქართველოში ბავშვების უმეტესობა სკოლებს ცხოვრებისა და მუშაობისთვის საბაზისო კომპეტენციების გარეშე ასრულებს“ (გვ. 1). იგი ასევე ხაზს უსვამს, რომ წარმატებების მიუხედავად, ყველა ბავშვის სწავლისა და განვითარებისათვის, საქართველოს განათლების სისტემაში საჭიროა სტრატეგიული და მიზანმიმართული რეფორმების გატარება.

აღნიშნული ანგარიში გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ მიუხედავად პოლიტიკის დოკუმენტების საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობისა, მათი პრაქტიკაში განხორციელება, ანუ რეალურ ცხოვრებაში მაღალი ხარისხის განათლების შეთავაზება, ჯერ ისევ გამოწვევად რჩება.

ამ გამოწვევის უგულებელყოფა შეუძლებელია. მართლაც, ევროპული ღირებულებები ხელს უწყობენ ქვეყანაში დემოკრატიული ფუნდამენტის განმტკიცებას, დემოკრატიული ფუნდამენტი კი, თავის მხრივ, ახალისებს ევროპული ღირებულებებისადმი მიმღებლობას. ქართული დემოკრატიის გრძელვადიანი მდგრადობისა და სიჯანსაღისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია სკოლებში ევროპული ღირებულებების შეტანა და დანერგვა. გარდა ამისა, ევროპული ღირებულებების სწავლება და სწავლა ამაღლებს სასკოლო პროგრამების ხარისხს.

შესაბამისად, ამ საკითხის საზოგადოებრივი მნიშვნელობის გათვალისწინებით, კვლევა ყურადღებას ამახვილებს საერთო ევროპული ღირებულებების სწავლებაზე, როგორც საქართველოში ზოგადი განათლების სისტემის ევროპეიზაციის პროცესის (დემოკრატიზაციის ძლიერი ნაწილით) უმნიშვნელოვანეს კომპონენტზე. უფრო კონკრეტულად, **პოლიტიკის დოკუმენტის** მიზანია საქართველოს სკოლების ევროპეიზაციის პოლიტიკასა და პრაქტიკაში გამოწვევების იდენტიფიცირება და საუკეთესო გამოცდილების გაზიარებისა და რეკომენდაციების შეთავაზების გზით მათი გამოსწორება.

კვლევის აღნიშნული საგანი მჭიდრო კავშირშია ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე მიმდინარე საქართველოს ევროპეიზაციის პროცესთან (Chelidze, Kardava & Bragvadze, 2020). საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის ევროპეიზაციის პრობლემები დროულად და ეფექტიანად უნდა აღმოიფხვრას იმისათვის, რომ სკოლებმა დააკმაყოფილონ ევროპული საგანმანათლებლო სტანდარტები და ხელი შეუწყონ ევროპული საქართველოს დემოკრატიული, ტოლერანტული და პასუხისმგებლობიანი მოქალაქეების ჩამოყალიბებას.

კვლევის სფერო და საკვლევი კითხვები

აღნიშნული საკითხის გამოკვლევისთვის საჭიროა (1) საერთო ევროპული ღირებულებების რაობის გაგება, მისი კონცეპტუალიზაცია და ოპერაციონალიზაცია; (2) ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების თაობაზე არსებული შესაბამისი კვლევების მიმოხილვა იმის საჩვენებლად, თუ როგორ ვითარდება ერთიანი სკოლის მიდგომით მოსწავლეებში ღირებულებები; (3) გარკვევა, არის თუ არა ეს ევროპული ღირებულებები და ერთიანი სკოლის მიდგომა საქართველოს განათლების პოლიტიკის ნაწილი; (4) დადგენა, ამ მხრივ განათლების პოლიტიკა არის თუ არა პრაქტიკაში სათანადოდ განხორციელებული.

ეს კვლევა უპასუხებს შემდეგ საკვლევ კითხვებს:

- რა არის საერთო (ევროპული) ღირებულებები? როგორ ხდება მათი განმარტება?
- რა მნიშვნელობა აქვს სკოლებში საერთო ღირებულებების სწავლებას (TCV)?
- როგორ ისწავლება საერთო (ევროპული) ღირებულებები ევროკავშირის შერჩეულ წევრ ქვეყნებში? კერძოდ, როგორია საერთო ღირებულებების სწავლების პრაქტიკა ესტონეთში, ფინეთში, პოლონეთში, გერმანიასა და სლოვენიაში? ეს ქვეყნები შეირჩა იმიტომ, რომ მათ აქვთ საუკეთესო საგანმანათლებლო სისტემები; ფინეთის, ესტონეთისა და გერმანიის მოდელები ხარისხიანი განათლების მხრივ ხშირად გამორჩეულია; ესტონეთი, როგორც ყოფილი საბჭოთა ქვეყანა, პოლონეთი და სლოვენია – ყოფილი კომუნისტური ბლოკის სახელმწიფოები, დღეს კი სამივე მათგანი – ევროკავშირის წევრი ქვეყანა, საინტერესო და შესაბამისია საქართველოსთვის, ვინაიდან სამივე მათგანმა ევროკავშირის წევრობისთვის მასშტაბური გარდაქმნის პროცესი გაიარა.

- რა არის საერთო (ევროპული) ღირებულებების სწავლების პოლიტიკა საქართველოში? როგორ არეგულირებს ოფიციალური პოლიტიკის დოკუმენტები აღნიშნულ საკითხს?
- როგორია საერთო (ევროპული) ღირებულებების სწავლების პრაქტიკა საქართველოში? რა არის კვლევის მიგნებები ამ მიმართულებით?
- როგორ შეიძლება საქართველოში საერთო ღირებულებების სწავლების გაუმჯობესება? რა რეკომენდაციები შეიძლება გაიცეს დაინტერესებული მხარეებისთვის?

კვლევაში გამოყენებულია აღნიშნულ სფეროში არსებული საკვანძო რესურსები, კერძოდ, ევროპარლამენტის, Eurydice-ის და ICCS-ის სხვადასხვა წლის კვლევები, რომლებიც ეხება ევროპაში საერთო ღირებულებების სწავლებას, მოქალაქეობის შესახებ განათლებას, სამოქალაქო ცოდნას, დამოკიდებულებებსა და ჩართულობას. ეს წყაროები კონცეპტუალურად, თეორიულად და მეთოდოლოგიურად მნიშვნელოვანი ინფორმაციით ამდიდრებს ამ სფეროს.

მეთოდოლოგია

იმის შესასწავლად, თუ რამდენად ისწავლება ევროპული ღირებულებები საქართველოს სასკოლო პროგრამებში და რამდენად არის უზრუნველყოფილი ევროპული სტანდარტები საჯარო სკოლის განათლებაში, პროექტის კვლევის გუნდმა, რომელიც განათლების და ევროპათმცოდნეობის ექსპერტებისგან შედგება, კვლევისთვის გამოიყენა შემდეგი ინსტრუმენტები:

A. სამაგიდო კვლევა (მაგალითად, სასკოლო მასალის კონტენტანალიზი, აკადემიური ლიტერატურის მიმოხილვა, განათლების სახელმწიფო სტრატეგიების, სამოქმედო გეგმებისა და პოლიტიკის სხვა შესაბამისი დოკუმენტების შესწავლა, ევროკავშირისა და სხვა საერთაშორისო ვალდებულებების, პოლიტიკისა და განათლების სისტემის სტანდარტების ანალიზი, საუკეთესო ევროპული გამოცდილების გამოკვლევა და სხვ.);
B. საჭიროების შემთხვევაში, საჯარო დაწესებულებებიდან საქართველოს სკოლების შესახებ საჯაროდ მიუწვდომელი მონაცემების (მათ შორის, საკონტაქტო ინფორმაცია, ზომა, დემოგრაფიული მონაცემები) გამოთხოვა;
C. ევროპის უნივერსიტეტის და საქართველოს სხვა უნივერსიტეტების სტუდენტების შერჩევა, მათთვის თვისებრივი კვლევის მეთოდების სპეციალისტის მიერ ტრენინგის ჩატარება იმისთვის, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ საკმარისი ცოდნა და უნარები და შეეძლოთ ხელმძღვანელთან ერთად ფოკუსჯგუფების ჩატარება, საუბრის ჩაწერა, ტექსტის კოდირება;
D. ფოკუსჯგუფების ჩატარება თბილისის და საქართველოს რეგიონების (ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით) სკოლების მე-10, მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეების მონაწილეობით;
E. საჯარო სკოლის დირექტორებთან სიღრმისეული ინტერვიუების ჩატარება, მიღებული მონაცემების ანალიზი Nvivo კოდირების სისტემის საშუალებით.

პოლიტიკის დოკუმენტის სტრუქტურა

გამოკვლევა დაყოფილია შემდეგ ნაწილებად: პირველი თავი აღწერს პრობლემას, საკვლევ კითხვებს, კვლევის საგანს, მიზანსა და მეთოდოლოგიას. მეორე თავი ახდენს საერთო ევროპული ღირებულებების (კერძოდ, დემოკრატიისა და ტოლერანტობის) კონცეპტუალიზაციასა და ოპერაციონალიზაციას. მესამე თავი ყურადღებას ამახვილებს საერთო ევროპული ღირებულებების მნიშვნელობაზე და იკვლევს მას ევროკავშირის ცალკეული წევრი ქვეყნების მაგალითზე. მეოთხე თავი სწავლობს პოლიტიკის დონეზე საერთო ღირებულებების სწავლებას საქართველოში, აანალიზებს პოლიტიკის ოფიციალურ დოკუმენტებს. მეხუთე თავში მოცემულია კვლევის მიგნებები საქართველოს სკოლებში საერთო ღირებულებების სწავლების პრაქტიკის შესახებ. მეექვსე თავი მოიცავს რეკომენდაციებს დაინტერესებული მხარეებისთვის. მეშვიდე თავი წარმოადგენს კვლევის დასკვნას. გამოკვლევას ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.

აღნიშნული კვლევა ხორციელდება ევროკავშირის Erasmus+-ის ჟან მონეს პროექტის – „საქართველოს სკოლების ევროპეიზაცია“ (620893-EPP-1-2020-1-GE-EPPJMO-PROJECT) – ფარგლებში. ჟან მონეს პროექტი მიზნად ისახავს სკოლის მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის ევროპული ცოდნის გადაცემას; ასევე, განათლების ექსპერტებს, სკოლის დირექტორებს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებს, უნივერსიტეტებს, შესაბამის საერთაშორისო აქტორებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის აქტიური დისკუსიების წახალისებას, და საუკეთესო ევროპული პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარებას. პროექტის მიზანი აგრეთვე არის იმ არსებული გამოწვევების კრიტიკული გააზრების მხარდაჭერა, რაც ხელს უშლის სკოლების და, ზოგადად, საქართველოს განათლების სისტემის ევროპეიზაციას. ამასთან, ჟან მონეს პროექტი უზრუნველყოფს საქართველოში ცნობიერების ამაღლებას საერთაშორისო პარტნიორების, განსაკუთრებით, ევროკავშირის შესახებ, რომელსაც წვლილი შეაქვს საქართველოს დემოკრატიულ განვითარებასა და განათლების სისტემის გაუმჯობესებაში.

ჟან მონეს პროექტი რამდენიმე მიმართულებით უწყობს ხელს საკითხების აქტუალიზაციას: ამაღლებს ევროკავშირის, მისი პროცესებისა და სტანდარტების შესახებ ცოდნას; ხელს უწყობს ევროპული საკითხების, განსაკუთრებით ევროპული ღირებულებების, ევროპული განათლების, ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებისა და ევროპული ინტეგრაციის გზაზე აღებული სხვა ვალდებულებების შესაბამისად საქართველოში განათლების სისტემის ევროპეიზაციის შესახებ დისკუსიებსა და მათ გააზრებას. ჟან მონეს პროექტის ფარგლებში ჩატარებულ კვლევას თავისი წვლილი შეაქვს ამ მნიშვნელოვანი მიზნების მიღწევის საქმეში.

საერთო (ევროპული) ღირებულებები

წინამდებარე კვლევაში ღირებულებები გულისხმობს იმას, რასაც ადამიანები საკუთარ ცხოვრებაში, სხვებთან დამოკიდებულებაში, თემსა და საზოგადოებაში მიიჩნევენ მნიშვნელოვნად. დემოკრატიაც და ტოლერანტობაც მორალური ღირებულებებია იმ გაგებით, რომ ისინი აღწერენ იმას, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ სხვებთან ერთად სხვადასხვა საზოგადოებრივ სიტუაციაში. ყველა ადამიანს მეტ-ნაკლებად გამოკვეთილად აქვს (მორალური) ღირებულებები; ყველა საზოგადოებას აქვს გარკვეული (მორალური) ღირებულებები (Solomon, Watson & Battistich, 2001; Veugelers & Vedder, 2003; Nucci, Krettenhauer & Narvaez, 2014).

მორალურ ღირებულებებზე მუდმივად ახდენს გავლენას რელიგია, მსოფლმხედველობა, პოლიტიკური იდეოლოგიები და სხვ. უფრო კონსერვატიულ საზოგადოებებში არის ამ ღირებულებითი ორიენტაციის სისტემების მხრიდან მაღალი ხარისხის ზეგავლენის ტენდენცია. ნაკლებად კონსერვატიულ საზოგადოებებში ნაკლებია ასეთი ზეგავლენის ხარისხი და ადამიანებს ინსტიტუტებისგან/რეჟიმებისგან დამოუკიდებლად საკუთარი ღირებულებების ჩამოყალიბების/განვითარების უფრო მეტი თავისუფლება და შესაძლებლობა აქვთ.

საერთო ღირებულებები, აგრეთვე, საერთო წესები და ნორმები, ადამიანებისთვის ფუნდამენტური საკითხია იმისთვის, რომ იცხოვრონ ერთად და ჩამოყალიბდნენ როგორც თემი, საზოგადოება და სახელმწიფო (Putnam, 2000). საერთო ღირებულებები შესაძლებელია იყოს ცვალებადი, იცვლებოდეს გარკვეულ დროში გარკვეული პირობების გათვალისწინებით. თუმცა, ისინი ჯგუფის მიერ არის შეთანხმებული და მიღებული.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში იზრდება კავშირი მორალურობასა და პოლიტიკას შორის. პოლიტიკოსები უფრო ხშირად იყენებენ ღირებულებებს საკუთარი იდეოლოგიის გასამართლებლად; ღირებულებები პოლიტიკოსების ქმედებების ლეგიტიმაციას ახდენენ. ლოგიკურია ამ მკაფიო კავშირის გამოკვეთა, ვინაიდან „დემოკრატია და ტოლერანტობა პოლიტიკური ღირებულებებია, რომლებსაც ძლიერი მორალური კომპონენტი გააჩნია. ისინი გამოხატავენ იდეებს ერთად ცხოვრების თაობაზე“ (European Parliament, 2017, გვ. 15-16).

ღირებულება ცვალებადი კონცეფციაა როგორც ფურცელზე, ისე ცხოვრებაში. ყველა საზოგადოებას ღირებულებების განსხვავებული გაგება აქვს, რაც დამოკიდებულია მათ სოციალურ, კულტურულ, ისტორიულ და პოლიტიკურ კონტექსტზე. ათასწლეულების მანძილზე გრძელდება დისკუსია, თუ რას მოიცავს საერთო ღირებულება, საზოგადოებაში რომელი ღირებულების მიღება და წახალისება არის შესაძლებელი. ამ მხრივ ევროკავშირი შედარებით უფრო მკაფიოდ გამოხატავს თავის პოზიციას.

ევროკავშირი ევროპულ ძალებს შორის საუკუნეების მანძილზე მიმდინარე მტრობისა და კონფრონტაციის გამანადგურებელი შედეგებისგან აღმოცენდა. მისი შექმნა მიზნად ისახავდა საერთო საკითხებზე ყურადღების გამახვილებას და არა — ეროვნული განსხვავებების აღმოფხვრას. დღემდე არის ბევრი საკითხი, რომლებიც ყოფს ევროპას, თუმცა, ის, რაც ევროპულ პროექტს ნამდვილ წარმატებად აქცევს, არის მის ფუნდამენტში არსებული საერთო ღირებულებები. კერძოდ, ევროკავშირის დაფუძნების დღიდან დემოკრატია და ტოლერანტობა ორგანიზაციის და მისი წევრი სახელმწიფოების მთავარი საყრდენია. მართლაც, სხვა ქვეყნები და სისტემები შეიძლება ასევე აღიარებდნენ და პატივს სცემდნენ დემოკრატიას და ტოლერანტობას, როგორც წარმმართველ პრინციპებსა და ღირებულებებს, თუმცა, ევროკავშირის და მისი წევრი ქვეყნების ისტორიული მემკვიდრეობის გათვალისწინებით, სწორედ ევროკავშირია გამორჩეულად უნიკალური „საზოგადოების, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და პოლიტიკის ორგანიზებისა და ერთობლივად ცხოვრების პროცესში დემოკრატიის და ტოლერანტობის, როგორც წარმმართველი პრინციპების“ პრიორიტეტულად მიჩნევის საქმეში. ეს საერთო ევროპული ღირებულებები აგრეთვე ქმნიან საძირკველს ევროკავშირში ყველა დონის განათლებისთვის.

2015 წლის 17 მარტს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების განათლების მინისტრებმა მიიღეს „დეკლარაცია განათლების საშუალებით მოქალაქეობის და თავისუფლების, ტოლერანტობისა და არადისკრიმინაციის საერთო ღირებულებების წახალისების შესახებ“. უფრო მეტიც, საერთო ღირებულებები ასახულია ევროკავშირის სამართლებრივ საფუძვლებში. კერძოდ, ევროკავშირის ხელშეკრულების მეორე მუხლში შენიშნულია, რომ „ევროკავშირი ეფუძნება ადამიანის ღირსების, თავისუფლების, დემოკრატიის, თანასწორობის, კანონის უზენაესობის ღირებულებების და უმცირესობის წევრთა უფლებების პატივისცემას. ეს ღირებულებები საერთოა ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყნისთვის, რომელთა მიზანია ისეთი საზოგადოების შექმნა, სადაც უზენაესია პლურალიზმი, არადისკრიმინაცია, ტოლერანტობა, სამართალი, სოლიდარობა და გენდერული თანასწორობა“ (Official Journal of the European Union, 2016). ნათელია, რომ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს მკაფიოდ აქვთ გააზრებული მიმღებლობა და კონსენსუსი ამ საერთო ღირებულებებთან დაკავშირებით. სწორედ ამიტომ ვუწოდებთ მათ ამ ნაშრომში „საერთო ევროპულ ღირებულებებს“.

ღირებულებების ჩამოყალიბება არ არის ავტომატური ან გარანტირებული პროცესი. საჭიროა მათი მუდმივი დამუშავება, შეფასება და განვითარება. აგრეთვე, გრძელვადიანი მდგრადობისთვის ისინი საჭიროებენ მუდმივ მხარდაჭერას და საზოგადოებაში, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობებსა და საზოგადოების ახალ წევრებში (მაგალითად, მიგრანტებში), წახალისებას. განათლების სისტემა იმგვარად უნდა იყო შემუშავებული, რომ ეფექტიანად მოხდეს ამ მნიშვნელოვანი და გამოწვევებით სავსე მიზნის მიღწევა – საზოგადოებაში დემოკრატიისა და ტოლერანტობის საერთო ღირებულებების კულტივაცია და წახალისება.

განათლება & ტრენინგი (ET 2020), სტრატეგიული ჩარჩო, რომელსაც ევროკავშირის წევრი ქვეყნების მხარდასაჭერად ორგანიზაცია 2010-2020 წლებში იყენებდა დიალოგის, ერთობლივი სწავლისა და შედარებითი კვლევების წახალისებისთვის, გამოყოფს 2020 წლისთვის ევროკავშირის დონის ოთხ საერთო ამოცანას:

1. მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისა და მობილობის რეალობად ქცევა;
2. განათლებისა და ტრენინგის ხარისხისა და ეფექტიანობის გაუმჯობესება;
3. თანასწორობის, სოციალური ერთიანობისა და აქტიური მოქალაქეობის წახალისება;
4. კრეატიულობისა და ინოვაციის, მათ შორის, მეწარმეობის განმტკიცება განათლებისა და ტრენინგის ყველა დონეზე.

აქტიური მოქალაქეობისა და სოციალური ერთიანობის წახალისება ჩვენი კვლევის განსაკუთრებული ინტერესის საგანია. ET-ის ჩარჩოს გზით ორივე

მათგანი ევროკავშირის განათლების პოლიტიკის ნაწილია.

2015 წლის პარიზის დეკლარაციამ კიდევ უფრო მეტად შეუწყო ხელი ინკლუზიისა და ფუნდამენტური ღირებულებების წახალისებას და გამოყო ოთხი პრიორიტეტი ევროკავშირის დონეზე თანამშრომლობისთვის (European Parliament, 2017, გვ. 12):

1. „ახალგაზრდა ადამიანების მიერ სოციალური, სამოქალაქო და კულტურათაშორისი კომპეტენციების შეძენის უზრუნველყოფა დემოკრატიული ღირებულებების და ფუნდამენტური უფლებების, სოციალური ინკლუზიურობის, არადისკრიმინაციის და აქტიური მოქალაქეობის წახალისების გზით;
2. კრიტიკული აზროვნების და მედიაწიგნიერების გაღრმავება, კერძოდ, ინტერნეტის და სოციალური მედიის გამოყენებაში, დისკრიმინაციისა და ინდოქტრინიზაციის წინააღმდეგ მედეგობის განვითარებისთვის;
3. ნაკლები შესაძლებლობების მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების განათლების წახალისება მათ საჭიროებებზე განათლებისა და ტრენინგის სისტემის ადაპტირების უზრუნველყოფით;
4. კულტურათაშორისი დიალოგის ხელშეწყობა სწავლების ყველა ფორმის გზით, ყველა სხვა პოლიტიკასა და დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობით.“

აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ საერთო ღირებულებებსა და მოქალაქეობაზე ევროკავშირის პოლიტიკას გააჩნია ოთხი საყრდენი:

1. ყურადღების გაზრდა, ცნობიერების ამაღლება;
2. საუკეთესო პრაქტიკების გაცვლის წახალისება;
3. კვლევის საშუალებით ინფორმაციის მოგროვება;
4. რჩევისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

დემოკრატია და ტოლერანტობა

საერთო ევროპულ ღირებულებებში კვლევა მოიაზრებს დემოკრატიასა და ტოლერანტობას. ორივე მათგანი ევროპული მორალური და პოლიტიკური ტრადიციისთვის ფუნდამენტური საკითხია და ისტორიით არის განმტკიცებული. მათი ძლიერი კავშირი ადამიანის უფლებებთან მსოფლიოს სხვა ქვეყნებისთვისაც მისაღებს ხდის ამ ფასეულობებს.

დემოკრატიასა და ტოლერანტობაზე საუბრისას აუცილებელია ამ რთული და აბსტრაქტული კონცეფციების ოპერაციონალიზაცია. ევროპარლამენტის (2017) კვლევა ამ მხრივ შესაძლოა ყველაზე მნიშვნელოვანი იყოს – იგი განასხვავებს დემოკრატიის სამ (პოლიტიკური მონაწილეობა, დემოკრატიული პოლიტიკა, დემოკრატიული საზოგადოება) და ტოლერანტობის სამ (პიროვნებათშორისი ურთიერთობები, ტოლერანტობა სხვა სოციალური და კულტურული ჯგუფების მიმართ, ინკლუზიური საზოგადოება) კომპონენტს.

დემოკრატია

დემოკრატია უფრო მეტია, ვიდრე არჩევისა და მონაწილეობის პოლიტიკური სისტემის მარტივი გაგება. შეიძლება ითქვას, რომ დემოკრატია არის „კულტურული გზა ცხოვრებისა, სადაც პატივს სცემენ უმცირესობებს, სიტყვის თავისუფლებასა და ინდივიდუალურ უფლებებს“ (European Parliament, 2017, გვ. 16). აქედან გამომდინარე, იგი არა მმართველობის საბოლოო ეტაპი, არამედ პოლიტიკური და კულტურული სისტემის უწყვეტად დამუშავებისა და დახვეწის მუდმივად ცვალებადი და განვითარებადი პროცესია (Held, 2006).

ევროპარლამენტი (2017, გვ. 18) დემოკრატიის, როგორც ღირებულების, კონცეპტუალიზაციას გვთავაზობს შემდეგი მახასიათებლების მიხედვით:

დემოკრატია	დემოკრატიის კონცეპტუალიზაცია
პოლიტიკური მონაწილეობა	აქტიური მონაწილეობა; პოლიტიკის და პოლიტიკური ინსტიტუტების შესახებ ცოდნა; ხელისუფლების სხვადასხვა დონის შესახებ ცოდნა; პოლიტიკური ჩართულობის ვალდებულება; საზოგადოებაში აქტიური მონაწილეობა. პოლიტიკური მონაწილეობა შედარებით ნეიტრალური კონცეფციაა. იგი პირდაპირ არ ნიშნავს დემოკრატიას. მას აინტერესებს თემში, საზოგადოებასა და პოლიტიკაში მონაწილეობა.
დემოკრატიული პოლიტიკა	დემოკრატიისა და დემოკრატიული ინსტიტუტების შესახებ ცოდნა; დემოკრატიული მიდგომა; დემოკრატია vs ავტორიტარიზმის შესახებ ცოდნა; პოლიტიკის კრიტიკული ანალიზის უნარი; დებატებში მონაწილეობის უნარი; გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის უნარი. დემოკრატიული პოლიტიკა დემოკრატიაში ხედავს პოლიტიკურ პრაქტიკას. იგი გულისხმობს დემოკრატიულ პრაქტიკაში ჩართულობას, დიალოგისა და კონსენსუსის ძიებას. იგი მონაწილეობას დემოკრატიული ჩარჩოს განუყოფელ ნაწილად აღიქვამს.
დემოკრატიული საზოგადოება	სიტყვის თავისუფლებისადმი დადებითი დამოკიდებულება; კონსენსუსის მშენებლობის ვალდებულება; სამოქალაქო საკითხებზე მუშაობის უნარები; თავისუფლებასა და თანასწორობას შორის ბალანსი; უფრო დემოკრატიული, სამართლიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ვალდებულება. დემოკრატიული საზოგადოება ნიშნავს უფრო ძლიერი დემოკრატიისკენ, პოლიტიკასა და საზოგადოებაში დემოკრატიის გაღრმავებისკენ სწრაფვას. იგი კრიტიკული ჩართულობის ფორმაა და მოიცავს პოლიტიკასა და საზოგადოებას შორის დაპირისპირებების შესახებ ცნობიერების გაზრდასა და ამ პროცესში კონსენსუსის ძიების სურვილს.

ტოლერანტობა

ტოლერანტობა საქართველოს ისტორიაში საკმაოდ ხმაურიანი სიტყვა გამოდგა. მისი რეალური მნიშვნელობა 1990-იანი წლების დასაწყისში — საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე და მრავალკულტურულ საზოგადოებაში სახელმწიფოსა და ერის მშენებლობის მტკივნეულ პროცესში ტოლერანტობის პრაქტიკაში გამოყენებამდე — სრულად არ ყოფილა გააზრებული. არც მას შემდეგ მიმდინარეობდა მოვლენები მარტივად და დღემდე საქართველოს საზოგადოება ადაპტაციის პროცესშია.

მდგომარეობა გაართულა იმანაც, რომ ტოლერანტობა ხშირად სხვადასხვაგვარად არის გაგებული. შილაგი და მისი კოლეგები (Szilagyi, et al., 2017) ტოლერანტობას განმარტავენ, როგორც „სხვა პიროვნების, სხვა შეხედულების, საკუთრისაგან განსხვავებული საქციელის მიმღებლობას“ (გვ. 1). ევროპარლამენტი (2017) მიიჩნევს, რომ „ტოლერანტობის კონცეფცია გულისხმობს განსხვავებულ ადამიანთან ერთად ცხოვრებას, კერძოდ, ხალხის „სხვა“-ობის მიმღებლობას“ (გვ. 18). ტოლერანტობა აგრეთვე ნიშნავს, რომ ადამიანს შეიძლება არ მოსწონდეს სხვა პიროვნება, იდეა ან საქციელი, მაგრამ უნდა ჰქონდეს მისდამი მიმღებლობა.

საქართველოში დემოკრატიზაციისა და გლობალიზაციის 30-წლიანმა პროცესებმა ტოლერანტობის მიმღებლობის საჭიროება და ვალდებულება მოიტანა. იზრდება ცნობიერების ამაღლების, სხვადასხვა ჯგუფს შორის დიალოგისა და ინკლუზიური საზოგადოებისთვის ამ განსხვავებების აღმოფხვრის ხელშეწყობის მნიშვნელობაც (Shady, 2010).

უკანასკნელ ათწლეულებში „ინკლუზიურობის“ კონცეფცია ასევე გახდა ქართული საზოგადოების ხმაურიანი სიტყვა. როგორც მანტრამ ყველა სოციალურ და კულტურულ ჯგუფს შორის დიალოგისა და მათი გააზრებისთვის, მან ქართულ საგანმანათლებლო სისტემაშიც შეაღწია. თუმცა, ინკლუზიური საგანმანათლებლო სისტემა არ არის საკმარისი ტოლერანტობის არსის სრულად გასაგებად და საზოგადოების ტოლერანტულად გარდაქმნისთვის. მართლაც, როგორც ევროპარლამენტი (2017) სწორად აღნიშნავს, „ინკლუზიურობა უფრო მეტად არის „ჩართულობის“, ვიდრე „ ადაპტირე-

ბის“ შესახებ კონცეფცია; საზოგადოების ვალია ადამიანების ჩართულობის უზრუნველყოფა, და არა – პიროვნებების საზოგადოებაზე ადაპტირება“ (გვ. 18). სხვა სიტყვებით, ინკლუზიურობას შეუძლია საზოგადოებაში ყველა სოციალური და კულტურული ჯგუფის ჩართულობისთვის ზოგადი ჩარჩოს შექმნა, მაგრამ იგი თავიდან ვერ აიცილებს არატოლერანტულ დამოკიდებულებას, რომელსაც შეიძლება გადააწყდნენ პიროვნებებთან ურთიერთობისას. ინკლუზიურობისგან განსხვავებით, ტოლერანტობა დემოკრატიული საზოგადოებისთვის უფრო სიღრმისეული ფენომენი და მორალური კონცეფციაა, ვინაიდან მისი „ფესვები დემოკრატიულ პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ პროცესებშია“, „ფოკუსირდება სხვადასხვა ადამიანის ერთად ცხოვრებაზე“ და როგორც დიალოგის პროცესი, მოიცავს „სხვადასხვა პიროვნებას, ჯგუფს, თემსა და საზოგადოებას შორის ინტერაქციას“ (გვ. 19).

პოლიტიკური თუ რიტორიკული მიზნებით შესაძლებელია იყოს ტოლერანტობისა და ადამიანის უფლებების განცალკევების ცდუნება. ექსტრემისტული და პოპულისტური იდეოლოგიები ხშირად ამბობენ, რომ მათი საზოგადოებები ტოლერანტულია, თუმცა, ამავე დროს ქადაგებენ ზიზღს და ქსენოფობიას განსხვავებული სოციალური, ეროვნული, კულტურული, ეთნიკური, ლინგვისტური ან რელიგიური ჯგუფების მიმართ. სინამდვილეში, ტოლერანტობასა და ადამიანის უფლებებს შორის განუყოფელი კავშირია, ტოლერანტობა არ არსებობს ასეთი ადამიანების ან ჯგუფების უფლებების დაცვის გარეშე; „ადამიანის უფლებები უმნიშვნელოვანესია ტოლერანტობისთვის, ვინაიდან იმის აღიარება, რომ ადამიანთა ყველა ჯგუფს აქვს ასეთი უფლებები, დისკრიმინაციას გაუმართლებელს ხდის“ (European Parliament, 2017, გვ. 56). აქედან გამომდინარე, საზოგადოება შესაძლებელია იყო ტოლერანტული და ინკლუზიური მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი ყველა წევრი აღიარებს და პატივს სცემს ერთმანეთის როგორც საერთო, ისე განმასხვავებელ თვისებებს.

ტოლერანტობა ადამიანს დაბადებით არ ენიჭება. დამტკიცებულია, რომ განათლებას შეუძლია მრავალკულტურული კავშირებისა და კულტურათაშორისი დიალოგის შექმნისა და განვითარების წახალისება (Grover, 2007; Schuitema & Veugelers, 2011; Council of Europe, 2010; Van Driel, Darmody & Kerzil, 2016). შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ „ტოლერანტობის“ კონცეფციას ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების განათლების პოლიტიკაში ცენტრალური ადგილი უკავია (European Parliament, 2017).

დემოკრატიის მსგავსად, ევროპარლამენტი (2017, გვ. 19) ტოლერანტობის ღირებულების კონცეპტუალიზაციასა და მახასიათებლებსაც გვთავაზობს:

ტოლერანტობა	ტოლერანტობის კონცეპტუალიზაცია
პიროვნებათშორისი ურთიერთობები	სოციალური კომპეტენციები; ემპათია; პიროვნებათშორისი კონტაქტები; საზოგადოებრივ სივრცეებში შესაფერისი საქციელი. პიროვნებათშორისი ტოლერანტობა აღნიშნავს ყოველდღიურ ცხოვრებაში ინდივიდუალური განსხვავებებით ერთობლივად ცხოვრებას.
ტოლერანტობა სხვა სოციალური და კულტურული ჯგუფების მიმართ	ტოლერანტობა სხვა სოციალური და კულტურული ჯგუფების მიმართ; ეთნიკური მრავალფეროვნება, რელიგიური თავისუფლება, სექსუალური განსხვავებები/LGBT; უმცირესობების უფლებების პატივისცემა; სხვა სოციალურ და კულტურულ ჯგუფებთან ჩართულობა; მრავალფეროვან ჯგუფში/თემში გადაწყვეტილების მიღებაში წვლილის შეტანის უნარები; განსხვავებული მოსაზრებებისადმი ტოლერანტობა. სხვა კულტურული ჯგუფების მიმართ ტოლერანტობა აღიარებს სოციალურ და კულტურულ განსხვავებებს და ყურადღებას ამახვილებს ერთობლივად ცხოვრებაზე ისეთ ადამიანებთან, რომლებსაც ასეთი განსხვავებული იდენტობა აქვთ და ასეთ განსხვავებულ ჯგუფებს მიეკუთვნებიან.

ინკლუზიური საზოგადოება	ცოდნა ინკლუზიურობისა და გარიყვის პროცესების შესახებ; ცოდნა ადამიანის უფლებების თაობაზე; ცოდნა (უ)თანასწორობის, დისკრიმინაციისა და სოციალური სამართლიანობის შესახებ; ვალდებულება უთანასწორობის, დისკრიმინაციისა და სოციალური უსამართლობის შემცირების მიმართ; ვალდებულება ადამიანების უფრო მეტად თვითპასუხისმგებლიან მოქალაქეებად ჩამოყალიბების მიმართ; ამ მხრივ სადავო საკითხებზე კრიტიკული ანალიზის უნარები. ინკლუზიური საზოგადოება არის არამხოლოდ ტოლერანტული, არამედ ცდილობს უთანასწორობის, უსამართლობისა და გარიყვის აღმოფხვრას, იგი აქცენტს აკეთებს ინტეგრაციასა და ინკლუზიაზე.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ამ თავში გადმოცემულია საერთო ევროპული ღირებულებების – დემოკრატიისა და ტოლერანტობის – ტერმინების ოპერაციონალიზაცია. კერძოდ, დემოკრატია დახასიათებულია, როგორც პოლიტიკური მონაწილეობა, დემოკრატიული პოლიტიკა და დემოკრატიული საზოგადოება, ტოლერანტობა კი – როგორც პიროვნებათშორისი ურთიერთობები, ტოლერანტობა სხვა სოციალური და კულტურული ჯგუფების მიმართ და ინკლუზიური საზოგადოება.

საერთო ევროპული ღირებულებების შესახებ ერთიანი და უფრო ნათელი გააზრების შემდეგ, უკვე შესაძლებელია მომდევნო თავში სკოლებში აღნიშნული ღირებულებების სწავლების საკითხში ევროკავშირის პრაქტიკის მიმოხილვა.

საერთო ღირებულებების სწავლება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში

ევროკავშირის განათლების პოლიტიკა

ევროკავშირის განათლების პოლიტიკა ამოიზარდა სოციალური და ეკონომიკური ფაქტორებიდან. იგი მიჩნეული იყო საზოგადოებაში თანასწორობისა და სამართლიანობის მოთხოვნების დაკმაყოფილების ინსტრუმენტად, რათა რეალიზებული ყოფილიყო სოციალური სამართლიანობა და ეკონომიკური ზრდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ევროკავშირისთვის განათლების პოლიტიკას აქვს ორი მიზანი: ერთი მხრივ, იგი განამტკიცებს ევროკავშირის მოქალაქეებს შორის ჰარმონიას; მეორე მხრივ, იგი წარმატებით უწყობს ხელს გაერთიანების პროგრამებს, დასაქმებას, ტექნოლოგიურ განვითარებას, გარემოს დაცვას, კვლევას და სხვ. (Cankaya, Kutlu & Cebeci, 2015, გვ. 886-887).

განათლების სფეროში შეზღუდული მასშტაბების თანამშრომლობა ევროპულ დონეზე რომის ხელშეკრულებებით იწყება. 1980-იანი წლების მეორე ნახევარში განახლებული ინტეგრაციული პროცესების დროს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს არ სურდათ ერთიანი ევროპული განათლების სისტემისკენ სვლა. ამიტომ 1992 წელს მაასტრიხტის ხელშეკრულებამ ცალსახად გამორიცხა განათლების პოლიტიკის ჰარმონიზაცია. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ლისაბონის სტრატეგიასთან ერთად, ხელი მოეწერა მთავრობათაშორის ხელშეკრულებებს, რომელთაც დღეს ბოლონიისა და კოპენჰაგენის პროცესების სახელებით ვიცნობთ (უმაღლესი განათლებისა და პროფესიული განათლების მიმართულებებით) (Agostini & Capano, 2012, გვ. 147).

ისტორიული, ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით, ევროკავშირის თითოეული წევრი თავად განსაზღვრავს საგანმანათლებლო სისტემის განვითარების მიმართულებას. განათლება და კულტურა ეროვნული ერთიანობისა და იდენტობის განუყოფელი ნაწილებია, ამიტომ ეროვნული დედაქალაქები სრულად აკონტროლებენ განათლებისა და ტრენინგის სისტემების განვითარებას, განხორციელებასა და მონიტორინგს (Volante & Ritzen, 2016, გვ. 989).

ამჟამად ევროკავშირის ინსტიტუტები მხოლოდ მხარდამჭერ როლს ასრულებენ წევრ ქვეყნებსა და ევროკავშირის მასშტაბით განათლების ხარისხის გაუმჯობესების პროცესში (Volante & Ritzen, 2016, გვ. 989). პოლიტიკის შემუშავებაში წამყვანი როლი

აქვთ ეროვნულ დედაქალაქებს, ევროკავშირი კი მათ მხოლოდ კოორდინაციის პროცესში ეხმარება.

გამომდინარე იქიდან, რომ განათლება და ტრენინგი ევროკავშირის მხარდამჭერი კომპეტენციაა, ევროკავშირის ხელთ არსებულ პოლიტიკის ინსტრუმენტებს არ აქვს სავალდებულო ძალა, თუმცა, ამის მიუხედავად, მაინც დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას ატარებს. ეს ინსტრუმენტებია (Lifelong Learning Platform, 2018, გვ. 30):

- კომუნიკაცია – განსაზღვრავს ევროკომისიის სამოქმედო გეგმას. ის შეიძლება ასევე შეიცავდეს კონკრეტულ ინიციატივებს კანონმდებლობისთვის;
- მწვანე წიგნი – როგორც წესი, გამოიყენება კონსულტაციის პროცესის დასაწყებად. მასში დაინტერესებული მხარეების კომენტარებისთვის მოცემულია ევროკომისიის პოლიტიკის ხედვები;
- თეთრი წიგნი – ხშირად იგი მწვანე წიგნის შემდეგ, მისი შედეგების გათვალისწინებით გამოიცემა და წარმოადგენს კონკრეტულ სფეროში ევროკომისიის მიერ განსახორციელებელი აქტივობებისთვის კონკრეტულ შეთავაზებებს;
- საბჭოს დასკვნები – ევროკავშირის საბჭოზე მიღებული პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები / მითითებები / რეკომენდაციები. მათ არ აქვს სამართლებრივად სავალდებულო ძალა, თუმცა, გააჩნია პოლიტიკური მნიშვნელობა.
- საბჭოს რეზოლუციები – დოკუმენტები, რომლებიც გამოიცემა ევროპული საბჭოს ფარგლებში თემატური დებატების ბოლოს. მათ არ აქვთ სამართლებრივად სავალდებულო ძალა, თუმცა, ხშირად ხდება მათი შეტანა ევროკავშირის კანონმდებლობაში ევროკომისიის, ევროკავშირის საბჭოს ან ევროპარლამენტის მიერ;
- რეკომენდაციები და მოსაზრებები – ევროკომისიის მიერ გამოცემული არასავალდებულო ხასიათის ინსტრუმენტები, რომლებიც განსაზღვრავს თავის ხედვას და სთავაზობს კონკრეტული საკითხის შესახებ აქტივობების მიმართულებას. ტექნიკური თვალსაზრისით, მათ არ აქვთ სამართლებრივი ძალა, მაგრამ გააჩნიათ პოლიტიკური და მორალური წონა.

ევროკომისია მნიშვნელოვან როლს ასრულებს სკოლების ხელშეწყობის საკითხში. მაგალითად, იგი ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან მუშაობს სწავლებისა და მასწავლებლების განათლების სტანდარტების ასამაღლებლად ა) გადაწყვეტილების მიმღებებს შორის ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარების წახალისების და ბ) Erasmus +-ის პროგრამის საშუალებით პროექტების მხარდაჭერის გზით.

საერთო (ევროპული) ღირებულებების სწავლება

სკოლაში დემოკრატიისა და ტოლერანტობის ღირებულებების სწავლებაზე საუბრისას უპირველესი კითხვა არის ის, თუ რომელია მათი სწავლების საუკეთესო გზა. აგრეთვე, საინტერესოა, თუ რა ადგილი აქვს ამ ღირებულებებს სასკოლო განათლებაში? რა როლი აქვთ საგანმანათლებლო სისტემის სხვა კომპონენტებს და მონაწილეებს ამ პროცესში?

ევროპაში მოქალაქეობის შესახებ განათლებისა და ღირებულებების სწავლების თაობაზე ბოლო ათწლეულის ყველაზე მნიშვნელოვან წყაროებს შემდეგი კვლევები წარმოადგენს: ICCS, 2010a, Hoskins et al., 2012, Eurydice, Van Driel, Darmody & Kerzil, 2016, და ევროპარლამენტი, 2017. კერძოდ, ICCS სწავლობს სტუდენტების ცოდნას, უნარებსა და მიდგომებს და სკოლაში მოქალაქეობის შესახებ განათლების პრაქტიკას. აგრეთვე, ამავე ავტორის 2009 წლის მონაცემების ანალიზში (ICCS, 2010b) აღნიშნულია, რომ მოქალაქეობის შესახებ განათლება სასწავლო გეგმის, სკოლისა და უფრო ფართო თემის აქტივობების/პროცესების ნაწილს განეკუთვნება. ჰოსკინსისა და მისი კოლეგების ნაშრომი „აქტიური მოქალაქეობა ევროპაში“ დამატებით იკვლევს აქტიური მოქალაქეობის კონცეფციას, მათ შორის, ამ მხრივ საუკეთესო გამოცდილებებს. კვლევა ამტკიცებს, რომ საგანმანათლებლო პოლიტიკას და ინსტიტუტებს შეუძლია მონაწილეობითი მოქალაქეობის, პოლიტიკური მონაწილეობისა და საზოგადოებრივი ჩართულობის ხელშეწყობა (Hoskins et al., 2012, გვ. 19). ევრიდიკეს კვლევა ყურადღებას ამახვილებს ევროპაში მოქალაქეობის შესახებ განათლების სასწავლო გეგმაზე და აანალიზებს ამ სფეროში პოლიტიკასა და სკოლების პრაქტიკას ევროკავშირში

(Eurydice, 2012). ევროპარლამენტი დეტალურად შეისწავლის სკოლებში დემოკრატიისა და ტოლერანტობის საერთო ღირებულებების სწავლების პოლიტიკას და პრაქტიკაში მის განხორციელებას (European Parliament, 2017). იგი ასევე მოიცავს პოლიტიკასა და სასწავლო გეგმაში გასათვალისწინებელ მიგნებებსა და რეკომენდაციებს.

დაბოლოს, ვან დრიელი, დარმოდი და კერზილი (Van Driel, Darmody & Kerzil, 2016) მიმოიხილავენ ევროკავშირში ბავშვებსა და ახალგაზრდებში ტოლერანტობის წახალისების, მრავალფეროვნების პატივისცემისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის მიმართულებებით არსებულ ევროპულ და საერთაშორისო ცოდნის თაობაზე განათლების პოლიტიკასა და პრაქტიკას. აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს შემდეგ რეკომენდაციებს (გვ. 9):

1. „სხვებისადმი პატივისცემის სწავლება ადრეული ასაკიდან შეიძლება;
2. სკოლის პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს ეთნიკურ მრავალფეროვნებას, ქმნის ინტერეთნიკური თანამშრომლობისთვის პირობებს და ახალისებს ტოლერანტობას. თუმცა, საჭიროა, რომ სკოლებმა შექმნან პირობები, რათა ყველა ბავშვმა და სკოლის თანამშრომელმა განივითაროს კულტურათაშორისი კომპეტენცია;
3. მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ ფუნქციონირებს სკოლა. კერძოდ, ერთიანი სკოლის მიდგომებს და სკოლებს, რომლებსაც ძლიერი და დინამიკური კავშირები აქვთ ადგილობრივ თემებთან, ერთიანობის წახალისებისთვის უფრო მეტი პოტენციალი აქვთ;
4. ბოლო წლებში ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმრავლესობაში დაინერგა ინკლუზიური საკლასო ოთახების ჩამოყალიბების ისეთი ახალი ეფექტიანი მეთოდები, როგორებიც არის პროექტებზე დაფუძნებული სწავლა, თანამშრომლობითი სწავლა და სხვა. ამ მეთოდებმა დაგვანახა თავისი ღირებულება არატოლერანტობასთან ბრძოლაში“.

ჰარეკერი (Harecker, 2016) მკაფიო კავშირს ავითარებს ღირებულებებსა და სკოლის მოსწავლეებში ღირებულებების განვითარების მნიშვნელობას შორის:

> „ადამიანებს აქვთ გამოცდილებები: ისინი იზრდებიან და სწავლობენ. გამოცდილებების გათვალისწინებით შეიძლება ჩამოყალიბდეს ქცევის გარკვეული ზოგადი ჩარჩოები. ეს ჩარჩოები ცხოვრების მიმართულებას იძლევიან ხოლმე; მათ შესაძლოა ვუწოდოთ ღირებულებები. ჩვენი ღირებულებები აჩვენებენ იმას, თუ რა შეიძლება გავაკეთოთ ჩვენი ცხოვრებით და ენერგიით. ღირებულება ყალიბდება მხოლოდ ადამიანის საკუთარი ქცევით და მჭიდრო კავშირი აქვს ადამიანის საკუთარ მოსაზრებებთან. ღირებულებების ქონა გავლენას ახდენს ადამიანის საქციელზე. საკუთარი ღირებულებების ჩამოყალიბება არის როგორც ინდივიდუალური, ისე მთელი ცხოვრებისეული პროცესი, რომლის მხარდაჭერაც საკლასო ოთახში უნდა მოხდეს (გვ. 1–2)“.

საერთო ღირებულებების სწავლებაზე საუბარი უნდა დავიწყოთ იმის აღნიშვნით, რომ ეს არ არის მარტივი პროცესი. ყველა პიროვნებას აქვს თავისი პიროვნული არჩევანი (ღირებულებები) და შეუძლია საკუთარი ხედვების გამოხატვა/ჩამოყალიბება სხვადასხვა ხარისხით და მკაფიოობით (ღირებულებების სწავლება). სხვა სიტყვებით, საერთო ღირებულებების სწავლება დამოკიდებულია მასწავლებლების სუბიექტურ თვისებებსა და საგანმანათლებლო სისტემის გარემოზე.

სამაგალითო მოქალაქე (ამ კვლევაში კონცეპტუალიზებული დემოკრატიისა და ტოლერანტობის გაგებით) კი არ იბადება, არამედ ყალიბდება. ყველა ჩვენგანი სწავლობს იმ გაკვეთილებს და აგროვებს იმ მონაცემებს, რომლებიც ფუნდამენტურია ჰარმონიაში ცხოვრებისა და სოციალური პროგრესისთვის სხვადასხვა სოციალურ კონტექსტში; მაგალითად, პატივისცემა, თანასწორობა, სოლიდარობა და სხვა ეთიკური პრინციპები, რომლებიც ჩვენ ადამიანად გვაქცევს. ღირებულებების განათლებას შეუძლია „ჩვენი პოლიტიკური, კულტურული და რელიგიური განსხვავებების მიღმა... ტოლერანტობისა და გაგების“ წახალისება (Iberdrola, 2021).

სწავლების პროცესი ვერ იქნება მექანიკური. მოსწავლეებმა უნდა გაითავისონ ეს ღრმად ფესვებგადგმული ღირებულებები, მიიღონ ისინი და შეეგუონ მათ. ევროპარლამენტის (2017) კვლევა ამტკიცებს, რომ „ღირებულებების [ჩამოყალიბებისთვის]... აუცილებელია თავად სტუდენტების აქტიური კოგნიტიური და აფექტური აქტივობები, რა დროსაც სტუდენტები მასწავლებლებსა და

თანაკურსელებთან შედიან დიალოგში“ (გვ. 21). შესაბამისად, დიალოგური სწავლა-სწავლების მეთოდები უმნიშვნელოვანესია წარმატების მისაღწევად მორალური ღირებულებებისა და მოქალაქეობრივი მიდგომების ჩამოყალიბების ამ რთულ პროცესში (Solomon, Watson & Battistich, 2001; ICCS, 2010a; 2016; Hoskins, et al. 2012). მართლაც, ილერისის მოსაზრებით, სოციალურ-კონსტრუქციული დიალოგური სწავლა-სწავლების მეთოდი ღირებულებების სწავლების ყველაზე ეფექტიანი გზაა, ვინაიდან მოსწავლეები უფრო აქტიურად ერთვებიან ინტერაქტიურ სწავლაში (Illeris, 2009). გარდა ამისა, როგორც ვოიგელერსი განმარტავს, მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, თავიანთი გარემო შეისწავლონ, გამოარკვიონ ამ გარემოში საკუთარი პოზიცია და გამოხატონ იგი, იფიქრონ საკუთარი მორალური ღირებულებების შესახებ და ჩაერთონ ინტერაქტიურ დისკუსიაში ამ საკითხების თაობაზე (Veugelers, 2011). სხვა სიტყვებით, დიალოგური სწავლა ქმნის გარემოს, სადაც მოსწავლეები დემოკრატიული სწავლის გზით შეისწავლიან და ჩამოიყალიბებენ საერთო ღირებულებებს.

სწავლების გარდა, სკოლებს, როგორც მიკროსაზოგადოებებს, შეუძლიათ მოსწავლეებისთვის იყვნენ ფასეულნი საერთო ღირებულებების პრაქტიკაში განხორციელების საქმეში. უფრო ჰორიზონტალურად და დემოკრატიულად ორგანიზებულ სკოლებს შეუძლიათ მოსწავლეებისთვის მეტი შესაძლებლობის შექმნა იმისთვის, რომ ისინი ჩაერთონ ურთიერთობებში, პრაქტიკაში „ითამაშონ“ სოციალური როლები, აქტიური მონაწილეობა მიიღონ გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლის პროცესში. ჟირუ ამ ფენომენს „ფარულ სასწავლო გეგმას“ უწოდებს (Giroux, 1989).

თანამედროვე ევროპული სკოლები დემოკრატიის და ტოლერანტობის ღირებულებების სტიმულირებას დემოკრატიული კულტურის საშუალებით ახდენენ. ICCS-ის კვლევა აჩვენებს, რომ მკაფიო კავშირია დემოკრატიული სკოლის კულტურასა და მორალური ღირებულებებისა და მოქალაქეობის ჩამოყალიბებას შორის. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს კომუნისტური მემკვიდრეობა ერგოთ ავტორიტარული სკოლის კულტურის სახით, რაც არ გულისხმობდა ღირებულებების წახალისებას. ამ ქვეყნების დემოკრატიულად გარდაქმნის და ევროკავშირში გაწევრების პროცესი ასევე მოიცავდა საგანმანათლებლო სისტემის რადიკალურ ცვლილებას. ბოლონიის პროცესმა ხელი შეუწყო ამ ტრანსფორმაციას. ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრ ქვეყნებს, მათ შორის, საქართველოს, კიდევ უფრო რთული მემკვიდრეობა ერგოთ და ჯერ კიდევ აღნიშნული გარდაქმნის პროცესში არიან.

დემოკრატიისა და ტოლერანტობის საერთო ღირებულებების სწავლების კიდევ ერთი ელემენტია მასწავლებლებისა და მოსწავლეების შემადგენლობა (Schuitema & Veugelers, 2011; Van Driel, Darmody & Kerzil, 2016), ანუ ის, თუ რამდენად ინკლუზიურია სკოლა სხვადასხვა შესაძლებლობის მოსწავლეებისა და სხვადასხვა სოციალური და კულტურული გამოცდილების მქონე მასწავლებლების მხრივ. ევროპარლამენტის (2017) კვლევის მიხედვით, „ეს განსხვავებები მოსწავლეებს აძლევთ ტოლერანტობით დამახასიათებელი პლურალისტური საზოგადოების პრაქტიკაში განხორციელების გამოცდილებებს და შესაძლებლობებს... იმისთვის, რომ ჩამოყალიბდეს მრავალფეროვნებისადმი მიმღებლობა და დაფასება, სასურველია განსხვავებულ ჯგუფებს შორის კონტაქტი და თანამშრომლობა. განათლებას აქვს სწავლების მსგავსი მრავალფეროვანი გარემოს შექმნის პოტენციალი“ (გვ. 22).

საერთო (ევროპული) ღირებულებების სწავლება ევროკავშირში

დემოკრატიისა და ტოლერანტობის საერთო ევროპულ ღირებულებებთან დაკავშირებით კონსენსუსის მიუხედავად, სკოლებში მათ სწავლებასთან მიმართებით ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოს განსხვავებული მიდგომა აქვს. სასწავლო გეგმაში დემოკრატიისა და ტოლერანტობის შეტანის საკითხში ყველას სხვადასხვა პრაქტიკა აქვს. დემოკრატიასა და ტოლერანტობასთან დაკავშირებული საკითხები იფარება ან კონკრეტული დისციპლინით/საგნით (როგორც ღირებულებაზე ორიენტირებული საგნებით, მაგ.: სამოქალაქო განათლება, ისე – სხვა საგნებით, მაგ.: გეოგრაფია, ენები, ეკონომიკა), ან მთელი სასწავლო გეგმის აქტივობებით (მაგალითად, სასკოლო ან კლასგარეშე პროექტებით). ICCS (2010a) და Eurydice (2016) სწავლების ეფექტიანობის გაზრდისთვის ყველა ამ განსხვავებული გზის კომბინაციის რეკომენდაციას იძლევა. ამ მიდგომას „ერთიანი სკოლის მიდგომას“ უწოდებენ და გულისხმობს საერთო ღირებუ-

ლებების სწავლების შემდეგ სამ გზას (European Parliament, 2017, გვ. 21-22):

1. „როგორც ცალკე საგანი, მაგალითად, მორალური ან ღირებულებითი განათლება, ან სამოქალაქო განათლება;
2. როგორც სხვა საგნის ნაწილი, მაგალითად, ისტორია, გეოგრაფია, სოციალური მეცნიერებები, რელიგია, ხელოვნება, ბიოლოგია, ენები;
3. მთლიანი სასწავლო გეგმის აქტივობები, მაგალითად, სასკოლო ან კლასგარეშე პროექტები".

ევროკავშირის წევრი ქვეყნების განათლების პოლიტიკა ხელს უწყობს ღირებულებების სწავლებას, მაგრამ ისინი არ არის ჰარმონიზებული და განსხვავდება ერთმანეთისგან. ამის მიუხედავად, აღნიშნული განათლების პოლიტიკის და პრაქტიკის თაობაზე მონაცემები აჩვენებს, რომ ღირებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობა ხდება შემდეგი საკითხებით (European Parliament, 2017, გვ. 27-28):

- „ერთიანი სკოლის მიდგომა, რომელიც მოიცავს ღირებულებების სწავლებას ცალკეული საგნით ან/და სხვა საგანში ინტეგრირებით და მთლიანი სასწავლო გეგმის აქტივობებს;
- სწავლა-სწავლების უფრო მეტად დიალოგურ მეთოდს;
- დემოკრატიული სკოლის კულტურას;
- ინკლუზიურ განათლებას, სტუდენტებისა და მასწავლებლების სხვადასხვა ჯგუფის მონაწილეობით;
- ფართო საზოგადოებასთან კავშირს".

ევროპარლამენტმა (2017) აგრეთვე მოახდინა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში საერთო ღირებულებების სწავლების სხვადასხვა პოლიტიკის ინსტრუმენტის (ანუ „პოლიტიკის კომუნიკაციისა და განხორციელებისთვის საჭირო რეგულაციებისა და დოკუმენტების") იდენტიფიცირება. მონაცემებიდან ნათელია, რომ ყველა წევრი ქვეყანა იყენებს განსხვავებული პოლიტიკის ინსტრუმენტს (კანონებიდან დაწყებული ეროვნული სასწავლო გეგმით დასრულებული) და რომ „რაც უფრო მეტად აფასებენ განათლების პოლიტიკის შემქმნელები [საერთო ღირებულებების სწავლებას], მით უფრო მეტ ინსტრუმენტს იყენებენ პოლიტიკაში [საერთო ღირებულებების სწავლების] როლის განმტკიცებისთვის" (გვ. 41).

სხვადასხვა კვლევა აჩვენებს, რომ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს მოქალაქეობის განათლებისადმი სასწავლო გეგმით გათვალისწინებული განსხვავებული მიდგომა აქვთ და რომ საერთო ღირებულებების სწავლება, როგორც წესი, ღირებულებასთან დაკავშირებულ ან კონკრეტულ ღირებულებაზე ორიენტირებულ საგანშია შეტანილი (Eurydice, 2012; ICCS, 2010a). ამავე კვლევების მიხედვით, „დემოკრატია ფორმულირებულია, როგორც განათლების მმართველი პრინციპი ან/და მთავარი ამოცანა" (European Parliament, 2017, გვ. 46). ეს არც არის გასაკვირი იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა ფუნქციონირებადი დემოკრატიაა. ამასთან, კონკრეტული ქვეყნისთვის რაც უფრო მეტად პრიორიტეტულია საერთო ღირებულებების სწავლება, თავიანთ პოლიტიკაში მით უფრო მკაფიოდ არის აღნიშნული დემოკრატია, როგორც ღირებულება.

ევროპარლამენტის კვლევა ყველაზე კარგად და გასაგებად ხსნის ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში დემოკრატიის (გვ. 46-51) და ტოლერანტობის (გვ. 51-56) სწავლებას:

დემოკრატიის სწავლება	
პოლიტიკური მონაწილეობა	პოლიტიკური მონაწილეობის (შესახებ) სწავლება მოიცავს პოლიტიკური ინსტიტუტების შესახებ ცოდნის გადაცემას, საზოგადოებაში ჩართულობის გზით გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლის და პოლიტიკური ჩართულობისადმი ვალდებულების წახალისებას. სასწავლო გეგმის მიხედვით, საზოგადოების ფუნქციონირებისა და სოციალური ერთიანობის დაცვისთვის სტუდენტი უნდა განასხვავებდეს ხელისუფლების სხვადასხვა დონეს და მათ როლებს, სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტების (მაგ.: ოჯახის, განათლების, ეკონომიკის, ეკლესიის, ადმინისტრაციის და სხვა) როლს. ამავე დროს, მოქალაქეობის შესახებ განათლება უნდა განმარტავდეს ისეთ კონცეფციებს, როგორებიც არის სახელმწიფო, ერი, მოქალაქე, პოლიტიკა და კანონები/წესები. სტუდენტებს უნდა შეეძლოთ პიროვნებასა და სახელმწიფოს, აგრეთვე, რეჟიმების სხვადასხვა ტიპს შორის ურთიერთდამოკიდებულების განმარტება. სტუდენტებმა უნდა ისწავლონ სახელმწიფოს ფუნქციები (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო) და მათი თავისებურებები. დაბოლოს, სტუდენტები უნდა ითავისებდნენ თავიანთ უფლებებს (ინდივიდუალურ, პოლიტიკურ, სოციალურ) და ვალდებულებებს (როგორც პიროვნებები და ჯგუფები). ამ ცოდნამ უნდა განამტკიცოს პოლიტიკური ჩართულობისა და საზოგადოებაში აქტიური მონაწილეობისადმი მათი ვალდებულება.
დემოკრატიული პოლიტიკა	ეს კომპონენტი ყურადღებას ამახვილებს დემოკრატიის კონცეფციის სწავლებაზე, დემოკრატიული დამოკიდებულების წახალისებაზე, დემოკრატიის მრავალი მნიშვნელობის ახსნაზე და იმაზე, თუ როგორ განსხვავდება იგი ავტორიტარული რეჟიმისგან. ამ კომპონენტისთვის საკვანძოა ისეთი დემოკრატიული უნარების განვითარება, როგორებიც არის კრიტიკული აზროვნება, დებატები ან განხილვა, კონსენსუსის მშენებლობა. პრაქტიკაში ეს გულისხმობს, რომ სასწავლო გეგმამ უნდა განავითაროს: (1) პოლიტიკური წიგნიერება დემოკრატიის პოლიტიკური სისტემის (ტოტალიტარულ სისტემებთან შედარებით) ფუნქციონირების, დემოკრატიული ინსტიტუტების, გადაწყვეტილების მიღების დემოკრატიული ფორმების, ადამიანის უფლებების, საერთაშორისო ორგანიზაციების / ასოციაციების, გლობალური ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, ეკოლოგიური, ეთიკური გარემოებების, პრობლემების, საკითხების, დილემების შესახებ ცოდნის გზით. (2) კრიტიკული აზროვნება ზემოხსენებული თემების შესახებ ცოდნის, აღიარების, დისკუსიის, განსჯის, დიალოგის წარმოების, გაგების, კრიტიკული შეფასების გზით.
დემოკრატიული საზოგადოება	დემოკრატიის სწავლების ეს კომპონენტი გულისხმობს იმას, თუ რამდენად არიან სტუდენტები მოტივირებული იმისთვის, რომ საზოგადოება უფრო დემოკრატიული გახადონ და დაიცვან ეს დემოკრატია. იგი მოიცავს სამოქალაქო საკითხებთან მუშაობის უნარების განვითარებას და სიტყვის თავისუფლების, სამართლიანობის და ინკლუზიურობის მსგავსი ღირებულებებისადმი დადებითი განწყობების წახალისებას.

ტოლერანტობის სწავლება	
პიროვნებათშორისი ურთიერთობები	პიროვნებათშორისი ურთიერთობების შესახებ სწავლება გულისხმობს სტუდენტებისთვის ემპათიისა და სხვების მიმართ პატივისცემით მოქცევის სწავლებას. მაგალითად, სტუდენტებმა უნდა შეძლონ კონფლიქტის მოგვარების, პოზიტიური უკუგების მიცემის, მოსმენის, კითხვების დასმის, გრძნობების გამოხატვის, სხვისი გრძნობების გაგების, ემპათიის უნარების დემონსტრირება (ბულგარეთში); ან პიროვნებათშორისი ურთიერთობების ისეთი ცალკეული ასპექტები, როგორებიც არის კომუნიკაციის უნარები (კვიპროსში), სენსიტიურობა (საფრანგეთში), ემპათია (ფინეთში) და ანტიბულინგი (მალტაში, ნიდერლანდებსა და ესპანეთში).
ტოლერანტობა განსხვავებული სოციალური და კულტურული ჯგუფების მიმართ	რამდენად მნიშვნელოვანია განათლების პოლიტიკაში, რომ სტუდენტებს ასწავლიდნენ სხვა კულტურული ჯგუფის წევრი ადამიანების მიმღებლობას, პატივისცემას ან მათდამი ტოლერანტობას? მაგალითად, განსხვავებული გენდერის, რასის და ეთნიკურობის მქონე ადამიანისადმი არადისკრიმინაციული მოპყრობა (ბელგია); თანამედროვე მრავალკულტურულ საზოგადოებაში სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან თანამშრომლობის და მათდამი ტოლერანტობისადმი მითითება (კვიპროსი); სტუდენტებს სთხოვენ სოციალური ერთიანობის განმტკიცების საქმეში წვლილის შეტანას, დღევანდელობის მრავალკულტურული საზოგადოებისა და კულტურათაშორისი დიალოგის კონტექსტში სოციალური ურთიერთობების, ტოლერანტობისა და სოციალური სოლიდარობის გამოყენების გზით (კვიპროსი); უცხო ენების შესწავლას წვლილი შეაქვს კულტურათაშორის გაგებაში (დანია). ამის მიუხედავად, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს არ აქვთ ერთიანი მიდგომა ტოლერანტობის ცალკეულ საკითხებთან, მათ შორის, სექსუალობასთან, რელიგიასა და ეთნიკურობასთან, დაკავშირებით. მაგალითად, სექსუალური უმცირესობებისადმი ტოლერანტობა მხოლოდ ირიბად არის (ან საერთოდ არ არის) აღნიშნული ჩეხეთის, საბერძნეთის, ესტონეთის და უნგრეთის განათლების პოლიტიკაში, ავსტრიის, კვიპროსის, იტალიის, მალტის, ნიდერლანდებისა და პორტუგალიის განათლების პოლიტიკა კი მკაფიოდ მოიცავს სექსუალურ უმცირესობებს. ამასთან, ტოლერანტობის კონტექსტში რელიგიური მრავალფეროვნება ან თავისუფლება პირდაპირ არ არის აღნიშნული საბერძნეთის, უნგრეთის და ჩეხეთის განათლების პოლიტიკაში მაშინ, როდესაც ირლანდიას რელიგიური ტოლერანტობის თაობაზე მკაფიო პოლიტიკა აქვს.
ინკლუზიური საზოგადოება	გარკვეული თვალსაზრისით, ეს კომპონენტი წინას უკავშირდება, ვინაიდან „ინკლუზიური საზოგადოების მშენებლობა გარიყვის, უთანასწორობის, დისკრიმინაციის და სოციალური უსამართლობის შემცირებას მოიცავს“. ტოლერანტობის ეს კომპონენტი პიროვნული ან ჯგუფებშორისი ურთიერთობების ნაცვლად, სოციალურ პერსპექტივას ეხება. სტუდენტებმა უნდა ისწავლონ ზემოაღნიშნული ნეგატიური საზოგადოებრივი გამოვლინებების და მათი წარმოშობის მექანიზმების შესახებ, აგრეთვე, უნდა გამოიმუშაონ მათთან ბრძოლის ვალდებულება და მათი შემცირებისთვის საჭირო უნარები. მაგალითად, რუმინეთი უშვებს პოზიტიურ დისკრიმინაციას რომას ეთნიკური ჯგუფის მიმართ, რათა მათ შეძლონ ეროვნულ გამოცდებზე უფრო სუსტი შედეგების მიუხედავად კლასებში ინტეგრირება. ადამიანის უფლებები ინკლუზიურობის მთავარ ასპექტად განიხილება პოლონეთში, კვიპროსსა და ავსტრიაში. ადამიანის უფლებები უმნიშვნელოვანესია ტოლერანტობისთვის, ვინაიდან იმის გაცნობიერება, რომ ადამიანების ყველა ჯგუფს აქვს ეს უფლებები, დისკრიმინაციას გაუმართლებელს ხდის. შესაბამისად, განათლების პოლიტიკით უნდა დაიფაროს უთანასწორობისა და ცალკეული ჯგუფების გარიყვის პროცესების შესახებ საკმარისი გაცნობიერების შესაძლებლობა.

ევროპარლამენტის კვლევა (2017) აჩვენებს, რომ საერთო ღირებულებების (დემოკრატიისა და ტოლერანტობის) სწავლება ევროკავშირის წევრი ქვეყნების განათლების პოლიტიკაში საკმაოდ მნიშვნელოვანია. ამ დასკვნამდე მისასვლელად გაანალიზებულია:

- „ფორმალური სასწავლო გეგმა“, ანუ ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც აღწერენ იმას, თუ რა უნდა ასწავლოს სკოლამ. ოფიციალური სასწავლო გეგმის შესწავლა მნიშვნელოვანია, ვინაიდან იგი ხაზს უსვამს იმას, თუ „როგორ შეუძლია განათლებას დემოკრატიული კომპონენტების ფორმირებასა და დემოკრატიული კულტურის განვითარებაში წვლილის შეტანა“;
- პოლიტიკის „ფორმალური“ ასპექტები, ანუ ასპექტები, რომლებიც დაკავშირებულია არა პირდაპირ შინაარსთან, არამედ განათლების მმართველობასთან, მაგალითად, საერთო ღირებულებების სწავლების მარეგულირებელ პოლიტიკის ინსტრუმენტებთან;
- ზემოაღნიშნული ამ ორი კომპონენტის ურთიერთკავშირი.

კერძოდ, ევროპარლამენტის კვლევის მიხედვით, საერთო ღირებულებების სწავლება ძალიან მნიშვნელოვანია ავსტრიის, ბულგარეთის, კვიპროსის, ფინეთის, გერმანიის, ირლანდიის, ლატვიის, მალტის, პოლონეთის, სლოვაკეთის, სლოვენიის, შედარებით მნიშვნელოვანი – ჩეხეთის, ხორვატიის, დანიის, ესტონეთის, საფრანგეთის, საბერძნეთის, უნგრეთის, იტალიის, ლიეტუვის, ლუქსემბურგის, ნიდერლანდების, პორტუგალიის, რუმინეთისა და შვედეთის განათლების პოლიტიკაში. ამ ქვეყნებისგან განსხვავებით, საერთო ღირებულებების სწავლება არც ისე მნიშვნელოვანია ესპანეთსა და ბელგიაში – ესპანეთი უფრო მეტ ყურადღებას ამახვილებს სტუდენტების სამუშაო ბაზრისთვის მომზადებაზე. საერთო ღირებულებების სწავლებისადმი ბელგიის ნაკლები ყურადღება კი განაპირობა ქვეყანაში არსებულმა ძლიერმა სეგრეგაციამ (გვ. 35-37).

საშუალოდ ევროკავშირის წევრი ქვეყნები დემოკრატიის სამ კომპონენტს (პოლიტიკური მონაწილეობა, დემოკრატიული პოლიტიკა და დემოკრატიული საზოგადოება) თანაბრად მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, ტოლერანტობის სამი კომპონენტი (პიროვნებათშორისი ურთიერთობები, ტოლერანტობა სხვადასხვა სოციალურ-კულტურული ჯგუფის მიმართ, ინკლუზიური საზოგადოება) კი, ქვეყნებს შორის განსხვავებების მიუხედავად, ადეკვატურად არის ჩადებული საერთო ღირებულებების სწავლების პოლიტიკაში.

საერთო ღირებულებების სწავლება ესტონეთში

ესტონეთის განათლების სისტემა რეგულირდება რესპუბლიკის კონსტიტუციით, ბავშვთა უფლებების დაცვის კანონით და განათლების შესახებ კანონით. იგი სტუდენტზე ორიენტირებულ და ინკლუზიურ მიდგომას ეფუძნება. საერთო ღირებულებებისა და მოქალაქეობის შესახებ განათლების სწავლება აღწერილია ეროვნულ სასწავლო გეგმაში და ისწავლება „სამოქალაქო განათლების“ საგნითა და ზოგადი კომპეტენციების გზით (European Parliament, გვ. 76).

ესტონეთის ეროვნული სასწავლო გეგმა საერთო ღირებულებების სწავლებას ყველაზე მნიშვნელოვან მიზნად მიიჩნევს. ასევე, აღნიშნულ დოკუმენტში ინკლუზიური განათლება დასახელებულია დაწყებითი და ზედა საშუალო სკოლების შესახებ კანონის და 2020 წლისთვის მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის სტრატეგიის მთავარ პრინციპად (European Parliament, გვ. 75-76).

ესტონეთი ეროვნულ სასწავლო გეგმას იყენებს საერთო ღირებულებების სწავლების პოლიტიკის ინსტრუმენტად, სოციალური მეცნიერებების საგნებს (მაგალითად, სამოქალაქო განათლებას) კი – ამ ღირებულებების წასახალისებლად. 2006 წელს ეროვნულ სასწავლო გეგმაში ზოგადი კომპეტენციების (მათ შორის, ღირებულებების, თვითგამორკვევისა და სოციალური კომპეტენციების) შეტანის გარდა, აქტიური მოქალაქეობა და კულტურული კომპეტენცია დოკუმენტს 2011 და 2014 წლებში დაემატა (European Parliament, გვ. 76).

ესტონეთის უახლესი **პოლიტიკის დოკუმენტი** ხაზს უსვამს ეროვნულ ღირებულებებს, აქტიურ მოქალაქეობას, თანასწორობას, საერთაშორისო თანამშრომლობასა და ინკლუზიურ საზოგადოებას, როგორც განათლების განვითარების მიზნებს (Estonia, 2020; Lifelong Learning Strategy, 2010).

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ დემოკრატიული საზოგადოების (უმეტესად, პოლიტიკური მონაწილეობის და დემოკრატიული პოლიტიკის) საკითხი განმტკიცებულია სამოქალაქო განათლების საგნით. აგრეთვე, იგი შეტანილია სოციალური მეცნიერებების ისეთ საგნებში, როგორებიც არის ისტორია, ესტონური ლიტერატურა და კულტურა, სწავლება ხალხების შესახებ. ამასთან ერთად, სკოლა აქტიურად მონაწილეობს ისეთ სოციალურ პროექტებში, რომლებიც საერთო ღირებულებების სწავლებას უკავშირდება, მაგალითად, მოსაზრების ფესტივალი (Opinion Festival), გლობალური განათლების სამუშაო შეხვედრა, არასამთავრობო ორგანიზაციებში ვიზიტები და სხვა (European Parliament, გვ. 78).

ესტონეთის მაგალითის შესწავლისას, ევროპარლამენტი (2017) ასკვნის, რომ

> „სკოლაში საერთო ღირებულებების სწავლებასთან / მოქალაქეობის შესახებ განათლებასთან (TCV/CE) დაკავშირებული პროექტები, როგორც წესი, კავშირშია ასევე სხვა საგნებსა და ზოგად კომპეტენციებთან, მაგალითად, მეწარმეობის განათლებასთან ან, ზოგიერთ შემთხვევაში, რელიგიის სწავლებასთან. პიროვნებათშორისი ურთიერთობები, ტოლერანტობა და ინკლუზიური საზოგადოება ინტეგრირებულია პედაგოგიურ აქტივობებსა და დავალებებში. სკოლის პროექტები ხშირად ისეთ მეთოდოლოგიას იყენებს, რომლებიც ყურადღებას ამახვილებს სოციალურ ქცევასა და კომუნიკაციაზე, გუნდურ მუშაობასა და გამოცდილების გზით სწავლაზე (მაგალითად, სტუდენტური კომპანიის დაწყება). TCV/CE-ის სწავლებისთვის რეკომენდებული მეთოდების რამდენიმე მაგალითია გონების რუკები [mind mapping], სიტუაციის ანალიზი [case studies], მცირე მასშტაბის კვლევა, როლური თამაშები, დისკუსიები, ვიზიტები და პრაქტიკული დავალებები. მასწავლებლები ამ მეთოდებს აღიქვამენ სხვადასხვა თემის ინტეგრირების და კრიტიკული საკითხების განხილვის „ინსტრუმენტებად“ (გვ. 78).

საერთო ღირებულებების სწავლება პოლონეთში

სკოლები ვალდებული არიან, გაითვალისწინონ ეროვნული განათლების სამინისტროს მიერ შედგენილი ძირითადი სასწავლო გეგმა, თუმცა, აქვთ გარკვეული ავტონომია ამ დოკუმენტზე დაფუძნებით საკუთარი სასწავლო გეგმის განვითარებისა და სწავლების მეთოდების განსაზღვრისთვის.

მასწავლებლის ქარტია – მთავარი დოკუმენტი, რომელიც აღწერს მასწავლებლების სტატუსსა და სამუშაო პირობებს – აღნიშნავს, რომ „...მასწავლებლის პასუხისმგებლობაა ახალგაზრდა თაობის განათლება რელიგიის, რწმენის, აზრის თავისუფლებისა და სხვების პატივისცემის გარემოში, დემოკრატიის, მშვიდობის და სხვა ერების, რასის და მსოფლმხედველობის ადამიანებთან მეგობრობის იდეების გათვალისწინებით...“ (National Parliament of Poland, 2006, გვ. 2). ეს ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ მასწავლებლების დონეზე პოლონეთის განათლების სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დემოკრატიასთან დაკავშირებულ ღირებულებებს (European Parliament, გვ. 123).

ამასთან, საერთო ღირებულებები აღნიშნულია სკოლის შესახებ კანონის პრეამბულაში, რომელიც მხარს უჭერს სოლიდარობას, დემოკრატიას, ტოლერანტობას, სამართლიანობასა და თავისუფლებას. სასწავლო გეგმის შინაარსის თვალსაზრისით, „კარგი მოქალაქის“ ზოგადი ხედვა შეტანილია სკოლის სხვადასხვა საგანში, მაგალითად, საზოგადოების შესახებ ცოდნაში, ისტორიაში, პოლონურ ლიტერატურაში, კულტურის შესახებ ცოდნაში, მეწარმეობის შესავალში (European Parliament, გვ. 124).

1990-იანი წლების განათლების რეფორმა წარმატებული იყო პოლონეთის სკოლებში დემოკრატიის და დემოკრატიული ღირებულებების სწავლების მხრივ (CIVED 1999; ICCS, 2010b). ამის მიუხედავად, დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით, პოლონელი სტუდენტები ნაკლებად თავდაჯერებულები არიან საჯარო ინსტიტუტების შესახებ, აქვთ ნაკლები ინტერესი პოლიტიკური და სოციალური აქტივობებისადმი და ნაკლებად უჭერენ მხარს ზოგიერთი უმცირესობის ჯგუფებისთვის უფლებებს (Torney-Purta et al., 2001). დოლატა და მისი კოლეგები (Dolata et al., 2004), ასევე, ზახორსკა, პაპიორი და როსკოვსკა (Zachorska, Papiór & Roszkowska, 2013) ამას ხსნიან იმის მტკიცებით, რომ სკოლებმა მოსწავლეებს არ შესთავაზეს ადეკვატური, აქტიური გამოცდილებები.

ეს – „ღირებულებების შესახებ სწავლა (ცოდნის გადაცემის გზით) VS ღირებულებების სწავლება

პრაქტიკული გამოცდილებით“ – დიქოტომია პოლონეთში კვლავ რჩება დებატების საგნად. განათლების შესახებ დისკუსიას უფრო მეტად ართულებს კათოლიკური ეკლესიის როლი, რომელიც აქტიურად არის ჩართული ღირებულებების შესახებ საზოგადოებრივ განხილვებში. ევროპარლამენტის (2017) კვლევა აღნიშნავს, რომ „სკოლებში [კათოლიკური ეკლესიის] მნიშვნელოვანი ყოფნა ხშირად სასწავლო გეგმასა და საგანმანათლებლო პრაქტიკასაც საერთო ღირებულებების შეზღუდული და კონსერვატიული გაგებისა და სწავლების მიმართულებით უბიძგებს“ (გვ. 125).

უფრო მეტიც, კიდევ ერთი კრიტიკული მიდგომის მიხედვით, არსებობს სხვაობა განათლების სასურველ პოლიტიკასა და სკოლის დონეზე მის პრაქტიკულ განხორციელებას შორის. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთის ძირითად ეროვნულ სასწავლო გეგმაში მკაფიოდ არის აღნიშნული დემოკრატიის პრინციპები და ამოცანები (მაგალითად, სკოლასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა, პასუხისმგებლობიანი ჩართულობა, ტოლერანტობა, ღიაობა), პოლონეთის სკოლებს არ აქვთ ამ ზოგადი ამოცანების პრაქტიკაში გადატანის და სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებაში დანერგვის ცოდნა და სურვილი (European Parliament, 2017, გვ. 125).

საერთო ღირებულებების სწავლება გერმანიაში

გერმანიაში საერთო ღირებულებების სწავლება მჭიდროდ არის დაკავშირებული მოქალაქეობის შესახებ განათლებასთან. დემოკრატიის ადრეულ დღეებში ტოტალიტარული რეჟიმის გაბატონების გამოცდილების გამო, გერმანიამ დემოკრატიული მიდგომებისა და მოქალაქეობის შესახებ განათლება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პერიოდში სტაბილური დემოკრატიის მშენებლობის განუყოფელ ნაწილებად მიიჩნია. „დემოკრატიებს დემოკრატები სჭირდება“ – ეს კრედო გერმანიაში დღემდე აქტუალურია (European Parliament, 2017, გვ. 98-99).

პოლიტიკის დოკუმენტები, ანუ ყველა ფედერალური მიწის საგანმანათლებლო აქტი, რომელიც ზოგად ჩარჩოს წარმოადგენს და განსაზღვრავს სკოლასა და სასწავლო გეგმასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, აღიარებენ დემოკრატიის, ტოლერანტობისა და მონაწილეობის წახალისების საჭიროებას (European Parliament, 2017, გვ. 101). მოქალაქეობის შესახებ განათლების საბოლოო მიზანი არის არა უბრალოდ „დემოკრატიული სტატუს-კვოს შენარჩუნება, არამედ მოქალაქეების განსჯისა და რეაგირების უნარების განვითარება, რაც, თავის მხრივ, მოქალაქეებს მისცემს მოქალაქეობრივი პრინციპებისა და სტრუქტურების გადააზრებისა და რეფორმულირების შესაძლებლობას, განსაკუთრებით მათი, რომლებიც კრიტიკულ აზროვნებასა და პოლიტიკურ მონაწილეობას საჭიროებს “ (European Parliament, 2017, გვ. 102; Lange, 2008).

გერმანიის განათლებისა და პოლიტიკის სისტემის ფედერალური ბუნების გამო ქვეყნის სკოლების საგნებისთვის ერთიანი სასწავლო გეგმა არ არსებობს. შესაბამისად, მოქალაქეობასთან დაკავშირებულ საგნებს ისეთი განსხვავებული სახელები აქვს, როგორებიც არის პოლიტიკა და ეკონომიკა, სოციალური მეცნიერებები, პოლიტიკა. ყველა მათგანი ფარავს დემოკრატიული საზოგადოებების ფუნდამენტურ პრინციპებთან, თანამედროვე საზოგადოებრივ თემებთან, მაგალითად, კულტურულ მრავალფეროვნებასა და მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამასთან, მოქალაქეობასთან დაკავშირებული განათლება გამოიყენება, როგორც პედაგოგიური სკოლის პრინციპი განათლების ყველა საფეხურზე, არასამთავრობო ორგანიზაციები კი დემოკრატიისა და ტოლერანტობის შესახებ მასალების გავრცელებასა და ტრენინგების ჩატარებაში არიან ჩართული (European Parliament, 2017, გვ. 99).

საერთო ღირებულებების სწავლება ფინეთში

1990-იან წლებში განხორციელებულმა განათლების მასშტაბურმა რეფორმამ საფუძველი ჩაუყარა ამ სფეროში მსოფლიო მასშტაბით ფინეთის წარმატებას. რეფორმის გათვალისწინებით, ფინეთის საგანმანათლებლო სისტემამ დეცენტრალიზაციისა და ინდივიდუალიზმისკენ გადაინაცვლა (Tirri & Kuusisto, 2013; Kuusisto, Gholami & Tirri, 2016). მოქალაქეობის შესახებ განათლება სტუდენტების ჩართულობისა და მათთვის საზოგადოების ეთიკური და აქტიური წევრობის სასწავლებლად და შესაბამისად, ტოლერანტობისა და მრავალფეროვნები-

სადმი პატივისცემის წასახალისებლად მნიშვნელოვანი საშუალება გახდა (Tirri, 2008). აგრეთვე, ფინური მიდგომის მიხედვით, როდესაც განათლება მრავალკულტურულია და მასში სხვადასხვა ეთნოსია ჩართული, საზოგადოების აქტიური წევრობისადმი სტუდენტების ცნობიერებასა და პასუხისმგებლობას ამაღლებს (Rasanen, 2007; Talib, Lofstrom & Meri, 2004; European Parliament, გვ. 84).

განათლების შესახებ ოფიციალური დოკუმენტები და ზოგადი კანონები გამოიყენება საერთო ღირებულებების სწავლების სტიმულირებისთვის პოლიტიკის ინსტრუმენტებად. ამას ემატება საბაზისო განათლების შესახებ ძირითადი ეროვნული სასწავლო გეგმა (NCCBE), რომელიც მუნიციპალიტეტებისა და სკოლებისთვის ადგილობრივი სასწავლო გეგმების მომზადებისთვის ერთგვარი სახელმძღვანელო პრინციპია.

არ არსებობს ერთი კონკრეტული საგანი, რომელიც საერთო ღირებულებების სწავლებისთვის გამოიყენება. დეცენტრალიზაციის შედეგად, ფუნდამენტური ღირებულებები სხვადასხვა დონეზე, მათ შორის, პარლამენტის, განათლების ეროვნული საბჭოს, მუნიციპალიტეტებისა და სკოლების მიერ არის განსაზღვრული (European Parliament, გვ. 84-85). თანასწორობის, ჰუმანურობის, დემოკრატიისა და კულტურული მრავალფეროვნების ღირებულებები შვიდ კომპეტენციაშია ასახული (NCCBE, 2014; European Parliament, გვ. 85):

1. ფიქრი და სწავლის სწავლა;
2. კულტურული კომპეტენციები, ინტერაქცია და თვითგამოხატვა;
3. საკუთარ თავზე ზრუნვა და ყოველდღიური ცხოვრების მართვა;
4. მრავალწიგნიერება;
5. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კომპეტენცია;
6. სამუშაო ცხოვრების კომპეტენცია და მეწარმეობა;
7. მონაწილეობა, ჩართულობა და მდგრადი მომავლის მშენებლობა.

ფინურ სკოლაში თითოეული საგანი აუმჯობესებს ამ შვიდ კომპეტენციას სხვადასხვა გზით და ასპექტით, თავად ეს კომპეტენციები კი დემოკრატიისა და ტოლერანტობის სწავლების საშუალებებად გამოიყენება (European Parliament, გვ. 85).

საბაზისო განათლების შესახებ ახალი ძირითადი ეროვნული სასწავლო გეგმა (2014) უფრო მეტ ყურადღებას ამახვილებს მონაწილეობაზე. დემოკრატიული მონაწილეობის, დემოკრატიული პოლიტიკისა და დემოკრატიული საზოგადოების შესახებ ცოდნა სხვადასხვა საგანშია შეტანილი, გამორჩეულად კი მათზე სოციალური სწავლების, რელიგიური განათლების, ისტორიის, ენების, გეოგრაფიისა და ფილოსოფიის საგნები საუბრობს. ამასთან, დემოკრატიის სწავლებისთვის სკოლაში კლასგარეშე პროექტები ფართოდ გამოიყენება (European Parliament, გვ. 87).

ტოლერანტობის საკითხები ყველა საგანშია შეტანილი, მაგრამ რელიგიის განათლების, სეკულარული ეთიკის, ისტორიის, სოციალური სწავლების და ენების საგნები მასზე უფრო მეტ ყურადღებას ამახვილებს. ამასთან, პიროვნებათშორისი ურთიერთობებისა და უნარების განვითარებაზე ფინური სკოლის ყველა საგანი ყოველდღიურ რეჟიმში ზრუნავს (European Parliament, გვ. 88).

საერთო ღირებულებების სწავლება სლოვენიაში

განათლების შესახებ აქტის ორგანიზება და დაფინანსება, კერძოდ ამ დოკუმენტის 2008 წლის მარტის დამატება, განმარტავს მიზნებს, რომლებსაც ადამიანის უფლებების განათლება ეფუძნება. მათ შორისაა „ერთმანეთის ტოლერანტობისთვის საჭირო განათლება, გენდერული თანასწორობის, დემოკრატიული და აქტიური მოქალაქეობის, განსხვავებებისადმი პატივისცემის, თანამშრომლობის, ბავშვის და ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემის, მსგავსი სქესისთვის თანასწორი შესაძლებლობების შესახებ ცნობიერების ჩამოყალიბება, დემოკრატიულ საზოგადოებაში ცხოვრებისთვის საჭირო უნარების გამომუშავების მიზნით“ (European Parliament, 2017, გვ. 139).

სლოვენიაში საერთო ღირებულებების სწავლება განათლების 1996-1999 წლების რეფორმით დაიწყო, როდესაც სკოლებში პირველად გაჩნდა საგანი „ეთიკა და საზოგადოება“. იგი 2001 წლიდან საგნის „მოქალაქეობის განათლება და ეთიკა“ სახით არსებობს, მისი სასწავლო გეგმა კი სლოვენიაში (მათ შორის, ქვეყნის ევროკავშირში წევრობის

გამო), ევროპასა და მსოფლიოში განვითარებული ცვლილებების გათვალისწინებით 2006-2011 წლებში მნიშვნელოვნად შეიცვალა. საგნის სასწავლო გეგმა მიჰყვება XXI საუკუნეში მოქალაქეობის შესახებ განათლების კონცეფციას, სწავლების მეთოდოლოგია კი ახალგაზრდა მოქალაქეებში სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციების განვითარებას ახალისებს. ამასთან, საერთო ღირებულებები ისწავლება სხვადასხვა სავალდებულო (მაგალითად, სოციალური მეცნიერებები, ისტორია, სოციოლოგია, გეოგრაფია, ფილოსოფია, უცხო ენები, ხელოვნება, სპორტი და სხვ.) და არჩევითი (რელიგია და ეთიკა, სამოქალაქო კულტურა, ევროპათმცოდნეობა, განათლება სოლიდარობისთვის, ფილოსოფია ბავშვებისთვის, მედიაგანათლება და სხვ.) საგნის ფარგლებში (European Parliament, 2017, გვ. 137-138).

ამჟამად სლოვენიის კანონმდებლობა და სასწავლო გეგმები მხარს უჭერს საერთო ღირებულებებისთვის განათლებისადმი სასწავლო გეგმაშორის და თემატურ მიდგომას. აგრეთვე, ექსპერტიზის სფეროს მიხედვით, ეროვნულ ინსტიტუტებს (მაგალითად, განათლების, მეცნიერებისა და სპორტის სამინისტროს, სლოვენიის რესპუბლიკის განათლების ეროვნულ ინსტიტუტს, განათლების კვლევით ინსტიტუტს, გამოცდების ეროვნულ ცენტრს და ფაკულტეტებს) და არასამთავრობო ორგანიზაციებს (მაგალითად, სლოვენიის ახალგაზრდობის მეგობრების ასოციაციას, ამნესტი ინთერნეიშენალს, სლოვენიის ფილანთროპიას, ჰუმანიტასს და სხვებს) შეუძლიათ სკოლებისა და მასწავლებლებისთვის მოდერნიზებული სასწავლო გეგმის პარადიგმის რეალიზებაში ექსპერტული (პროფესიული ტრენინგების, პროფესიული დიდაქტიკური მასალების, სკოლის აქტივობებში პროფესიული თანამშრომლობის სახით) დახმარების აღმოჩენა (European Parliament, 2017, გვ. 139-140).

ვიდრე საქართველოს სკოლებში საერთო ღირებულებების სწავლების პოლიტიკას განვიხილავთ კვლევის მომდევნო თავში, შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირში საერთო ღირებულებების სწავლების სფეროში არ არსებობს ჰარმონიზებული ან ცენტრალურად მარეგულირებელი კანონმდებლობა. სოციალური, კულტურული, პოლიტიკური და ისტორიული ფაქტორების გათვალისწინებით, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს ამ მიმართულებით აქვთ თავიანთი ინდივიდუალური მიდგომები. ამასთან, წევრ სახელმწიფოებს შორის განსხვავებების მიუხედავად, საერთო ღირებულებების სწავლება თითოეული მათგანის განათლების პოლიტიკაში საკმაოდ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, კონკრეტულად დემოკრატიის (პოლიტიკური მონაწილეობა, დემოკრატიული პოლიტიკა, დემოკრატიული საზოგადოება) და ტოლერანტობის (პიროვნებათშორისი ურთიერთობები, ტოლერანტობა განსხვავებული სოციალური და კულტურული ჯგუფის მიმართ, ინკლუზიური საზოგადოება) კომპონენტები კი ადეკვატურად არის ასახული ამ ქვეყნების საერთო ღირებულებების სწავლების პოლიტიკაში.

პოლიტიკა საქართველოს სკოლებში საერთო (ევროპული) ღირებულებების სწავლების შესახებ

კონტექსტი და პოლიტიკის დოკუმენტები

საქართველოს სკოლებში საერთო ევროპული ღირებულებების სწავლებაზე ჩატარებული კვლევის შედეგების განხილვამდე, აუცილებელია პოლიტიკის დონეზე ამ საკითხთან დაკავშირებული ვითარების, კერძოდ, ისტორიული განვითარების და **პოლიტიკის დოკუმენტის**, გაანალიზება.

საქართველომ დამოუკიდებლობა მე-20 საუკუნის დასასრულს აღიდგინა. თუმცა, ამ მნიშვნელოვან მოვლენას თან მოჰყვა არასტაბილურობა და სახელმწიფო ინსტიტუტების მოშლა/რღვევა. 1991-2003 წლებში საქართველოს ზოგადი განათლების სისტემისათვის დამახასიათებელი იყო ქაოსურობა, სპონტანურობა, კანონებისა და რეგულაციების, ასევე, მართვის, საგანმანათლებლო მიზნების, პოლიტიკისა თუ სტრატეგიების სწორი და ნათელი ხედვების ნაკლებობა. მათი არსებობა კი მნიშვნელოვანი იყო საერთო ეროვნული მიზნების, მათი მიღწევის გზებისა და სტრატეგიების განსაზღვრისათვის. საქართველოს სასკოლო სისტემის

ძირითადი მახასიათებლები ასევე იყო მასობრივი კორუფცია (ჯანაშია, 2004) და რეგულაციებისა და კანონის უზენაესობის უპატივცემულობა. ამას გარდა, სისტემაში იყო იმ განათლების სპეციალისტების ძალიან დიდი დეფიციტი, რომელთაც ჰქონდათ განათლების დაგეგმვის, მართვისა და ადმინისტრირების სპეციფიკური ცოდნა და გამოცდილება. მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა ის ფაქტი, რომ საქართველოს მთლიანი განათლების სისტემა სათანადოდ არ ფინანსდებოდა, რასაც შედეგად მოჰყვა სტანდარტების გაუარესება და განათლების დონის დაცემა (Schmidt-Braul & Kopp, 2007, გვ. 285).

რეგულაციების ნაკლებობის/არარსებობის შედეგად, სკოლამდელი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მსგავსად, გაიხსნა უამრავი კერძო სკოლა, რომელთა განათლების ხარისხთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები არსებობდა. გარდა ამისა, არ არსებობდა ცენტრალიზებული ერთიანი ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფდა განათლების ეროვნულ სტანდარტებსა და ხარისხს. ცენტრალიზებული დაგეგმვისა და ადმინისტრირების არარსებობა არ ნიშნავდა, რომ რეგიონულ ან, თუნდაც, სკოლის დონეზე, განათლების სპეციალისტებს შეეძლოთ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა, ცოდნის მიწოდება ან სწავლის შედეგების შეფასება იმდროინდელი საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისად. სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გამო ჩამოყალიბდა სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობის დიდი ფენა, რომელთაც არ ჰქონდათ წვდომა ზოგად განათლებაზე. რაც შეეხება უშუალოდ სასწავლო გარემოს, მთავარი გამოწვევა იყო სწავლება-სწავლის პრაქტიკისა და მიდგომების სტანდარტებთან შეუსაბამობა, ვინაიდან თავის დროზე, მასწავლებლებს ასწავლიდნენ ცოდნის გადაცემას ,,საყოველთაოდ შეთანხმებული'' ფაქტების მეშვეობით, ამ ფაქტების სარწმუნოობისა და სანდოობის ყოველგვარი კრიტიკის გარეშე. სასწავლო გეგმა მიზნად არ ისახავდა კრიტიკული აზროვნების განვითარებას. მთლიანად განათლების სისტემა უარესდებოდა (Andguladze & Mindadze, 2015).

თუმცა, საქართველოს პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში 2003 წლიდან დაწყებულმა დემოკრატიულმა ძვრებმა განათლების სისტემის ევროპული სტანდარტების, ნორმებისა და ღირებულებების შესაბამისად რეფორმირებისთვის წარმოშვა ახალი იმპულსი (საქართველოს პარლამენტი, 2005). ბევრი რეფორმის განხორციელების პროცესი უფრო ინტენსიური გახდა 2004 წლიდან, მაგალითად, მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროგრამა „განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტის“ საშუალებით, რომელიც სახელმწიფოს ბევრ სხვა ინიციატივასთან ერთად, მიზნად ისახავდა განათლების სივრცის შემდეგი ასპექტების გამოცოცხლებას:

- განათლების დეცენტრალიზაცია;
- განათლების დაფინანსების სისტემა;
- უნივერსიტეტში სტუდენტების ჩარიცხვის პროცედურები;
- ეროვნული სასწავლო გეგმის შემოღება;
- მასწავლებლების პროფესიული განვითარება (Andguladze & Mindadze, 2015).

სასკოლო განათლების სისტემის რეფორმირების მესამე ფაზა განხორციელდა დაახლოებით 2010-2012 წლებში. ნ. ანდღულაძე და ი. მინდაძე (2015) განმარტავენ, რომ ეს იყო მთლიანი სექტორის ხელახალი ცენტრალიზაციის პროცესი და მომეტებული აქცენტი გაკეთდა საგანმანათლებლო დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროცესების კონტროლზე.

საქართველოს კონტექსტში ხელახალი ცენტრალიზაცია გულისხმობდა ცენტრალური მთავრობის მიერ ძალაუფლების, უფლებამოსილებისა და კონტროლის უკან დაბრუნებას. ხელახალი ცენტრალიზაციის პროცესი, უფრო ზუსტად კი ცენტრალიზაციის პროცესი, განხორციელდა შემდეგი ქმედებებით:

- სკოლის სამეურვეო საბჭოებმა დაკარგეს თავიანთი წამყვანი როლი სკოლის მართვის პროცესში;
- განათლების სამინისტრომ დაიბრუნა ძალაუფლება და სკოლის დირექტორების დანიშვნის ფუნქცია;
- სახელმძღვანელოების შერჩევისა და შემუშავების პროცესზე პასუხისმგებლობა აიღო ცენტრალურმა მთავრობამ;
- განათლების სამინისტრო სრულად გახდა პასუხისმგებელი მასწავლებლების პროფესიულ განვითარებასა და მომზადება-გადამზადებაზე.

უმთავრეს პრობლემას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ცენტრალიზაციის პროცესს განაპირობებდა

მხოლოდ პოლიტიკური დღის წესრიგი, რაც ცენტრალურ მთავრობას შესაძლებლობას აძლევდა სრულად გაეკონტროლებინა საკუთარი მოქალაქეები.

რეფორმების მეოთხე ფაზა უკავშირდება ინიციატივას, რომელიც ცნობილია ,,ახალი სკოლის მოდელის'' სახელით. იგი არის მიმდინარე რეფორმა და დეტალურად იქნება განხილული მომდევნო ქვეთავში.

ზემოთ აღინიშნა, რომ 2003 წლიდან განხორციელდა სხვადასხვა სახისა და მასშტაბის ცვლილება, რომელიც შეეხო განათლების ყველა ასპექტს, მაგალითად, ინფრასტრუქტურას, სწავლების მეთოდოლოგიას, სასწავლო გეგმას და ა.შ. ამ რეფორმების მეშვეობით მთავრობამ წარმატების სხვადასხვა ხარისხით სცადა განათლების სისტემის ევროპეიზაცია, მაგალითად, განათლების ხარისხის, განათლებაზე წვდომის, სოციალური ინკლუზიისა და ბევრი სხვა მიმართულებით. შედეგად, როგორც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD, 2019) ანგარიშშია განმარტებული, ,,ბოლო პერიოდში საქართველოში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მდგომარეობა საგანმანათლებლო პროცესებში ჩართულობისა და საგანმანათლებლო პროცესების საბოლოო შედეგების თვალსაზრისით". (ასევე, იხილეთ Parjanadze & Kapanadze, 2016; Chankseliani, 2013; Gorgodze, 2016; Kim, 2011; Mekhuzla & Roche, 2009).

მიუხედავად დადებითი ტენდენციებისა, საგანმანათლებლო პოლიტიკისა და სახელმწიფო დონეზე განათლების პროცესებზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელობის ხშირი ცვლილებები გარკვეულ კრიტიკას იწვევს და შეკითხვებს ბადებს საგანმანათლებლო პოლიტიკისა და პრაქტიკის თანამიმდევრულობასა და შინაგან ლოგიკასთან დაკავშირებით. წინა რეფორმების შეფასებისას, გ. შარვაშიძე (2003) განმარტავს, რომ არ არსებობდა მკაფიოდ ფორმულირებული ხედვა და კონკრეტული ინიციატივები არ იყო თანამიმდევრული და ლოგიკური. ჯერ კიდევ არ არის შექმნილი ჯანსაღი განათლების სისტემა, რადგან რეფორმების უმეტესობა ხორციელდებოდა ნაჩქარევად, კონკრეტული ინიციატივების შედეგების გაზომვისა და შეფასების გარეშე. უფრო მეტიც, ყოველ ჯერზე ხდებოდა ახალი რეფორმის ინიცირება სათანადო მომზადებისა და შეფასების გარეშე, რაც აუცილებელია რეფორმის სიცოცხლისუნარიანობისა და ეფექტურობისათვის. ს. გორგოძე (2016) აგრეთვე აღნიშნავს, რომ 2003-2012 წლების სასკოლო რეფორმები ხშირად განპირობებული იყო პოლიტიკური და საარჩევნო დღის წესრიგით.

განათლების სფეროს განვითარების ხელშეწყობა და სისტემის გაძლიერება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი გაცხადებული სახელმწიფო პრიორიტეტია (Commersant, 2019). ეს ხედვა ნათლად არის ფორმულირებული 2017-2021 წლების განათლებისა და მეცნიერების ერთიან სტრატეგიაში (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, თ.გ.). ეს სტრატეგია გულისხმობს მრავალი ღირებულების ფორმირებასა და ხელშეწყობას, რასაც საფუძვლად უდევს ევროპული კულტურა და მსოფლმხედველობა. დოკუმენტი ხაზს უსვამს განათლების გაუმჯობესების მხარდაჭერის საჭიროებას სხვადასხვა აქტივობის გზით, მაგალითად, მასწავლებლის მომზადება-გადამზადების საშუალებით, რათა „...წვლილი შეიტანოს ეროვნული და გლობალური ღირებულებების, ადამიანის უფლებების, განათლების წახალისებაში, გლობალური და ციფრული მოქალაქეობის და მდგრადი განვითარების კომპეტენციების განვითარებაში, მრავალკულტურული განათლების, ბავშვზე ორიენტირებული, უსაფრთხო, თანასწორობაზე დაფუძნებული, ძალადობისგან თავისუფალი, კულტურული და მამოტივირებელი გარემოს ჩამოყალიბებაში" (The Ministry of Education, Science, Culture and Sport of Georgia, 2019a, გვ. 31).

გარდა ამისა, ეროვნულ სასწავლო გეგმაში ნათლად არის გამოკვეთილი ისეთი ღირებულებები, როგორებიც არის მდგრადი განვითარება, ადამიანის უფლებები, კონსტიტუციური უფლებები და ვალდებულებები, მრავალფეროვნება, უსაფრთხოება და განსხვავებული ინდივიდების ერთ საზოგადოებაში მშვიდობიანი თანაცხოვრება, თანასწორობა და სხვა (ეროვნული სასწავლო გეგმის პორტალი, 2015). ამასთან, მრავალი ღირებულება, რომლებიც მხარდაჭერილია ევროპულ კონტექსტში, ასევეა წარმოდგენილი ფორმალურ დონეზე ქართულ პოლიტიკურ დისკურსში. ჩვეულებრივ, ასეთი ღირებულებების აღსანიშნავად გამოიყენება ისეთი კონცეფციები, როგორებიც არის დემოკრატია, ტოლერანტობა, თანასწორობა, თანაბარუფლებიანობა და ა.შ.

ახალი სკოლის მოდელი

საქართველოს განათლების სისტემის უახლესი რეფორმა, რომელიც ხორციელდება „ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობის“ პროგრამის მეშვეობით, ინიციირებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 18 იანვრის N48 ბრძანებით (განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, 2019). მოცემული რეფორმის მიზანია საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის გაძლიერება. იგი ხორციელდება ქვეპროგრამის მეშვეობით, რომელიც ფორმალურად ცნობილია, როგორც ,,ახალი სკოლის მოდელი''.

პროგრამის მიხედვით, დაგეგმილი იყო ახალი სკოლის მოდელის პილოტირება საქართველოს 156 საჯარო სკოლაში, თუმცა, მოგვიანებით პროგრამაში ჩაერთო 165 სკოლა, 34,000 მოსწავლე და 3,096 მასწავლებელი. რეფორმა მიზნად ისახავს როგორც სკოლის მართვის, ისე საშუალო განათლების სწავლება-სწავლის ასპექტის დაფარვას. დაგეგმილია ახალი სკოლის მოდელის ეტაპობრივი დანერგვა. 2019 წელს მოდელმა პილოტირება გაიარა დაწყებითი საფეხურის I-IV კლასებში; პროგრამამ V-IX კლასები უნდა მოიცვას 2020-2021 აკადემიურ წელს და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განმარტებით, მოდელი საქართველოს ყველა საჯარო სკოლაში სრულად უნდა განხორციელდეს 2024 წლისთვის (Ministry of Education, Science, Culture and Sport, 2020a; 2020c).

ახალი სკოლის მოდელი მოიცავს ცალკეული სკოლისთვის მეტი ავტონომიის გადაცემას; სკოლა თავად შეიმუშავებს სკოლის მართვის იმ მოდელს, რომელიც მორგებული იქნება ადგილობრივი კონტექსტის სპეციფიკაზე, საჭიროებებსა და მოთხოვნებზე. თუმცა, მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც მოხდება სკოლის მართვის მოდელის შემუშავება, აუცილებლად უნდა შეთანხმდეს დარგის ექსპერტებთან. სკოლების მხარდაჭერის მიზნით საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ექსპერტთა ჯგუფის შექმნის პასუხისმგებლობას იღებს განათლების სამინისტრო (Ministry of Education, Science, Culture and Sport, 2020b). როგორც სამინისტრო განმარტავს, ამ რეფორმის წარმატებას დიდწილად განაპირობებს პროცესის დეცენტრალიზაცია, რაც გულისხმობს ადგილობრივი რესურსცენტრებისათვის მნიშვნელოვანი როლის მინიჭებას, რათა მათ პასუხისმგებლობა აიღონ საკონსულტაციო პროცესებზე. ექსპერტთა ჯგუფები გადანაწილდება რესურსცენტრებში. ამ ჯგუფებში შევლენ დაწყებითი, ინკლუზიური და სკოლამდელი განათლების ექსპერტები და კონკრეტული სასწავლო კურსის (საგნის) გამოცდილი სპეციალისტები. „განათლების რეფორმის არსი იწყება საკლასო ოთახში და გულისხმობს როგორც საჯარო სკოლებისა და რესურსცენტრების, ასევე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართულობას“ (Ministry of Education, Science, Culture and Sport, 2020b).

ახალი სკოლის მოდელი ასევე გულისხმობს სკოლის მართვის ისეთი მოდელის შემუშავებას, რომელიც მგრძნობიარეა ადგილობრივი კონტექსტის მიმართ და ითვალისწინებს ადგილობრივი თემის მოთხოვნებსა და საჭიროებებს. გეგმის მიხედვით, სხვა ასპექტებთან ერთად, სკოლის ეფექტური მართვა უნდა განხორციელდეს ორი მიმართულებით სკოლის შეფასების მეშვეობით: ა) სკოლის კულტურა და ბ) მოსწავლეების აკადემიური მოსწრება (Ministry of Education, Science, Culture and Sport, 2020b). ახალი სკოლის მოდელის მთავარი არსი არის მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა; მართვისა და ადმინისტრირების ყველა პროცესი ორიენტირებულია ჩართულ მხარეებზე: მოსწავლეებზე, მასწავლებლებზე, სკოლის ადმინისტრაციაზე, მშობლებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებზე, მაგალითად, ადგილობრივ თემზე, სკოლის ადმინისტრაციის სფეროში დარგის ექსპერტებზე, სასწავლო საგნის დარგობრივ ექსპერტებზე და ა.შ. შესაბამისად, დაინტერესებულ მხარეთა ინტენსიურმა ჩართულობამ უნდა უზრუნველყოს, დროულად გამოვლინდეს სკოლის ადმინისტრირებისა და სწავლება-სწავლის პროცესის სუსტი და ძლიერი ასპექტები; შეგროვებული ინფორმაციის მეშვეობით ცალკეული სკოლისათვის შეიქმნება ღირებული მონაცემთა ბაზა, რაც მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მოპოვებულ მონაცემებზე დაყრდნობით სკოლის შეფასება კონტექსტის სიღრმისეულად და სათანადო სიზუსტით აღწერისა და გაანალიზების შესაძლებლობას იძლევა. შედეგად, ეს ანალიზი ხელს შეუწყობს კონკრეტული აქტივობების ინიციირებას, დაგეგმვასა და განხორციელებას, რომელთა საბოლოო მიზანია ანალიზისას გამოვლენილი სირთულეების ეფექტურად დაძლევა.

სასწავლო გეგმისა (კურიკულუმის) და დიდაქტიკის, ანუ მარტივად რომ ითქვას, სწავლება-სწავლის მეთოდოლოგიის პერსპექტივიდან უნდა აღინიშნოს,

რომ ახალი სკოლის მოდელის ბაზისს წარმოადგენს ფილოსოფია, რომელიც სკოლას განიხილავს, როგორც კონტექსტს, სადაც ახალგაზრდები იღებენ ფუნდამენტურ ცოდნას. „მათ მასალა იმდენად სიღრმისეულად უნდა ისწავლონ და გაიაზრონ, რომ შეძლონ ამ მასალის კრიტიკულად გაანალიზება, მიღებული ცოდნის სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციასთან დაკავშირება და მისი პრაქტიკაში გამოყენება. სასკოლო გარემო უნდა იყოს ინდივიდზე ორიენტირებული, მზრუნველი, ჰარმონიული, თანამშრომლობითი, თანაგრძნობის გამომხატველი და უსაფრთხო, რათა ახალგაზრდამ მოახერხოს საკუთარი სრული პოტენციალის რეალიზება“ (Ministry of Education, Science, Culture and Sport, 2020b). შესაბამისად, ახალი სკოლის მოდელი სწავლება-სწავლას უზრუნველყოფს კომპეტენციაზე დაფუძნებული სასწავლო გეგმის მეშვეობით (OECD, 2019). ამ ტიპის სასწავლო გეგმა გულისხმობს ადამიანური კაპიტალის გაძლიერებას, მოსწავლეზე ორიენტირებული შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავებას, თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობის პირობებში გუნდურ მუშაობას (Ministry of Education, Science, Culture and Sport, 2019b).

სასწავლო გეგმას საფუძვლად უდევს კონსტრუქტივისტული მიდგომა, რაც გულისხმობს, რომ სწავლა ხორციელდება პირადი გამოცდილების გაზიარების მეშვეობით. სწორედ ეს ასპექტი განსაზღვრავს ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის სოციალურ ბუნებას, რომლის შესაბამისადაც ხორციელდება სკოლაში სწავლება-სწავლის პროცესის ორგანიზება. საქართველოს მთელს ტერიტორიაზე შექმნილი ექსპერტთა ჯგუფები სკოლებს ეხმარებიან სკოლის მართვის მოდელისა და სასწავლო გეგმის შემუშავებაში. ეს პროცესი მიზნად ისახავს უნიკალური/ორიგინალური სასწავლო გეგმის შემუშავებას, რომელიც ითვალისწინებს კონკრეტული სკოლის მოთხოვნებსა და საჭიროებებს. პროგრამა ასევე მიზნად ისახავს სწავლება-სწავლის პროცესში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრირებას. როგორც განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N48 ბრძანებაშია განმარტებული, სასწავლო გეგმა უნდა დაეხმაროს მოსწავლეს შეიქმნას მნიშვნელოვანი, სისტემური ცოდნა და განივითაროს ლოგიკური აზროვნება.

ახალი სკოლის მოდელის მეშვეობით „ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობის“ პროგრამა მიზნად ისახავს სკოლისა და სასწავლო გეგმის ახალი მოდელის შემუშავებას, რომელშიც პიროვნება/მოსწავლე ყველა საგანმანათლებლო აქტივობის მთავარ ბირთვს წარმოადგენს. შესაბამისად, რეფორმის მიზანია, შეიქმნას საგანმანათლებლო გარემო, სადაც მოსწავლე/სტუდენტი შეიძენს სათანადო ცოდნას და განივითარებს უნარ-ჩვევებს, რაც აუცილებელია 21-ე საუკუნის მიერ შექმნილი გამოწვევების დასაძლევად და საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებისთვის (Ministry of Education, Science, Culture and Sport, 2019b).

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო (2019b) განმარტავს, რომ პროგრამის საბოლოო მიზნის მიღწევას ხელი უნდა შეუწყოს შემდგომმა კონკრეტულმა ამოცანებმა:

- უნიკალური სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება და დანერგვა, რომელიც ეფუძნება კონსტრუქტივისტულ ფილოსოფიასა და საგანმანათლებლო პრინციპებს;
- საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლება-სწავლის პროცესში ინტეგრირება;
- ეფექტური და ეფექტიანი სკოლის მართვის მოდელისა და მიდგომების შემუშავება;
- სწავლის შეფასების სისტემის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლის წარმატებასა და განვითარებას.

ახალი სკოლის მოდელის ამ ამოცანების მიღწევა იგეგმება სკოლის მართვის ახალი მოდელის დახმარებით, რომელიც ეფუძნება ურთიერთქმედებისა და თანამშრომლობის პრინციპებს. სასწავლო გეგმაში აქცენტი კეთდება ინდივიდებზე, რომლებიც თავიანთ ცოდნას ქმნიან/აგებენ კომპლექსური დავალებების მეშვეობით. ამ კომპლექსური დავალებების შესრულება არამხოლოდ ცოდნას, არამედ ანალიტიკური უნარებისა და პროაქტიული მიდგომების გამოყენებას მოითხოვს. მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევა არამხოლოდ განმსაზღვრელი, არამედ განმავითარებელი შეფასებით ხორციელდება. შესაბამისად, მთელი აკადემიური პროცესი უმთავრესად ეფუძნება შინაგანი მოტივაციისა და პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას.

ახალი სკოლის მოდელი წინ წამოსწევს განათლების სოციალურ ბუნებას, რომლის მიზანია მცოდნე, უნარიანი და პასუხისმგებლობიანი მოქალაქის ფორმირება. ამ ტიპის მოქალაქე არამხოლოდ საკუთარ განვითარებაზე ზრუნავს, არამედ თავისი

წვლილი შეაქვს ადგილობრივი თემის განვითარებაში და მოქმედებს სახელმწიფოს საუკეთესო ინტერესების შესაბამისად.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ახალი სკოლის მოდელი ეფუძნება მთავარ დასავლურ/ევროპულ ღირებულებებს – დემოკრატიას, თანასწორობას, თანაბარუფლებიანობას, პასუხისმგებლობას, განათლებას, განვითარებას და ა.შ. ამდენად, ახალი სკოლის მოდელის წარმატებული დანერგვა და განხორციელება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოს სახელმწიფოსთვის განვითარებისა და ევროპული ინტეგრაციის გზაზე.

ახალი სკოლის მოდელის პრაქტიკაში წარმატებით განსახორციელებლად მრავალი ინსტრუმენტია მნიშვნელოვანი, თუმცა, ერთ-ერთი მთავარ ინსტრუმენტს ეროვნული სასწავლო გეგმა წარმოადგენს (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2021). ეროვნულ სასწავლო გეგმაში ქართული სკოლებისათვის განსაზღვრულია საგანმანათლებლო მოთხოვნები, რომლებიც სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: გრძელვადიანი მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა, კონსტრუქტივისტული საგანმანათლებლო პრინციპები და სასკოლო გარემო (სკოლის კულტურა), რომელიც ეფუძნება თანაგრძნობასა და მხარდაჭერას. სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და სპორტის სამინისტრო და ადგილობრივი რესურსცენტრები სპეციფიკურ ამოცანებს აძლევენ სკოლებს. სკოლები ვალდებული არიან ეს ამოცანები ადგილობრივ კონტექსტში განახორციელონ და ამ პროცესში მათ დახარებას და კონსულტაციას უწევენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ფორმირებული ექსპერტთა ჯგუფები (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2021). ექსპერტთა ჯგუფი შედგება საგნის სპეციალისტისაგან, დაწყებითი განათლების, ტექნოლოგიების, ინკლუზიური განათლების, ლიდერობის ექსპერტებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის კოორდინატორებისაგან. ამდენად, სკოლებისთვის ხელმისაწვდომია სპეციფიკური ცოდნა და გამოცდილება, რაც მათ ეხმარება საგანმანათლებლო გარემოსა და პროცესების მართვაში ადგილობრივ კონტექსტში. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სტუდენტებისთვის მიცემული კომპლექსური დავალებები საგანმანათლებლო პროცესის ერთ-ერთ საკვანძო ინსტრუმენტებად განიხილება (Jakeli & Silagadze, 2018).

მიუხედავად იმისა, რომ ახალი სკოლის მოდელი და ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებს დეცენტრალიზაციას და გადაწყვეტილებების მიღებაზე პასუხისმგებლობის სკოლებისთვის გადანაწილებას (დევოლუცია), ამ მოდელის განხორციელებისას გარკვეული წინააღმდეგობები იჩენს თავს. მოდელის საწინააღმდეგო მთავარი არგუმენტია მოსაზრება, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა (ცენტრალური მთავრობა) და რესურსცენტრებისაგან მიღებული სპეციფიკური ამოცანების განხორციელების ვალდებულება ზღუდავს ინდივიდუალური სკოლების ავტონომიურობას. მეორე პრობლემური საკითხი, რომელიც ასევე აღწერილია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ანგარიშში, არის ის, რომ ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემული ბევრი დავალება სათანადოდ არ ინერგება სკოლის დონეზე (ადგილობრივ კონტექსტში). მაგალითისათვის გამოდგება კომპლექსური დავალებების, როგორც სწავლება-სწავლის ფორმის გამოყენება. სწავლება-სწავლის ამ მიდგომის დანერგვა საკლასო კონტექსტში ხშირად სათანადოდ და დროულად არ/ვერ ხორციელდება მიუხედავად იმისა, რომ სკოლას აქვს უფლება მოითხოვოს და დამატებითი ინსტრუქცია და დახმარება მიიღოს ექსპერტთა ჯგუფისაგან (განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, 2020a). ასევე, სკოლებმა უნდა შეიმუშაონ საკუთარი თემატური მატრიცები ცალკეული საგნისათვის, თუმცა, ძალიან ხშირად მასწავლებლებს არ აქვთ სათანადო ცოდნა, უნარ-ჩვევები და გამოცდილება. შესაბამისად, ისინი უბრალოდ იყენებენ იმ სასწავლო მატრიცებს, რომლებიც ექსპერტების მიერ ნიმუშად არის შემუშავებული. ეს საკითხები გარკვეულ კითხვებს ბადებს ეროვნული სასწავლო გეგმის მიმართ – რამდენად ეფექტურია მისი გამოყენება და რამდენად სათანადოდ ინერგება იგი კონკრეტულ სასკოლო კონტექსტში. კითხვის ნიშნები ჩნდება სკოლის ავტონომიასა და მის ეფექტურ ფუნქციონირებასთან დაკავშირებითაც.

საქართველოს სკოლები ბოლონიის პროცესის შემდეგ

თუ არსებობს ერთი, ფართომასშტაბიანი მოვლენა, რომელსაც დადებითი გავლენა ჰქონდა საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის ევროპეიზაციაზე, უპირველესად ეს არის ბოლონიის პროცესი. მართლაც, 2004 წელს საქართველოს განათლების

სისტემის ჩართვამ ბოლონიის პროცესში რადიკალურად შეცვალა მისი განვითარების ორიენტირი. საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში გაერთიანებამ სულ სხვა მოთხოვნებისა და გამოწვევების წინაშე დააყენა საქართველოს საგანმანათლებლო სივრცე. კერძოდ, მასწავლებელზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესები, რომლებიც დამახასიათებელი იყო საბჭოური საგანმანთლებლო სისტემისათვის (და თვითდინებით მიდიოდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც), გადავიდა მოსწავლეზე ორიენტირებულ აქტივობებზე. საქართველოში არსებული განათლების რეფორმების კვალდაკვალ, ეს პროცესი დღესაც მიმდინარეობს.

მთავარი ფილოსოფიური განსხვავება ამ ორ სისტემას შორის ისაა, რომ პირველ შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში მასწავლებელი დგას და მის მიერ გადაცემული ცოდნა არის ფაქტობრივი (დეკლარაციული). პროცესი მასწავლებლის მიერ მკაცრად დაგეგმილი სცენარით მიმდინარეობს და, ფაქტობრივად, უარყოფილია მოსწავლის ინტერესი, შესაძლებლობა, თავისუფალი აზროვნება, თანამშრომლობითი დამოკიდებულება; სწავლის პროცესი ერთფეროვანი, მომქანცველი რუტინაა და არ ემსახურება მოსწავლის ინტერესების განვითარებას.

მეორე შემთხვევაში, მასწავლებლის მხრიდან წახალისებისა და ურთიერთთანამშრომლობის პირობებში, გაკვეთილს მოსწავლე თავად წარმართავს მისი კოგნიტიური შესაძლებლობების, ინდივიდუალური ინტერესების, სხვადასხვა შემეცნებითი ძალების მუდმივი განვითარების პირობებში, სადაც საგანმანათლებლო საქმიანობა ზემოთ განხილული მსჯელობისაგან განსხვავებით, მოსწავლის ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან მუდმივი დაახლოებაა, მიღებული ცოდნა კი ფუნქციური და დინამიკური; მასწავლებელსა და კლასს შორის მუდმივი თანამშრომლობის კვალდაკვალ, მოსწავლე სვამს პრობლემას და თავისუფლად გამოთქვამს საკუთარ აზრს, რომელიც გაზიარებულია მასწავლებლისა და თანატოლების მიერ; მას ცოდნა მზამზარეულად კი არ მიეწოდება, არამედ აღმოჩენებით მიდის მისთვის იქამდე უცნობ ცოდნამდე. ამ პირობებში ის აზროვნებს შემოქმედებითად, კრიტიკულად და თავად პროცესიც ამგვარი ხდება, სადაც მოსწავლის ინტერესი მაქსიმალურადაა გათვალისწინებული.

როდესაც ურთიერთთანამშრომლობაზე ვსაუბრობთ, აქცენტი უნდა გავაკეთოთ ინკლუზიური განათლების განხორციელებაზეც, მოსწავლისა და მასწავლებლის მიერ ყველანაირი „სტატუსის“ მქონე თანატოლის/მოსწავლის მიმღებლობაზე და მათთან ჯანსაღ კომუნიკაციაზე, რომელიც ასევე უმნიშვნელოვანესია ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში თანაცხოვრებისათვის.

საგანმანათლებლო პროცესებისადმი ამგვარი მიდგომა, რომელიც ევროპული საგანმანათლებლო სისტემის, მისი სტანდარტებისა და ღირებულებების ნაწილია და ამავე დროს, მთავარი გამოწვევა და პრიორიტეტია საქართველოს საგანმანათლებლო სისტემისათვის, სხვადასხვა დროს აისახა ეროვნულ სასწავლო გეგმებში და განსაკუთრებული სიცხადით მესამე თაობის (2018-2024წწ.) ეროვნულ სასწავლო გეგმაშია წარმოდგენილი.

2018-2024 წლების ეროვნული სასწავლო გეგმა

საქართველოს სკოლებში საერთო (ევროპული) ღირებულებების სწავლების შესახებ კონტექსტის სრულად გასაგებად საჭიროა ვნახოთ 2018-2024 წლების ეროვნული სასწავლო გეგმა (NCP, 2016). იგი ამ სფეროში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი **პოლიტიკის დოკუმენტი**ა. აღნიშნული დოკუმენტით, სწავლა-სწავლების მიზნებია მოსწავლეს განუვითაროს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები:

„პრობლემების გადაჭრა

» პრობლემის ამოცნობა, აღწერა და გაანალიზება;
» პრობლემის გადაჭრის გზების ძიება, მათგან ყველაზე ეფექტურის შერჩევა.

კრიტიკული აზროვნება

» ფაქტების, წარმოდგენების, მოსაზრებების კრიტიკულად განხილვა და გაანალიზება;
» შეკითხვების ჩამოყალიბება და მათზე პასუხის ძიება;
» არგუმენტირებულად მსჯელობა, ანუ საკუთარი მოსაზრებების დასაბუთება შესაფერისი არგუმენტების, მაგალითების მოყვანით;

» გონივრული არჩევანის გაკეთება და მისი დასაბუთება.

შემოქმედებითი აზროვნება

» ჩანაფიქრის შემოქმედებითად განხორციელება;
» ორიგინალური იდეების გამოვლენა და ხორცშესხმა; ახლის შექმნა;
» დასმული პრობლემების გადასაჭრელად არასტანდარტული გზების მოძიება;
» სწრაფვა გარემოს გარდაქმნა-გაუმჯობესებისკენ;
» გამოწვევების მიღება, სასკოლო საქმიანობაში გაბედული ნაბიჯების გადადგმა.

თანამშრომლობა

» სამუშაოს თანასწორად განაწილება და შესრულება ჯგუფური/გუნდური მუშაობის დროს;
» მზაობა ჯგუფში/გუნდში სხვადასხვა ფუნქციის შესასრულებლად (მაგ.: ლიდერის);
» განსხვავებული იდეების, შეხედულებების კონსტრუქციულად განხილვა;
» რესურსების, მოსაზრებების, ცოდნის გაზიარება პრობლემათა ერთობლივად გადაჭრის, გადაწყვეტილებათა ერთობლივად მიღების მიზნით.

კომუნიკაცია

» განცდილის, ნააზრევის მიტანა მსმენელამდე/მკითხველამდე, მათზე შთაბეჭდილების მოხდენა;
» ინფორმაციის გაზიარება საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ვერბალური და არავერბალური საშუალებების გამოყენებით;
» სხვისი მოსმენისა და გაგების უნარი
» პიროვნული ღირსების გააზრებისა და დაფასების უნარი.

მეწარმეობა, ინიციატივების გამოვლენა და საქმედ ქცევა

» სწავლა-სწავლების პროცესში ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის გამოვლენა;
» ახალი იდეების, მიდგომების, შესაძლებლობების ძიება და მათი განხორციელება სწავლის გაუმჯობესების მიზნით;
» მზაობა გამოწვევების მისაღებად, გაბედული ნაბიჯების გადასადგმელად.

დროსა და სივრცეში ორიენტირება

» თანამედროვე რეალობის სივრცულ-დროით ჭრილში გააზრება და ინტერპრეტირება;
» მულტიპერსპექტიული ხედვა დროითი და სივრცული ფაქტორების გათვალისწინებით.

კვლევა

» კვლევითი ამოცანის, კვლევის პროცედურების, მონაცემების მოპოვების გზებისა და აღრიცხვის ფორმების განსაზღვრა; სათანადო რესურსების შერჩევა;
» კვლევის ჩატარება, მონაცემების აღრიცხვა და სხვადასხვა ფორმით წარმოდგენა/ ორგანიზება;
» მონაცემების ანალიზი, არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე დასკვნების გამოტანა; კვლევის შედეგების შეფასება;
» კვლევითი სამუშაოების ჩატარების დროს ეთიკისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვა.

სწავლის სწავლა, დამოუკიდებლად საქმიანობა

» აქტივობის/დავალების ღირებულების განსაზღვრა – მოსწავლემ უნდა დაინახოს, რას შესძენს აქტივობის შესრულება, რა პიროვნულ თუ სოციალურ სარგებელს მოუტანს მას;
» აქტივობის/დავალების დაგეგმვა – მოთხოვნათა გააზრება და მის შესასრულებლად საჭირო ცოდნის განსაზღვრა; დავალების/აქტივობის მთავარი მიზნის განსაზღვრა; სამუშაოს წარმატებით შესრულების კრიტერიუმების დადგენა; განსახორციელებელი სამუშაოს ეტაპების გამოკვეთა; იმის განჭვრეტა, თუ რა გაუადვილდება, რა გაუძნელდება, რაში დასჭირდება დახმარება; სტრატეგიების მიზანშეწონილად შერჩევა სამუშაოს თითოეული ეტაპისათვის;
» სწავლის პროცესის მონიტორინგი – დაფიქრება სწავლის პროცესზე, იმ პირობების და ფაქტორების ამოცნობა, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს წინსვლას, სათანადო ზომების მიღება წინსვლის ხელშესაწყობად; თვითშეფასება ძლიერი და სუსტი მხარეების და-

სადგენად, სუსტი მხარეების გასაძლიერებლად გზების დასახვა;

» სოციოემოციური მართვა – ნერვიულობის მინიმუმამდე დაყვანა, საჭიროებისამებრ, დახმარების თხოვნა, საკუთარ თავში სიძნელეთა გადალახვის რესურსების პოვნა; შეცდომების მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება და წინსვლის წყაროდ გამოყენება;
» ცალკეული საქმიანობისთვის გამოყოფილი დროის ეფექტურად გამოყენება.

პასუხისმგებლობა

» სასკოლო საქმიანობებში (სასკოლო ცხოვრებაში) ნაკისრი ვალდებულების შესრულება;
» სამუშაოს დადგენილ ვადებში დასრულება და ჩაბარება;
» საკუთარი ქცევის მართვა, საკუთარ ქცევებზე, სოციალურ აქტივობებზე პასუხისმგებლობის აღება.“

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, ეროვნული სასწავლო გეგმა გამოყოფს შემდეგ პრიორიტეტულ თემებს:

ა) კულტურული მემკვიდრეობის დაცვა;
ბ) გარემოს დაცვა;
გ) ჯანსაღი ცხოვრება;
დ) სამოქალაქო უსაფრთხოება;
ე) კონფლიქტის მართვა;
დ) ფინანსური წიგნიერება;
ე) კულტურული მრავალფეროვნება.

საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმის მე-18 მუხლი მოიცავს სასკოლო კულტურის შესახებ რამდენიმე რეგულაციას, რაც არსებითია ჩვენი კვლევისთვის (დემოკრატიისა და ტოლერანტობის მხრივ). კერძოდ, მასში ვკითხულობთ, რომ:

„1. სკოლამ საგნების სწავლა–სწავლების, სასკოლო პროექტების, სპორტული, სახელოვნებო და საკლუბო აქტივობების (მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების ჩართულობით) საშუალებით ხელი უნდა შეუწყოს:

ა) ურთიერთპატივისცემის, შემწყნარებლობისა და თანასწორობის დამკვიდრებას მოსწავლეებს, მშობლებსა და მასწავლებლებს შორის განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტიკური და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა;

ბ) სკოლის საზოგადოების წევრებისთვის შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნას;

გ) მოსწავლეთა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარებასა და სამოქალაქო ჩართულობას;

ე) კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებისა და ტოლერანტობის დამკვიდრებას – შემწყნარებლობა (ტოლერანტობა) გულისხმობს ქვეყანასა თუ მსოფლიოში არსებული მრავალფეროვნების მიმღებლობასა და პატივისცემას, რაც ადამიანთა მშვიდობიანი თანაცხოვრების ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს. სკოლის საერთო კულტურამ ხელი უნდა შეუწყოს მოზარდს იმის გააზრებაში, რომ ყოველი ადამიანი წარმოადგენს გარკვეული ენის, კულტურის, ტრადიციის მატარებელ ინდივიდს, რომელსაც თავისი უნიკალური წვლილის შეტანა შეუძლია ქვეყნისა თუ საზოგადოების წინსვლაში. ეს სტიმულს მისცემს მოზარდის სრულფასოვან განვითარებას და დაეხმარება მას კულტურათაშორისი დიალოგის წარმართვაში როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ;

თ) კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების გზების სწავლებას – კონფლიქტი ცხოვრების განუყოფელ ნაწილია. სკოლაში ხშირად კონფლიქტის თანმდევი პროცესია ძალადობაც (ბულინგი). ამის გათვალისწინებით, სკოლის საერთო კულტურა ხელს უნდა უწყობდეს ფიზიკური თუ ფსიქიკური ძალადობის ფენომენის გააზრებას, ძალადობასა და კონფლიქტს შორის არსებული განსხვავებების გაცნობიერებასა და კონფლიქტების არაძალადობრივი მეთოდებით გადაჭრის გზების სწავლებას“.

საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სოციალური მეცნიერებები, როგორც დამოუკიდებელი საგნობრივი ჯგუფი, ისწავლება შემდეგი საგნებით:

1. მე და საზოგადოება (ისწავლება III-IV კლასებში);
2. ჩვენი საქართველო (ისწავლება V-VI კლასებში);
3. საქართველო და მსოფლიო ისტორია (ისწავლება VII-XII კლასებში);
4. გეოგრაფია (ისწავლება VII-VIII კლასებში);
5. საქართველოს გეოგრაფია (ისწავლება IX კლასში);

6. მსოფლიოს გეოგრაფია (ისწავლება X კლასში);
7. გლობალური პრობლემების გეოგრაფია (ისწავლება XI კლასში);
8. სამოქალაქო განათლება (ისწავლება VII-X კლასებში).

ეს ჯგუფი აგრეთვე მოიცავს ისეთ არჩევით საგნებს, როგორებიც არის ამერიკისმცოდნეობა, ეკონომიკა და სახელმწიფო, მეწარმეობის საფუძვლები, მსოფლიო კულტურა, სახელმწიფო და სამართალი, საქართველოს ეთნოგრაფია, სამხედრო ისტორია და ეროვნული თავდაცვა, გარემო და მდგრადი განვითარება.

საზოგადოებრივი მეცნიერებების ეს ჯგუფი განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენი კვლევისთვის, ვინაიდან იგი მოიცავს იმ საგნებს, რომელთა ძირითადი მიზანია ინფორმირებული, აქტიური და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის აღზრდის ხელშეწყობა; მშობლიური გარემოს შესახებ მოსწავლის ინფორმირება; მსოფლიო ისტორიულ და გეოგრაფიულ პროცესებში მშობლიური ქვეყნის ადგილის განსაზღვრაში მოსწავლის დახმარება; მოსწავლის პატრიოტ და ჰუმანურ ადამიანად ჩამოყალიბება. ამასთან, საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების სწავლებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეებში სამოქალაქო ღირებულებების გამომუშავებისთვის. ამ ჯგუფის ფარგლებში მოსწავლეები ეცნობიან ისეთ კონცეფციებს, როგორებიც არის პიროვნული განვითარება, ინიციატივა და მეწარმეობა, სოციალური და კულტურული განვითარება, მოქალაქეობა და უსაფრთხოება, პიროვნება, იდენტობა, კულტურული მსგავსებები და განსხვავებები, გეოგრაფიული ადგილები, ეკონომიკა, მმართველობა და გადაწყვეტილების მიღება, ღირებულებები და კულტურა, ეთიკური საკითხები, მრავალფეროვნება, თანასწორობა, კონფლიქტის მოგვარება, გარემოს დაცვა, სოციალური პასუხისმგებლობა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სხვ.

ზემოხსენებული პოლიტიკის დოკუმენტების გათვალისწინებით, შეიძლება იმის დასკვნა, რომ პოლიტიკის დონეზე სახელმწიფო უზრუნველყოფს საერთო ევროპული ღირებულებების, კერძოდ, ინკლუზიურობის, ტოლერანტობის, კულტურათაშორისი დიალოგის, დემოკრატიის, თანასწორობის მოსწავლეებისთვის გაცნობას; ახალგაზრდებს აქვთ ამ ღირებულებების და ეთიკური პრინციპების გააზრების შესაძლებლობა, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მათ მომავალ პიროვნულ და პროფესიულ ცხოვრებას, აგრეთვე, ტოლერანტული და დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებას.

საქართველოს სკოლებში საერთო (ევროპული) ღირებულებების სწავლების შესახებ კვლევის შედეგები

საქართველოს სკოლებში ევროპული ღირებულებების სწავლების შესახებ კონტექსტისა და პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზის შემდეგ, ეს თავი შეისწავლის სკოლის პრაქტიკას – როგორ ხორციელდება აღნიშნული პოლიტიკა რეალურ ცხოვრებაში. კვლევის მეთოდოლოგია შემუშავდა იმგვარად, რომ ეს საკითხი სრულფასოვნად ყოფილიყო გამოკვლეული.

მეთოდოლოგია

მიმდინარე კვლევის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენდა საველე სამუშაოები, რაც გულისხმობდა კვლევის საგნის შესწავლას უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. აღნიშნული პროცესი გულისხმობს, ერთი მხრივ, საქართველოს საჯარო სკოლებში მოსწავლეებთან დისკუსიების გამართვას ფოკუსჯგუფის ფორმატით, მეორე მხრივ, უშუალოდ საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელებთან სიღრმისეულ ინტერვიუებს.

საველე სამუშაოებისთვის მოსამზადებელი პროცესი რამდენიმე ეტაპად წარიმართა. პირველ ეტაპზე განისაზღვრა საკვლევი არეალი. საბოლოო ჯამში, გადაწყდა, რომ საველე სამუშაოები ჩატარდებოდა მთელი საქართველოს მასშტაბით თითქმის ყველა დიდ ქალაქსა და რაიონულ ცენტრში. შესაბამისად, კვლევისთვის შეირჩა 22 სკოლა თბი-

ლისში, რუსთავში, მცხეთაში, გორში, მარნეულში, თელავში, ახალქალაქში, ბორჯომში, ბათუმში, ოზურგეთში, ზუგდიდსა და მესტიაში. სკოლების შერჩევისას მხედველობაში იქნა მიღებული ის გარემოება, რომ სამუშაოები მიმდინარეობდა სასწავლო წლის დასრულების შემდგომ, შესაბამისად სკოლის შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა, თუ რამდენად შეძლებდნენ მოსწავლეები ფოკუსჯგუფში მონაწილეობის მიღებას, ასევე, ყურადღება გამახვილებულ იქნა მოსწავლეთა რაოდენობასა და კონტინგენტის მრავალფეროვნებაზე. შერჩეულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა შორის მოხვდა როგორც „ახალი სკოლის“ პროექტის მონაწილე დაწესებულებები, აგრეთვე, ის სკოლებიც, რომლებიც ამ ეტაპზე არ არიან ჩართული მოცემულ პროექტში.

მიზნობრივი ჯგუფების დაკომპლექტებისას ძირითადი აქცენტი გაკეთდა მე-10, მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეებზე, თუმცა, ცალკეულ, გამონაკლის შემთხვევებში წარმოდგენილი იყვნენ მე-9 კლასის მოსწავლეებიც. თითოეული მიზნობრივი ჯგუფი შედგებოდა დაახლოებით 10-12 მონაწილისგან. მიუხედავად იმისა, რომ იყო სურვილი, დაცული ყოფილიყო გენდერული ბალანსი, უმეტეს შემთხვევაში მდედრობითი სქესის მონაწილეთა რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა მამრობითი სქესის მონაწილეთა რაოდენობას. იყო შემთხვევები, როდესაც ჯგუფში იყო მხოლოდ ერთი მამრობითი სქესის მონაწილე, ან საერთოდ არ იყო ასეთი.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მკვლევართა ჯგუფისთვის საინტერესო იყო არსებული რესურსის ფარგლებში მაქსიმალურად ყოფილიყო მოცული როგორც დომინანტი სოციალურ ინტერესთა ჯგუფების, ისე ცალკეული ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები.

მოსამზადებელი სამუშაოების მეორე ეტაპზე დაკომპლექტდა საველე სამუშაოებში ჩართული ჯგუფები, კერძოდ ღია კონკურსის საფუძველზე შეირჩა 29 მკვლევარი, რომელთა მიმაგრებული იყვნენ დაინტერესების რეგიონებზე. პროექტის გუნდის მიერ შერჩეულ მკვლევრებთან ჩატარდა მოსამზადებელი შეხვედრა პროექტის, კვლევის საგნისა და შერჩეული მეთოდის შესახებ.

მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ, 14 – 28 ივლისის პერიოდში, განხორციელდა 10 სამუშაო ვიზიტი შერჩეულ სკოლებში, სადაც წარიმართა საველე სამუშაოები. ჯამურად მომზადდა 38 დოკუმენტი, რომლებიც საფუძვლად დაედო წარმოდგენილ ანგარიშს.

პროექტის გუნდის მიერ საველე სამუშაოები წარიმართა თვისებრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით, კერძოდ, გადაწყდა ორი ძირითადი ინსტრუმენტის: მიზნობრივ ჯგუფებთან დისკუსიისა და სიღრმისეული ინტერვიუს გამოყენება. შესაბამისად, მკვლევართა ძირითადი გუნდისა და შერჩეული სტუდენტ-მკვლევრების ჩართულობით მომზადდა ფოკუსჯგუფის გზამკვლევი და ინტერვიუს კითხვარები, რომლებიც დაეფუძნა კვლევის ფარგლებში მომზადებულ თეორიულ ანალიზს კვლევის საგნის შესახებ.

საველე სამუშაოების შედეგად მიღებული ინფორმაცია დამუშავდა ხარისხობრივი კვლევის მონაცემთა ანალიზის პროგრამის, NVIVO-ის მეშვეობით, განხორციელდა ინდუქციური კოდირება, მომზადდა დისკურსანალიზი.

კვლევის ძირითადი მიგნებები

მკვლევართა ჯგუფი საველე სამუშაოების პროცესში სწავლობდა, ერთი მხრივ, იმას, თუ როგორია საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა შორის ევროპული ღირებულებების აღქმა და მიმღებლობა აღნიშნული ღირებულებების მიმართ, მეორე მხრივ კი, იმას, თუ როგორია აღნიშნულ პროცესში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების როლი. რამდენად ახერხებს ქართული ზოგადსაგანმანათლებლო სისტემა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას.

მოცემულ კონტექსტში მკვლევართა ჯგუფი ინტერესდებოდა არამხოლოდ სასწავლო პროცესით, არამედ უშუალოდ სკოლაში არსებული სოციოკულტურული გარემოთი, რაც კვლევის მიზნებისთვის გულისხმობს სკოლებში არსებულ სოციალურ კონსტრუქციებს, პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის არსებულ კომუნიკაციას, უშუალოდ მოსწავლეებს შორის არსებულ ურთიერთობებს, მოსწავლეთა და მასწავლებელთა თავისუფლების ხარისხს საგაკვეთილო პროცესში, მშობელთა ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში.

კვლევის საგნის კომპლექსური ხასიათიდან გამომდინარე საველე სამუშაოების მიმდინარეობისას ძირითადი აქცენტები გაკეთდა ზემოთ მოცემული თეორიული ანალიზის, მათ შორის, ევროკავშირის პოლიტიკის დოკუმენტების, უცხო ქვეყნების პრაქტიკის, ეროვნული სასწავლო გეგმის ანალიზის შედეგად იდენტიფიცირებულ შემდეგ ღირებულებებზე: დემოკრატია და ტოლერანტობა. გარდა ამისა, დამატებით ყურადღება გამახვილდა სოციალურ და ეროვნულ იდენტობაზე, ასევე, სკოლის როლზე ღირებულებათა ფორმირების პროცესში.

მოსწავლეთა მიერ ევროპული ღირებულებების აღქმა

დემოკრატიული ღირებულებები

საველე სამუშაოებში ჩართული სკოლების მოსწავლეთა უმრავლესობა, პრაქტიკულად ყველა რეგიონში დემოკრატიულ ღირებულებებთან დაკავშირებით აფიქსირებს იდენტურ პოზიციას. სადისკუსიო პროცესებისას ყველაზე ხშირად გაჟღერებული პასუხის თანახმად, დემოკრატია, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს თავისუფლებას. როგორც დისკუსიის მონაწილეები განმარტავენ, დემოკრატია გულისხმობს როგორც პიროვნულ თავისუფლებას, ისე – სიტყვის, აზრისა და გამოხატვის თავისუფლებას[1].

მოსწავლეთა შედარებით მცირე ნაწილი, თუმცა, დისკუსიაში მონაწილეთა ნახევარზე მეტი, აღნიშნავს, რომ დემოკრატია გულისხმობს სახელმწიფოს მართვის პროცესში საზოგადოების ჩართულობას. მათი აზრით, მნიშვნელოვანია, რომ ხალხის ხმა ისმოდეს სახელმწიფოს მმართველი ელიტის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. აღნიშნული პოზიციის მქონე მონაწილეთა უმრავლესობის აზრით, დემოკრატია უმრავლესობის მმართველობაა, ხოლო მონაწილეთა ნახევარზე ნაკლები აფიქსირებს პოზიციას, რომლის მიხედვითაც, დემოკრატიული სისტემა გულისხმობს საზოგადოების ყველა ჯგუფის ინტერესთა ასახვას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

დემოკრატიული და ავტორიტარული რეჟიმების შედარებისას დისკუსიის მონაწილეთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ დემოკრატიული მმართველობის ფორმა მათთვის გაცილებით მისაღებია, რამდენადაც დემოკრატიაში მეტად ისმის ხალხის ხმა და მეტად ხდება საზოგადოების ინტერესთა გათვალისწინება. ავტორიტარული მმართველობის შემთხვევაში არსებობს რისკები, რომ ქვეყანაში პროცესები წარიმართება ერთი ადამიანის, მისი კერძო ნების შესაბამისად, ამდენად შესაძლოა შეიზღუდოს ადამიანის, როგორც მოქალაქისა და ინდივიდის თავისუფლება[2].

განსაკუთრებით საინტერესო იყო მსჯელობა დემოკრატიული სისტემის მშენებლობაში მოქალაქის როლთან დაკავშირებით. ყველაზე ხშირად დაფიქსირებული პოზიციის მიხედვით, მოქალაქე ინდივიდუალურად მონაწილეობს დემოკრატიის მშენებლობაში არჩევნების გზით და მნიშვნელოვანია, რომ ყველა ხმის უფლების მოქალაქე მონაწილეობდეს არჩევნებში, რადგან სხვა შემთხვევაში შესაძლოა მისი ხმა უბრალოდ დაიკარგოს.

გარდა აღნიშნულისა, გაჟღერებული პოზიციების მიხედვით, მოსწავლეთა უმრავლესობა დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში საკუთარ როლს ასევე ხედავს საკუთარი საქმის (სკოლის პერიოდში სწავლა, პროფესიული საქმიანობის დროს კი – პროფესიული მოვალეობების) პირნათლად და კეთილსინდისიერად შესრულებაში. „მაგალითად, თქვენ, როგორც რიგითი მოქალაქე, ასწავლით უნივერსიტეტში, სადაც სტუდენტებს ესაუბრებით დემოკრატიაზე, ამგვარად თქვენ თქვენი საქმიანობით ხელს უწყობთ დემოკრატიის მშენებლობას ქვეყანაში“, – მიმართავს დისკუსიის ერთ-ერთი მონაწილე მოდერატორს.

ერთეულ შემთხვევებში ყურადღება გამახვილდა ინდივიდის კერძო მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობასა და პიროვნულ თავდადებაზე, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის ერთ-ერთ პრერეკვიზიტზე. „ყოველთვის ექნება მმართველს მცდელობა, რომ ძალაუფლება ერთპიროვნულად აიღოს ხელში და ეს რომ არ მოხდეს, მნიშვნელოვანია, მოქალაქეებმა გადავლახოთ შინაგანი შიში და ვიბრძოლოთ ჩვენი უფლებების დასაცავად“, – აღნიშნავს დისკუსიის ერთი მონაწილე.

1 ეს პოზიცია ნათელი იყო თითოეული დისკუსიის დროს.

2 ეს პოზიცია ნათელი იყო თითოეული დისკუსიის დროს.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებებს სხვა მონაწილეთა მხრიდან არ გამოუწვევია წინააღმდეგობა.

თავისუფლების პარალელურად, დემოკრატიის რიგით მეორე, მნიშვნელოვან მახასიათებლად სახელდება თანასწორობა. კერძოდ, მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ადამიანთა თანასწორობა და დისკრიმინაციის არარსებობა არის დემოკრატიული სახელმწიფოსა და საზოგადოების უმნიშვნელოვანესი კომპონენტი. ყველაზე ხშირად დაფიქსირებული პასუხის მიხედვით, იმ საზოგადოებას, რომელშიც ადგილი აქვს განსხვავებული ჯგუფების ჩაგვრას, გაუჭირდება შექმნას სრულფასოვანი დემოკრატია. დისკუსიის მონაწილეთა მხრიდან აღინიშნა, რომ ამ მხრივ განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენდა ძალადობა განსხვავებული ცხოვრების წესის მქონე ადამიანთა მიმართ. მოსწავლეთა უმრავლესობის თქმით, შესაძლოა ადამიანი იყოს რაღაცის გამო მიუღებელი, თუმცა, მის წინააღმდეგ უხეში ძალის გამოყენება ასევე მიუღებელია, განსაკუთრებით მაშინ, თუკი ის სცდება სამართლისა და კანონის ჩარჩოებს.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, თანასწორობის თვალსაზრისით, საზოგადოებაში არსებულ უმნიშვნელოვანეს გამოწვევად მონაწილეები ასახელებენ გენდერულ უთანასწორობას. აღნიშნული განსაკუთრებით საინტერესოა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ცალკეულ შემთხვევებში მოცემული პრობლემა დასახელდა დისკუსიის მამრობითი სქესის მონაწილეთა მხრიდან[3], უმეტესწილად პრობლემაზე აქცენტს სვამდნენ დისკუსიის მდედრობითი სქესის მონაწილეები. დაფიქსირებული პოზიციის უმეტესობის მიხედვით დღეს საქართველოში ქალები არიან დაუცველი, როგორც სოციალური, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით, რაც გამოიხატება იმაში, რომ ძალიან ხშირად ოჯახის რესურსი მეტადაა მიმართული ვაჟების განვითარებაზე. კერძოდ, ხშირია შემთხვევები, როდესაც მშობლებს მიაჩნიათ, რომ ვაჟმა უნდა მიიღოს უკეთესი უმაღლესი განათლება. აგრეთვე, არსებობს ერთგვარი „ბიჭის“ და „გოგოს“ პროფესიები, რომ გოგონებს არ შეუძლიათ ცალკეულ პროფესიებში წარმატების მიღწევა.

3 Discussion 1. — Discussion 3 — 4, Discussion — 7–12, Discussion — 18–22. Public School Focus Group (2021).

თბილისისა და ბათუმის მიღმა განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება იმაზე, რომ, როგორც წესი, ოჯახის უძრავი ქონების მემკვიდრედ ითვლება ვაჟი. მონაწილეები ერთხმად აღნიშნავენ, რომ მსგავსი მიდგომები შესაცვლელია და საჭიროა გენდერული სტერეოტიპებისგან გათავისუფლება. მოცემულ პოსტულატს მხოლოდ ერთ შემთხვევაში[4] შეხვდა მონაწილის წინააღმდეგობა, რომლის თქმითაც, ამგვარად ოჯახი, გვარი ახერხებს მფლობელობაში შეინარჩუნოს უძრავი ქონება. მაგალითად, თუკი „გოგოს მისცემენ მიწის ნაკვეთს, ან სახლს და ის გათხოვდება უცხოელზე, მაშინ ეს ქონება უცხოს ხელში აღმოჩნდება“.

გენდერულ საკითხებზე საუბრისას მონაწილეებმა ცალკე გაუსვეს ხაზი ძალადობას, ასევე ერთსა და იმავე სამსახურში, მსგავს პოზიციაზე დასაქმებული მამრობითი და მდედრობითი სქესის თანამშრომლების შრომითი ანაზღაურების ასიმეტრიას.

თანასწორობასთან ერთად, დემოკრატიული განვითარების უმთავრეს პირობად ასევე დასახელდა კანონის უზენაესობა, თუმცა, აღნიშნულ თემაზე მონაწილეთა შორის კამათი გამოიწვია იმ საკითხმა, რომ შესაძლოა კანონი სრულდებოდეს არადემოკრატიულ ქვეყანაშიც, ან კანონი არ იყოს სამართლიანი. ამდენად, გამოითქვა მოსაზრება, რომ მხოლოდ კანონის დაცვა არ ნიშნავს სახელმწიფოს დემოკრატიულობას, არამედ აღნიშნულის პარალელურად მნიშვნელოვანია ის, რომ კანონი იყოს სამართლიანი. მიუხედავად კანონის უზენაესობასა და სამართლიანობაზე საუბრისა, მონაწილეთა მხრიდან ნაკლებად იყო ყურადღება გამახვილებული სასამართლო ხელისუფლებაზე, როგორც დემოკრატიულ ინსტიტუტზე.

შეჯამების სახით შესაძლოა ითქვას, რომ საველე სამუშაოებში ჩართულ მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა დემოკრატიასა და ადამიანის თავისუფლებას, ასევე სიტყვის, აზრისა და გამოხატვის თავისუფლებას, თანასწორობას შორის სვამს ტოლობის ნიშანს. მათ მნიშვნელოვან ნაწილს კი ესმის მოქალაქის როლი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია, ის გარემოება, რომ უმეტეს შემთხვევაში უშუალოდ მონაწილეები ამახვილებდნენ ყურადღებას ისეთ თემებზე, როგორებიცაა გამოხატვის შეზღუდვა, დისკრიმინაცია, გენდერული უთანასწორობა, გან-

4 Discussion 18. Public School Focus Group (2021)

სხვავებული ადამიანების მიუღებლობა — როგორც დემოკრატიული განვითარების ხელშემშლელი ფაქტორები.

აქვე უნდა აღნიშნოს ის ფაქტიც, რომ მოსწავლეთა მხრიდან პრაქტიკულად არ გამახვილებულა ყურადღება ისეთ დემოკრატიულ ინსტიტუტზე, როგორიცაა სასამართლო ხელისუფლება, ასევე, ნაკლებად იყო საუბარი ხელისუფლების სამწევროვან დანაწილებასა და მის მნიშვნელობაზე დემოკრატიულ სახელმწიფოსა და საზოგადოებაში. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მონაწილეებს დემოკრატიული ღირებულებები, უპირველეს ყოვლისა, ემოციურ დონეზე აქვთ გააზრებული და საუბრობენ იმ საკითხებზე, რომლებიც მათთვის პიროვნულად არის მტკივნეული და აქტუალური. თუმცა, ეს ზოგადი გაგება არ არის განმტკიცებული (სასურველია) სკოლაში მიღებული კარგად სტრუქტურირებული თეორიული ცოდნით.

ტოლერანტობა

დისკუსიებში ჩართულ მოსწავლეთა დიდი უმრავლესობისთვის ტოლერანტობა წარმოადგენს მნიშვნელოვან ღირებულებას, რომელსაც ისინი მხარს უჭერენ უპირობოდ, თუმცა, მსჯელობის პროცესში გამოიკვეთა განსხვავებული პოზიციები ტოლერანტობის აღქმასთან დაკავშირებით.

ერთი მხრივ, ცალსახად აღინიშნა, რომ საქართველო წარმოადგენს ისტორიულად ტოლერანტულ სახელმწიფოს, სადაც განსხვავებული ეროვნებისა და აღმსარებლობის ადამიანები საუკუნეების მანძილზე მშვიდობიანად ცხოვრობდნენ ერთმანეთის გვერდით. თუმცა, ასევე ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ ბოლო პერიოდში ადგილი აქვს, მეტწილად უფროს თაობაში, განსხვავებულის მიმართ ერთგვარ დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას, რაც ვლინდება სხვადასხვა ფორმით.

რაც შეეხება უშუალოდ მონაწილეთა პირად დამოკიდებულებას ტოლერანტობასთან, ყველაზე ხშირად გამოხატული პოზიციის თანახმად, ყველა ადამიანი არის თანასწორი და შესაბამისად, არავინ უნდა იჩაგრებოდეს განსხვავებული ეთნიკური წარმოშობისა და თუ რელიგიური აღმსარებლობის გამო.

პროექტში ჩართული ქართული სკოლების მოსწავლეთა უმეტესობა მკაფიო ზღვარს ავლებს საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებსა და ქვეყანაში იმიგრირებულ განსხვავებული ეროვნებისა და რელიგიური მრწამსის მქონე ადამიანებს შორის. შესაბამისად, მათი პოზიციის მიხედვით, ადამიანები, რომლებიც საქართველოში დაიბადნენ, ცხოვრობენ, „ვისი სახლიც აქ არის“, არიან საქართველოს სრულუფლებიანი მოქალაქეები და ქართული საზოგადოების სრულფასოვანი წევრები. შესაბამისად, მათ მიმართ უნდა იყოს ზუსტად იმგვარი დამოკიდებულება, რაც ქვეყანაში არსებული დომინანტი ჯგუფის (მართლმადიდებელი ეთნიკური ქართველები) მიმართ. ერთგვარ პრობლემას ხედავდნენ მონაწილეები იმაში, რომ „ცალკეული უმცირესობის (ეთნიკური ან რელიგიური) წარმომადგენელი ხშირად იყენებს თავის იდენტობას სპეკულაციისთვის და დამატებითი პრივილეგიების მისაღებად“[5].

მიუხედავად აღნიშნული პოზიციის დაფიქსირებისა, მონაწილეთა აზრი ორად იყოფა, როდესაც საუბარი შეეხება რელიგიურ უმცირესობებს, კერძოდ, მათი რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებას. მონაწილეთა ნახევარზე ოდნავ მეტი მიიჩნევს, რომ რელიგიური უმცირესობების რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება ხელშეუხებელია. მეტიც, ისინი თვლიან, რომ მოცემული ჯგუფის წარმომადგენლებს აქვთ უფლება თავისუფლად ააშენონ საკულტო ნაგებობები და აღავლინონ ღვთისმსახურება.

მონაწილეთა მეორე ნაწილის (რომელიც ოდნავ ჩამოუვარდება საერთო რაოდენობის ნახევარს) აზრით კი, დღეს არ დგას საჭიროება იმისა, რომ ქვეყანაში, რომელიც ისტორიულად მართლმადიდებელია, განსხვავებული რელიგიის წარმომადგენლებმა ააშენონ საკუთარი საკულტო ნაგებობები შეზღუდვების გარეშე, რადგან ამგვარად დგება რელიგიური და ნაციონალური იდენტობის საფრთხე. თუმცა, აქაც იყო განსხვავება მიდგომებში ქრისტიანულ დენომინაციებსა და ისლამს შორის. კერძოდ, აღინიშნა, რომ კათოლიკე ქრისტიანთა მიერ ტაძრის მშენებლობაში ვერ ხედავენ პრობლემას, ხოლო მუსლიმური მეჩეთის მშენებლობა მიუღებელია.

აღნიშნულ საკითხზე კამათისას მონაწილეთა ნაწილმა არაერთგზის დააფიქსირა პოზიცია, რომ

5 Discussion 11; 14. Public School Focus Group (2021).

საქართველო საერო სახელმწიფოა, შესაბამისად, სახელმწიფო საერთოდ არ უნდა ერეოდეს საკუთარი მოქალაქეების სულიერ ცხოვრებაში. თუმცა, ერთეულ შემთხვევაში მონაწილემ დააფიქსირა პოზიცია, რომ მართლმადიდებლობა საქართველოში სახელმწიფო რელიგიაა[6].

შეიძლება ითქვას, რომ მონაწილეთა შორის დაფიქსირდა განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობის პირთა მიმართ გაცილებით მაღალი მიმღებლობა. მაგალითად, როგორც მონაწილეთა უმეტესობა აღნიშნავს, საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად სომეხი და ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობა „ჩვენი ნაწილია". რაც შეეხება რელიგიურ უმცირესობებს, აღნიშნულ საკითხზე პოზიცია არ იყო ერთგვაროვანი და ეს თემა იწვევდა კამათს.

იმავდროულად, როგორც უკვე აღინიშნა, ხშირ შემთხვევაში მონაწილეები ერთმანეთისგან მკვეთრად გამიჯნავენ საქართველოს განსხვავებული ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლებს და იმიგრანტებს. იმიგრანტების მიმართ დამოკიდებულება ნეგატიურია. არსებობს ერთგვარი განცდა იმისა, რომ იმიგრანტების მიმართ ღია და ლოიალური მიდგომა სამომავლოდ საფრთხეს შეუქმნის ქართული საზოგადოების ნაციონალურ და კულტურულ იდენტობას.

რაც შეეხება პროექტში ჩართულ არაქართულ სკოლებს, საინტერესოა, ცალ-ცალკე განვიხილოთ სომხური, აზერბაიჯანული და რუსულენოვანი სკოლების მაგალითი. კერძოდ, სომხური სკოლის მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა, რომლებიც თავისუფლად საუბრობდნენ ქართულად, ცალსახად აფიქსირებს პოზიციას, რომ ისინი საკუთარ თავს ქართული სახელმწიფოსა და საზოგადოების ნაწილად მოიაზრებენ; ასევე, ვერ ხედავენ განსხვავებას საქართველოს მოქალაქე ეთნიკურ ქართველებსა და განსხვავებული ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებს შორის.

რაც შეეხება აზერბაიჯანულენოვან სკოლებს – აღინიშნა, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილისთვის საინტერესოა მულტიკულტურულ გარემოში ცხოვრება და ქრისტიან ან ქართველ თანატოლებთან ურთიერთობა. იმავდროულად, აზერბაიჯანულ სკოლებში მოსწავლეთა დაახლოებით ნახევარმა დააფიქსირა უარყოფითი დამოკიდებულება ეთნიკური სომხების მიმართ, რაც შესაძლოა წარმოადგენდეს სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებული ისტორიული და თანამედროვე მძიმე ურთიერთობების ერთგვარ გამოძახილს[7].

აღსანიშნავია, რომ შესწავლილი სომხური და აზერბაიჯანული სკოლები კონტინგენტის თვალსაზრისით მონოეთნიკურია, განსხვავებით რუსული სკოლებისგან, სადაც ერთად იღებენ განათლებას როგორც ქართველი, ისე სომეხი, აზერბაიჯანელი და სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები. შესაბამისად, რუსულ სკოლაში, როგორც განსხვავებული რელიგიური აღმსარებლობის, ისე ეთნიკური წარმომავლობის, ასევე სხვა ნიშნით გამორჩეული ჯგუფების მიმართ დაფიქსირდა ცალსახად მაღალი მიმღებლობა. მეტიც, რუსული სკოლის მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ რადიკალიზმი, ფანატიზმი და ქსენოფობია ხელს უწყობს ქვეყანაში ექსტრემიზმის გაღვივებას, რაც სახელმწიფოსთვის სერიოზულ რისკებს ქმნის ევროპული და დემოკრატიული განვითარების გზაზე.

დასკვნის სახით შესაძლოა ითქვას, რომ გამოკვლეულ სკოლებში ტოლერანტობის აღქმა და გაზრება არაერთგვაროვანია. არსებობს ჯგუფები (მაგალითად, ეთნიკური უმცირესობები), რომელთა მიმართ მიმღებლობა გაცილებით მაღალია, ვიდრე სხვა ჯგუფების (მაგალითად, რელიგიური) მიმართ. რელიგიურ უმცირესობებთან მიმართებაში მრავალი საკითხი საკამათოა. ასევე, საქართველოს ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოსწავლეებში დაფიქსირებული ნეგატიური განწყობები ეთნიკურად სომხების მიმართ, იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ არსებობს ერთგვარი ლატენტური კონფლიქტის ნიშნები.

ნაციონალური, სოციალური და კულტურული იდენტობა

მოსწავლეთა შორის განსაკუთრებული განსჯის საგანი გახდა ნაციონალურ, სოციალურ და კულტურულ იდენტობასთან დაკავშირებული საკითხები. პრაქტიკულად ყველა სკოლაში მოსწავლეებს გაუჭირდათ პასუხის გაცემა კითხვაზე, თუ ვინ არის ქართველი, ან რა განსაზღვრავს ქართველი ერის უნიკალურობას.

6 Discussion 13. Public School Focus Group (2021).

7 Discussion 4. Public School Focus Group.

როგორც წესი, ნაციონალურ და კულტურულ იდენტობაზე მსჯელობისას მოსწავლეები აკეთებდნენ აქცენტებს ისეთ იდენტიფიკატორებზე, როგორებიცაა ისტორია, ადათები, ტრადიციები. თუმცა, როდესაც მოდერატორი სვამს კითხვას, კონკრეტულად თუ რომელი ტრადიცია ან ადათ-წესია ისეთი, რომელიც ახდენს ქართველის, როგორც კულტურული იდენტობის მატარებელი სუბიექტის ფორმირებას, ხშირ შემთხვევაში პასუხი არ არის. ცალკეულ შემთხვევებში აღინიშნა, რომ ეს არის „ქართული სული, ქართული სტუმარმასპინძლობა, ენა, მამული და სარწმუნოება“.

პასუხები არ იყო ისეთ საკითხებზეც, როგორებიცაა საქართველოს ადგილი მსოფლიოში, თუ რა შეუძლია თანამედროვე ქართულ სახელმწიფოსა და საზოგადოებას შესთავაზოს თანამედროვე მსოფლიოს, თუნდაც, კულტურული თვალსაზრისით. მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში აღინიშნა, რომ საქართველოს უკავშირდება მსოფლიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, რომლებიც არამხოლოდ ქართული, არამედ შეიძლება ითქვას, რომ კაცობრიობის კულტურული მონაპოვარია, თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ კულტურული მემკვიდრეობის მიღმა თანამედროვე ქართული სახელმწიფოს როლზე მსოფლიოში მოსწავლეთა ხედვა არც ისე ფართოა.

გამოკითხულ მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა ორჭოფობს კითხვაზე, კულტურულად თუ რომელ სივრცეს ეკუთვნის საქართველო: ევროპას თუ აზიას. თუმცა, მოსწავლეთა ნახევარზე მეტი მიიჩნევს, რომ საქართველო უფრო ევროპაა, ვიდრე — აზია. აღსანიშნავია ისიც, რომ მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა, მათ შორის, ისინიც, ვინც საქართველოს მიაკუთვნებს ევროპას, ამბობენ, რომ საქართველო არის უნიკალური, კავკასიური კულტურული ფენომენი, რამდენადაც ქვეყანა არის კავკასიის რეგიონის ერთგვარი ცენტრი, რომელიც იმყოფება ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე. შესაბამისად, ისტორიის მანძილზე ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე არსებობა საქართველოს გამოარჩევს სტანდარტულად ევროპისგან, სადაც უფრო მეტი თავისუფლებაა, ასევე აზიისგანაც, სადაც სრულიად განსხვავებული მენტალიტეტი, კულტურა და ცხოვრების წესია.

მოსწავლეთა უდიდესი ნაწილისთვის ევროპული ცხოვრების წესი მისაღებია და შესაბამისად, სურთ საქართველო იხილონ ევროპული სივრცის ნაწილად. თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში იკვეთება იმგვარი მოსაზრებაც, რომ რამდენადაც „საქართველოს მთავრობამ აირჩია განვითარების ევროპული კურსი, იმდენად ვართ ჩვენ ევროპული სივრცის ნაწილი“.

დასკვნის სახით შესაძლოა ითქვას, რომ მოსწავლეებს არ აქვთ ზუსტი პასუხები საკუთარი ნაციონალური, კულტურული და სოციალური იდენტობის შესახებ. აგრეთვე, უჭირთ დაინახონ საქართველო, როგორც რომელიმე კულტურული ან ცივილიზაციური სივრცის ნაწილი.

სკოლის როლი ღირებულებათა ფორმირების პროცესში

კვლევის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენდა მოსწავლეთა შორის ევროპული ღირებულებების ფორმირების პროცესში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების როლისა და ამოცანის შესწავლა. შესაბამისად, საველე სამუშაოების პროცესში ჩართული მკვლევრები როგორც ჯგუფური დისკუსიების, ისე – უშუალოდ საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელებთან ინტერვიუების დროს ინტერესდებოდნენ სკოლის როლით, ფუნქციითა და იმ გამოწვევებით, რომლებსაც თანამედროვე სკოლა აწყდება მოსწავლეთა ღირებულებების ფორმირების პროცესში.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელთა ჩართულობა იყო ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი კვლევის საგნისა და ამოცანის შესასწავლად, რამდენადაც თითქმის ყველა შემთხვევაში მოსწავლეთა მიერ იდენტიფიცირებული პრობლემები მეორდებოდა სკოლის დირექტორებთან ინტერვიუს დროს.

როგორც მოსწავლეები, ისე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელები აღნიშნავენ, რომ სკოლა უდიდეს როლს თამაშობს მოსწავლეთა ღირებულების ფორმირების პროცესში. გამოკითხულ დირექტორთა უმრავლესობა ცალსახად აღნიშნავს, რომ ღირებულებათა ფორმირების პროცესში მნიშვნელოვანია არამხოლოდ ის ინფორმაცია, რომელსაც მოსწავლე საგაკვეთილო პროცესის დროს იღებს, არამედ ის კულტურული გარემო, რომელიც სკოლაში არსებობს.

აღნიშნული თვალსაზრისით, როგორც მოსწავლეებმა, ისე სკოლის დირექტორმა[8] აღნიშნეს, რომ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა სკოლაში კრიმინალურ სუბკულტურასთან ბრძოლა[9]. დირექტორის თქმით, აღნიშნულ პროცესში მნიშვნელოვანია, როგორც მოსწავლეებისა და მასწავლებლების, ისე მშობლების ჩართულობა. სწორედ ამგვარი თანამშრომლობა, თანამეგობრობა ქმნის შესაძლებლობას, რომ სკოლამ შეძლოს მოსწავლეებში სწორი ღირებულებების ჩამოყალიბება.

ცალკეულ შემთხვევებში აღინიშნა, რომ მოცემული ტიპის პრობლემა მნიშვნელოვნად იყო გამოწვეული იმითაც, რომ უშუალოდ პედაგოგთა მცირე ნაწილი თავად ახდენდა ამგვარი სუბკულტურის რომანტიზებას და სიამაყით აღნიშნავდა, თუ რამდენი ე.წ. „კრიმინალური ავტორიტეტისთვის“ უსწავლებია კარიერის მანძილზე[10].

აღსანიშნავია ისიც, რომ „კრიმინალური სამყაროს“ მიმართ ლოიალური დამოკიდებულება გაცილებით იკლებს იმ მოსწავლეებში, რომელთაც სწავლების მე-3 და მე-4 წელს მოუწიათ საგნის „მე და საზოგადოება“ გავლა. შესაბამისად, შეგვიძლია დავინახოთ ერთგვარი კავშირი მოცემული საგნის სწავლებასა და მოსწავლეებში პოზიტიური, არაკრიმინალური ღირებულებების ფორმირებას შორის.

როგორც მოსწავლეები, ისე დირექტორები აღნიშნავენ, რომ ღირებულებათა ფორმირების პროცესში მასწავლებელი უდიდეს როლს ასრულებს. დისკუსიებში მონაწილე პრაქტიკულად ყველა მოსწავლე ცალსახად აღნიშნავს იმას, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მას სწავლის პროცესში მიეცეს საშუალება თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი, ღიად დააფიქსიროს პოზიცია და არ ჰქონდეს შიში, რომ ამის გამო მას დაამცირებენ. როგორც მოსწავლეები აღნიშნავენ, ხშირია შემთხვევა, როდესაც მათ უბრალოდ არ აქვთ სურვილი, ან ეშინიათ აზრის დაფიქსირებისა გაკვეთილზე, რადგან იციან, რომ ამისთვის შესაძლოა მასწავლებელმა ისინი გაიცხოს.

აღნიშნულ პრობლემაზე საუბრობს არაერთი დირექტორი, რომლებიც ამბობენ, რომ, როგორც წესი, მოცემული პრობლემა მეტწილად თავს იჩენს ძველი თაობის მასწავლებლებში. შესაბამისად, ბოლო პერიოდში განათლების სისტემაში მომხდარმა თაობათა ცვლამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი აღნიშნული პრობლემის მოგვარებას.

გარდა აღნიშნულისა, დირექტორთა აზრით, მოსწავლის ღირებულებების ჩამოყალიბებაში სკოლაზე მეტ როლს ხშირად ოჯახი ასრულებს, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ მშობლები მეტად იყვნენ ჩართულნი სასკოლო აქტივობებში. მათი თქმით, ერთგვარ გამოწვევას წარმოადგენს ის, რომ მშობელთა დიდი ნაწილი ინტერესდება მხოლოდ შვილის აკადემიური მოსწრებით, აღნიშნულის მიღმა კი მათი როლი პასიურია სასკოლო ცხოვრებაში. მართალია, არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს სკოლისა და მშობლის თანამშრომლობას, თუმცა, არსებული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საჭიროა აღნიშნული მექანიზმის გაძლიერება.

ამასთანავე, სკოლის დირექტორების გამოკითხვის პროცესში გამოიკვეთა ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია: სკოლები, რომლებიც არიან ჩართული „ახალი სკოლის“ პროექტში, გაცილებით მეტ წარმატებას აღწევენ ევროპული ღირებულებების სწავლების პროცესში, ვიდრე სკოლები, რომლებიც აღნიშნული პროექტის მიღმა ახორციელებენ საგანმანათლებლო პროცესს. როგორც სკოლის დირექტორები აღნიშნავენ, ეს მეტწილად განპირობებულია, ერთი მხრივ, ასეთ სკოლებში ექსტრაკურიკულური საგანმანათლებლო აქტივობების სიმრავლით, ასევე ინოვაციური მიდგომებით სწავლების პროცესში. მათი თქმით, მხოლოდ მშრალი საგაკვეთილო პროცესი არაფერს ცვლის, მნიშვნელოვანია, სწავლების პროცესში ინოვაციური მიდგომების გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეების კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების განვითარებას, მისცემს მათ შესაძლებლობას დამოუკიდებლად შეაფასონ გარკვეული პროცესები, ტენდენციები და მთლიანობაში შედგნენ, როგორც დამოუკიდებელი, სრულფასოვანი, პასუხისმგებლობიანი მოქალაქეები.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა, როგორც ინსტიტუცია, მიუხედავად გაწეული ძალისხმევისა, კვლავ აწყდება გამოწვევებს მოსწავლეებში არამხოლოდ ევროპული, არამედ ზოგადად ჰუმანური და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების ფორმირების პროცესში და

8 Interview 1. Public School Focus Group (2021).
9 Discussion 1. Public School Focus Group (2021).
10 Respondent 20. 2021

დგას რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე, როგორებიცაა, კრიმინალური მენტალიტეტის დეკონსტრუქცია მოსწავლეებში, აკადემიური თავისუფლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა საგაკვეთილო პროცესზე, დებატებისა და დისკუსიისთვის ღია სივრცეების შექმნა, ასევე მოსწავლეთა კრიტიკული და ანალიტიკური უნარების გაძლიერების ხელშეწყობა. ის ფაქტი, რომ კვლევის პროცესში რამდენიმე სკოლა ამ თვალსაზრისით შეგვიძლია სანიმუშოდ მივიჩნიოთ, იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ მოცემული ამოცანა მიღწევადია.

ასევე, როგორც კვლევა აჩვენებს ხშირ შემთხვევაში სახელმძღვანელოში მოცემულ ინფორმაციაზე მეტად, ღირებულების ფორმირებას უწყობს ხელს ის, თუ როგორ და ვის მიერ ხდება აღნიშნული ინფორმაციის მიტანა მოსწავლეებამდე. მნიშვნელოვანია, რომ სკოლას ჰქონდეს აკადემიური თავისუფლების მაღალი სტანდარტი, როგორც მასწავლებლების, ისე მოსწავლეებისთვის, რადგან ის ფაქტი, რომ ჯერაც, ცალკეულ სკოლებში მოსწავლეებს შესაძლოა ჰქონდეთ ერთგვარი შინაგანი ბარიერი საკუთარი აზრის დაფიქსირების დროს, არ უწყობს ხელს სათანადო ღირებულებების ფორმირებას.

ამასთან, განსხვავება, რომელიც იკვეთება „ახალი სკოლის“ პროექტში ჩართულ სკოლებსა და პროექტის გარეთ არსებულ სკოლებს შორის, აჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, თუნდაც, იმავე ევროპული ღირებულებების ფორმირების პროცესში სწავლების ახალი, ინოვაციური მიდგომების გამოყენება საგაკვეთილო სივრცეში.

რეკომენდაციები

საველე სამუშაოების შედეგად გამოკვეთილი ტენდენციების საფუძველზე, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ევროპული ღირებულებების სწავლების გაძლიერების მიზნით, მიზანშეწონილია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

რეკომენდაცია 1:
სასწავლო სახელმძღვანელოებისა და სწავლების მეთოდიკის ოპტიმიზაცია

წინამდებარე რეკომენდაციების პრაქტიკული განხორციელება შეუძლებელია სასწავლო სახელმძღვანელოებისა და სწავლების მეთოდოლოგიაში ცვლილებების გარეშე. პირველ რიგში, აუცილებელია, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა ჯგუფში გაერთიანებული საგნების სასწავლო მასალა მეტად დაუახლოვდეს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს და შესაბამისად გაიწეროს სწავლების შედეგების მიღწევის გზები.

მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია გადამოწმდეს და შეირჩეს სამოქალაქო განათლებისა და ისტორიის საუკეთესო სახელმძღვანელოები. არაერთ სკოლაში აღინიშნა, რომ სამოქალაქო განათლებას ხშირად სწავლობენ მოძველებული (მაგალითად, 2012 წლის) ლიტერატურით და მეტწილად სამოქალაქო განათლების ხარისხი დამოკიდებულია პედაგოგის ძალისხმევაზე.

მნიშვნელოვანია, რომ სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი დავალებები და სავარჯიშოები მოსწავლეებს აძლევდეს დამოუკიდებლად ფიქრის, ცალკეული ისტორიული და პოლიტიკური პროცესების კრიტიკული ანალიზისა და შეფასების, კონკრეტული ისტორიულ-პოლიტიკური მოვლენების უფრო ფართო კონტექსტში ჩასმის საშუალებას.

მესამე მხრივ, გარდა სახელმძღვანელოების შერჩევისა, დღის წესრიგში ასევე დგას სასწავლო პროცესისა და სწავლების მეთოდიკის გაუმჯობესების საკითხი. როგორც დისკუსიებისა და ინტერვიუების დროს აღინიშნა, მოსწავლეები მეტი მონდომებით სწავლობენ იმ საგნებს, სადაც პედაგოგი მათ აძლევს აზრის თავისუფლად გამოთქმის საშუალებას, არ ახვევს თავს საკუთარ აზრს მოსწავლეებს იმპერატიული ფორმით და არსებობს ღია სივრცე დისკუსიისა და დებატებისთვის.

ამავე დროს, კრიტიკულად მნიშვნელოვანია მასწავლებლების წახალისება, მხარდაჭერა და გაძ-

ლიერება იმ მიზნით, რომ მათ თავად ისწავლონ და დანერგონ სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგია. რეალური გამოწვევები დგას არა მხოლოდ „ასაკოვანი მასწავლებლების“ კლიშეს გამო, არამედ ასევე მასწავლებლების უნარების, ინსტრუმენტების და მოტივაციის ნაკლებობის, სკოლასთან დაკავშირებით მშობლების განსხვავებული მოლოდინების, საზოგადოებაში არსებული სადავოდ გახდილი საკითხებისა და სხვა მიზეზების გამოც. მაგალითად, მასწავლებლებს თავად უნდა გააჩნდეთ ინსტრუმენტები, უნარები და ცოდნა იმისთვის, რომ მოსწავლეებს დაეხმარონ მოქალაქეობის საკითხის სრულად გააზრებასა და პრაქტიკაში განხორციელებაში.

ევროპარლამენტი (2017) განმარტავს, რომ საერთო ღირებულებების სწავლება „ხდება სხვადასხვა საგნის, მათ შორის, საზოგადოების, ისტორიისა და ლიტერატურის ფარგლებში. სასწავლო პროგრამები კოორდინირებული უნდა იყოს იმ მიზნით, რომ წაახალისოს დემოკრატიული საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან ღირებულებებზე კრიტიკული აზროვნება. თუმცა, ძირითად სასწავლო გეგმაში ფაქტები უფრო მნიშვნელოვანი ხდება ხოლმე, ვიდრე დამოკიდებულებები, განათლება კი შესაძლოა [უბრალოდ] ცოდნამდე იყოს დაყვანილი, [რა დროსაც] კრიტიკული აზროვნებისთვის დრო აღარ არის დარჩენილი“ (გვ. 126). სწორედ აქ შეუძლია მასწავლებელს მოსწავლეების პოტენციალის გამოჩენა და ღია დისკუსიების წახალისების ათვისება ახალშეძენილ ინფორმაციაზე მოსწავლეებისთვის კრიტიკული შეფასებების გაკეთების შესაძლებლობის მიცემის გზით.

ერთი სიტყვით, სასურველია, სკოლებსა და მასწავლებლებს უფრო მეტი მოტივაციით მიეცეთ შესაძლებლობა, არსებული ავტონომიის ფარგლებში განავითარონ ისეთი პროგრამები, მეთოდები და აქტივობები, რომლებიც მოსწავლეებს მისცემს მეტ შესაძლებლობას ისწავლონ ღირებულებების შესახებ პრაქტიკაში მათი თავისუფალი განხორციელებით. შესაძლოა, ამისთვის საჭირო გახდეს მასწავლებლის განათლების გადამოწმებაც იმ მიზნით, რომ მასწავლებლებს ჰქონდეთ თავიანთ მოსწავლეებთან არამხოლოდ საკლასო ოთახში, არამედ ასევე „რეალურ, ცხოვრებისეულ სიტუაციებში“ მუშაობის მეტი ინსტრუმენტი.

ამავე კონტექსტში მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სასწავლო პროცესსა და მეთოდოლოგიასთან დაკავშირებული პრობლემები ნაკლებად დგას იმ სკოლებში, რომლებიც ჩართულია „ახალი სკოლის“ პროექტში. შესაბამისად, სასურველია, გაიზარდოს პროექტის დაფარვის არეალი და ქვეყნის ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება დროულად ჩაერთოს „ახალი სკოლის“ პროექტში.

რეკომენდაცია 2: დემოკრატიული ინსტიტუტების შესახებ ცნობიერების ამაღლება

მიუხედავად იმისა, რომ კვლევაში მონაწილე მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა იაზრებს დემოკრატიის მნიშვნელობას, ასევე, მის ძირითად არსს, თავისუფლად მსჯელობს არსებულ პრობლემებზე, მათი მხრიდან დემოკრატიული ინსტიტუტები არ არის სათანადოდ აღქმული. მოსწავლის მხრიდან დემოკრატია მეტწილად გააზრებულია ემოციურ დონეზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეებმა არამხოლოდ ემოციურად და პიროვნულად გაიაზრონ დემოკრატიის არსი და მნიშვნელობა, არამედ მიიღონ კომპლექსური, თეორიული ცოდნა მოცემული საკითხის შესახებ.

როგორც დისკუსიებმა აჩვენა, მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა არ ფლობს სათანადო ინფორმაციას იმ ინსტიტუტების შესახებ, რომლებიც ქვეყნის შეუქცევადი დემოკრატიული განვითარების გარანტს წარმოადგენს. ამდენად, მნიშვნელოვანია, საგაკვეთილო პროცესში ყურადღება გამახვილდეს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა არჩევნები, საარჩევნო ადმინისტრაცია, ხელისუფლების დანაწილება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად და სხვ. მოხდეს საფუძვლიანი განმარტება იმისა, თუ როგორ აკონტროლებენ და აბალანსებენ ერთმანეთს ხელისუფლების შტოები. სასურველია, მეტი ყურადღების გამახვილება კანონის უზენაესობაზე, მის მნიშვნელობასა და სასამართლო ხელისუფლების როლზე მოცემულ პროცესში.

მნიშვნელოვანია, მოხდეს ყურადღების გამახვილება ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების, აგრეთვე, ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ადგილობრივ და საერთაშორისო სამართლებრივ მექანიზმებზე.

ინსტიტუტებს, როგორებიცაა პარლამენტი, სამინისტროები, სასამართლოები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, მედია და სხვ., შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ამ პროცესში სკოლის მოსწავლეებისთვის მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით ან/და ინსტიტუტებში ვიზიტების ორგანიზებით, მათთვის საკუთარი გამოცდილების გაზიარებით იმ მიზნით, რომ მოსწავლეებმა პრაქტიკაში ნახონ, თუ რატომ და როგორ მუშაობენ (ან როგორ უნდა მუშაობდნენ) დემოკრატიული ინსტიტუტები.

რეკომენდაცია 3:
ტოლერანტობისა და თანასწორობის იდეის დამკვიდრების ხელშეწყობა

მიმდინარე კვლევისას გამოკვეთილი ტენდენციის თანახმად, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა გამოირჩევა ეთნიკური უმცირესობების მიმართ გაცილებით მაღალი მიმღებლობით, ვიდრე განსხვავებული რელიგიური კონფესიების წარმომადგენელთა მიმართ. აღნიშნული განსაკუთრებით თვალშისაცემია მუსლიმ თემთან დაკავშირებით. შესაბამისად, სასურველია ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს რელიგიისა და აღმსარებლობის თავისუფლებას. ამავდროულად, სასურველია ყურადღების გამახვილება სეკულარული სახელმწიფოს იდეაზე, რამდენადაც დისკუსიებისას არაერთხელ დაფიქსირდა მოსაზრება, რომ დომინანტ ჯგუფს უნდა ჰქონდეს უფრო მეტი პრივილეგია, ვინაიდან საქართველო ისტორიულად მართლმადიდებლური ქვეყანაა, სადაც მართლმადიდებლობა წარმოადგენს სახელმწიფო რელიგიას.

იმისთვის, რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ მაღალი მიმღებლობა საქართველოს ყველა მოქალაქის მიმართ, მნიშვნელოვანია, მათ სათანადოდ ესმოდეთ სეკულარული სახელმწიფოს პრინციპი და სრულად ჰქონდეთ გაცნობიერებული ის, რომ ქვეყნის ყველა მოქალაქე თანასწორია, მიუხედავად მათი ეთნიკური წარმოშობისა თუ რელიგიური მრწამსისა. უნდა გაიმიჯნოს სახელმწიფოს სეკულარული ბუნება და ცალკეული რელიგიების ისტორიული როლი სახელმწიფოსა და საზოგადოების ფორმირების პროცესში. ერთია, საქართველოს, როგორც ევროპული, ქრისტიანული ცივილიზაციის ნაწილის აღქმა და სრულიად სხვაა, როდესაც მართლმადიდებლობა აღქმულია, როგორც სახელმწიფო რელიგია, რომელსაც აქვს ბევრად მეტი პრივილეგია სხვა რელიგიურ კონფესიებთან შედარებით, ხოლო მართლმადიდებელი მოქალაქეები სარგებლობენ სხვა აღმსარებლობის მოქალაქეებთან შედარებით მეტი უფლებებით. აღნიშნული თვალსაზრისით, მოსწავლეებს სათანადოდ უნდა ჰქონდეთ გააზრებული კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებლის, როგორც მისაბაძი მაგალითის და მორალური ავტორიტეტის, როლი ძალიან დიდია მოსწავლეთა შორის ღირებულებების ფორმირების პროცესში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ გაიზარდოს მასწავლებლის ძალისხმევა იმ მიმართულებით, რომ მოსწავლეებს გაუადვილდეთ განსხვავებული უმცირესობის ჯგუფების მიღება და შემცირდეს გაუცხოების დონე დომინანტურ და უმცირესობის ჯგუფებს შორის.

როგორც ევროკავშირის გამოცდილება აჩვენებს, მასწავლებლების დამოკიდებულებები ღირებულებების სწავლებაში ყველაზე მნიშვნელოვანი რამ არის. მასწავლებლებმა უნდა აჩვენონ, რომ მათთვის ისეთი ევროპული ღირებულებები, როგორებიც არის დემოკრატია და ტოლერანტობა, და ამ ღირებულებებთან დაკავშირებული ყველა საკითხი მათთვის მნიშვნელოვანია. როდესაც მოსწავლეები ხედავენ, რომ მასწავლებლები გულწრფელები არიან ამ ღირებულებების წახალისებაში, თავადაც იჯერებენ, რომ ამგვარი კონცეფციები არ არის შინაარსისგან დაცლილი.

რეკომენდაცია 4:
ეროვნული და კულტურული იდენტობის შესახებ ცნობიერების ამაღლება

მიუხედავად იმისა, რომ დისკუსიაში ჩართული მონაწილეები ღიად საუბრობენ ქართული კულტურის უნიკალურობაზე, ბევრი მათგანისთვის პასუხგაუცემელია კითხვა, თუ ვინ არის ქართველი, ან რა ადგილი უჭირავს საქართველოს თანამედროვე მსოფლიოში, როგორია მათი ხედვა

ქვეყნის კულტურული და ისტორიული იდენტობის შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროცესში გამახვილდეს ყურადღება ქართულ ეროვნულ იდენტობაზე, ასევე, ქართული იდენტობის იმ თავისებურებებზე, რომლებიც ქართულ კულტურას უნიკალურს ხდის. საკუთარი კულტურული იდენტობის უკეთ შეცნობა და გააზრება ხელს შეუწყობს სხვა კულტურული თუ ეროვნული იდენტობებისადმი ტოლერანტული მიდგომის განმტკიცებას.

მეორე და მესამე რეკომენდაციების განხორციელების წახალისებისთვის, შესაძლებელია საუკეთესო ევროპული გამოცდილების გაზიარება. მაგალითად, ტოლერანტობის კვირეულის (ესტონეთის მაგალითიდან), რის ფარგლებშიც მოსწავლეები სხვადასხვა აქტივობის, ჯგუფური სამუშაოს, ჯგუფური დისკუსიისა თუ სასკოლო პროექტის გზით უკეთ გაეცნობიან კულტურულ-რელიგიურ-ენობრივ განსხვავებებს და ჩამოუყალიბდებათ მათდამი პატივისცემა. ამ შემთხვევაშიც სხვადასხვა, შესაბამის ინსტიტუტს და ორგანიზაციას შეუძლია კრიტიკული როლის თამაში ასეთი ინიციატივების წარმატებაში მათში აქტიური ჩართულობით. გარდა ამისა, ერთი მხრივ, ქართულენოვან სკოლებს და, მეორე მხრივ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ან სხვაენოვან სკოლებს შეუძლიათ დანერგონ ერთობლივი პროექტები სხვადასხვა წარმოშობისა და გამოცდილების მქონე მოსწავლეების მონაწილეობით იმ მიზნით, რომ მათ ერთობლივად იმუშაონ და უკეთ გაეცნონ ერთმანეთს.

რეკომენდაცია 5: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების, მშობლების, სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევის გაძლიერება

ცალკეულ შემთხვევებში სერიოზულ გამოწვევად დასახელდა სკოლებში არსებული ე.წ. „კრიმინალური სუბკულტურა“. რამდენიმე შემთხვევაში აღინიშნა ისიც, რომ მოცემული მენტალიტეტის წამახალისებლად გვევლინებიან უშუალოდ პედაგოგები, რომლებიც „ამაყობენ“ იმით, რომ პროფესიული საქმიანობის გარკვეულ პერიოდში ასწავლიდნენ ამა თუ იმ კრიმინალურ ავტორიტეტს.

აღნიშნულ პრობლემასთან ბრძოლა საჭიროებს სისტემურ და კომპლექსურ მიდგომას. უპირველეს ყოვლისა, სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს მკაცრი პოლიტიკა ე.წ. „მაყურებლების“, ასევე, „ქუჩური“ მოტივებით ბულინგის წინააღმდეგ, გაიზარდოს მანდატურის სამსახურის როლი და უფლებამოსილება მოცემულ პროცესთან ბრძოლის საქმეში. თუმცა, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მსგავსი მოვლენის წინააღმდეგ მხოლოდ რეპრესიული მეთოდებით ბრძოლამ ცალკეულ შემთხვევებში შესაძლოა უკუშედეგი გამოიღოს. ამდენად, აუცილებელია, რომ პრობლემა გახდეს ფართო განხილვის საგანი, მის მოგვარებაში კი ჩაერთოს არამხოლოდ სახელმწიფო, მათ შორის, სკოლების ადმინისტრაცია, არამედ მშობლები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, სხვა რელიგიურ და სამოქალაქო ორგანიზაციებთან ერთად, ასევე შეუძლია ამ პროცესში დადებითი როლის შესრულება.

მოცემულის აუცილებლობა იკვეთება იმ ფონზე, რომ არაერთი სკოლის ხელმძღვანელი ინტერვიუს დროს ღიად საუბრობს მშობლების მიერ სკოლისადმი ინტერესის ნაკლებობაზე. არადა, სკოლის, მშობლებისა და სამოქალაქო საზოგადოების თანამშრომლობა მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს აღწერილი პრობლემის დასამარცხებლად.

მსგავსი ერთობლივი ძალისხმევა საჭიროა არამხოლოდ სკოლებში კრიმინალურ სუბკულტურასთან ბრძოლისთვის, არამედ სკოლის ცხოვრების სხვა ნებისმიერი ასპექტისთვის. როგორც ამას მკაფიოდ აჩვენებს ევროკავშირის წევრი ქვეყნების გამოცდილება და აკადემიური ლიტერატურის მიმოხილვა, ერთიანი სკოლის მიდგომას აქვს ხარისხიანი განათლებისა და საზოგადოებაში ერთიანობის წახალისების დიდი პოტენციალი.

რეკომენდაცია 6: სასკოლო კულტურის განვითარება

როგორც უკვე აღინიშნა, ევროპული ღირებულებების შესახებ ინფორმაციის სწავლებასთან (ცოდნის გადაცემა) ერთად, მნიშვნელოვანია ღირებულებების გაა-

ზრება პრაქტიკული გამოცდილების გზით. ამ მხრივ კრიტიკული როლი აქვს სკოლას, როგორც ცოდნისა და კოგნიტური უნარების განვითარების ადგილს, ასევე, სივრცეს, სადაც ახალგაზრდებმა უნდა ისწავლონ ის, თუ როგორ მოიქცნენ და როგორ იყვნენ ჩართული ამა თუ იმ საზოგადოებრივ პროცესში.

როგორც კვლევის შედეგებმა აჩვენა, ხშირ შემთხვევაში ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სკოლებში არსებულ ვითარებას (სხვა სიტყვებით, პოლიტიკის დოკუმენტებსა და მათ რეალურ განხორციელებას, სასკოლო პრაქტიკას) შორის საგრძნობი განსხვავებაა. შესაბამისად, სასურველია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მიიღოს კომპლექსური ზომები სასკოლო კულტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით. მნიშვნელოვანია, რომ სკოლებმა სწორად გაიაზრონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნები და შესაბამისად შეიმუშაონ გეგმა, რომლითაც შესაძლებელი გახდება აღნიშნული მიზნების მიღწევა.

მოცემული პროცესი გულისხმობს რამდენიმე ფუნდამენტურ კომპონენტს. ესენია:

ა) სასკოლო ცხოვრების ინკლუზიურობის ხარისხის ზრდა. მნიშვნელოვანია იმ გარემოების გათვალისწინება, რომ დინამიკურობის მაღალი ხარისხიდან გამომდინარე, საზოგადოებაში მიმდინარე პროცესები ხშირად დროში უსწრებს სასწავლო მასალის განახლებას. ამდენად მნიშვნელოვანია, რომ, ერთი მხრივ, სისტემატურად ხდებოდეს მასწავლებელთა გადამზადება, მეორე მხრივ კი, სკოლები აქტიურად თანამშრომლობდნენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, რომელთა ჩართულობითაც სასწავლო პროცესი გამდიდრდება დამატებითი, კლასგარეშე საგანმანათლებლო ღონისძიებებით.

ბ) ამავე თვალსაზრისით შესაძლოა საინტერესო აღმოჩნდეს ქართული სკოლების თანამშრომლობა როგორც ქვეყნის მასშტაბით საუკეთესო სკოლებთან, ისე ევროპის ქვეყნების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან. სასურველია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ხელი შეუწყოს ამგვარი კავშირების განვითარებას, მათ შორის, საერთაშორისო და ადგილობრივი კონფერენციების, ფესტივალების, ფორუმების ორგანიზებას, პედაგოგთა გაცვლით ვიზიტებს ევროკავშირის ქვეყნებში გამოცდილების გაზიარების მიზნით, მოსწავლეთა გაცვლით პროგრამებს, ევროკავშირის და სხვა ორგანიზაციების შესაბამის პროგრამებში მონაწილეობას.

გ) აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მაღალ კლასებში, როდესაც მოსწავლეები ემზადებიან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მისაღები ერთიანი გამოცდებისთვის, საჯარო სკოლების საგრძნობ ნაწილში სასწავლო პროცესის ხარისხი მნიშვნელოვნად ეცემა, რამდენადაც აბიტურიენტები მეტწილად კონცენტრირებულნი არიან იმ საგნებზე, რომელთა ჩაბარებაც სჭირდებათ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსახვედრად. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ სკოლის ადმინისტრაციამ, ისევე, როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, გადახედონ არსებულ მიდგომებს, მოხდეს უნივერსიტეტში ჩარიცხვის პროცესის ოპტიმიზაცია იმგვარად, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის აუცილებელი საგნების პარალელურად, გარკვეული მნიშვნელობა შეიძინოს სხვა დისციპლინებმაც.

რეკომენდაცია 7:
შეფასების სისტემის რეფორმა

საქართველოს სკოლებში შეფასების სისტემა მკაცრად ორიენტირებულია მოსწავლის ცოდნის შეფასებაზე და მხედველობაში არ იღებს მის ქცევით ასპექტებს. მსგავსი მიდგომა საკმარისად არ/ვერ ახალისებს მოსწავლეს ღირებულებების შესწავლის მხრივ. შესაბამისად, შეიძლება ღირებული ყოფილიყო გრძელვადიან პერსპექტივაში შეფასების სისტემის რეფორმაზე ფიქრის დაწყება.

ამ მხრივ შეიძლება საინტერესო და ინფორმაციული იყოს ფინეთის განათლების სისტემა. ფინეთის ეროვნული სასწავლო გეგმა ქცევის შეფასების სათაურის ქვეშ მოიცავს ღირებულებების შეფასების სახელმძღვანელო პრინციპებს. „აღნიშნულ ქცევის შეფასებასთან ერთად, რაც მიიჩნევა პიროვნული მახასიათებლებისგან დამოუკიდებელ ნაწილად, სხვადასხვა საგანში სტუდენტების მიღწევები აგრეთვე ფასდება სასკოლო წლის განმავლობაში და მის ბოლოს. [იგი] მოიცავს რიცხობრივ ქულას და სიტყვიერ შეფასებას იმაზე, თუ როგორ შეძლო მოსწავლემ კონკრეტული საგნის თემის შიგნით მიზნების მიღწევა. ჩვეულებრივ, სკოლის სასწა-

ვლო გეგმა აკონკრეტებს ქცევით მიზნებს ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე, და სტუდენტის ქცევა ფასდება ამ მიზნებთან მიმართებით“ (ევროპარლამენტი, 2017, გვ. 85). ეს მიზნები მხედველობაში იღებს სკოლის მიზნებს, პოლიტიკას, სკოლის კულტურას და წესებს. სტუდენტები კი არა მხოლოდ იღებენ საკუთარ შედეგებზე უკუკავშირს, არამედ ასევე ჩართული არიან აღნიშნული მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრასა და მათ შესახებ დისკუსიებში (ევროპარლამენტი, 2017, გვ. 86). ეს არ ნიშნავს, რომ ფინეთის მაგალითი უცვლელად უნდა დაინერგოს ქართულ რეალობაში. მართლაც, ყველაზე ოპტიმალური გამოსავალი შეიძლება იყოს სხვადასხვა საუკეთესო პრაქტიკის ნარევი, რომელიც ადაპტირებული იქნება ქართულ კონტექსტთან. ამ რეფორმის მასშტაბი და კონკრეტული ინიციატივები შეიძლება იყოს შემდგომი ინკლუზიური დისკუსიების საგანი.

დასკვნა

ევროპის უნივერსიტეტმა გამოიკვლია ევროპული ღირებულებების, კერძოდ, დემოკრატიისა და ტოლერანტობის, სწავლება საქართველოს სკოლებში პოლიტიკის და პრაქტიკის დონეზე. სამაგიდო კვლევის, მოსწავლეებთან ფოკუსჯგუფების და სკოლის დირექტორებთან ინტერვიუების ყოვლისმომცველი მეთოდოლოგიის გამოყენებით, მოცემულმა კვლევამ შეისწავლა, ისწავლება თუ არა და როგორ ისწავლება ევროპული ღირებულებები საქართველოს სკოლებში. ეს **პოლიტიკის დოკუმენტი** სწორედ ამ კვლევის შედეგებს ეყრდნობა.

როგორც კვლევის შედეგებმა აჩვენა, არსებობს საგრძნობი სხვაობა განათლების პოლიტიკის სასურველ მიზნებსა და სკოლის პრაქტიკას შორის. საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმა კარგად ფორმულირებული დოკუმენტია, რომელიც მოიცავს საჭირო სტანდარტებს. თუმცა, სკოლებს ხშირად აკლიათ ცოდნა, ნება ან დგანან სხვა ტიპის გამოწვევების წინაშე, რაც ართულებს ამ სტანდარტების ყოველდღიურობაში დანერგვას. კერძოდ, მოსწავლეებს აქვთ ნაკლები ცოდნა დემოკრატიული ინსტიტუტების, საკუთარი ეროვნული და კულტურული იდენტობის შესახებ; მათ ხშირად არ აქვთ უსაფრთხო და მხარდამჭერი გარემო ტოლერანტობის, დემოკრატიის, მოქალაქეობის პრაქტიკაში გატარების, მათ შესახებ ღია დისკუსიებისთვის; მასწავლებლების ქცევა, კვალიფიკაცია, მათ ხელთ არსებული ინსტრუმენტები ხშირად ხელს არ უწყობს სასურველი სკოლის კულტურის განვითარებას; სასკოლო შეფასების სისტემა მკაცრად ორიენტირებულია კოგნიტიური ცოდნის შეფასებაზე და უგულებელყოფს მოსწავლის ქცევით ასპექტებს, რაც ართულებს ღირებულებების ფორმირების შეფასებას; დაინტერესებული მხარეების, მათ შორის, ოჯახის, თემის, სამოქალაქო საზოგადოების პასიური, ინდიფერენტული დამოკიდებულება/მიდგომა სასკოლო ცხოვრებისადმი დამატებით აფერხებს გაუმჯობესების პროცესს.

აქედან გამომდინარე, **პოლიტიკის დოკუმენტი** დაინტერესებული მხარეებისთვის იძლევა რეკომენდაციების რამდენიმე ზოგად ჯგუფს, რომელთა გათვალისწინებაც ხელს შეუწყობს პოლიტიკასა და პრაქტიკას შორის განსხვავების აღმოფხვრას:

1. სასწავლო წიგნებსა და სწავლების მეთოდოლოგიაში ცვლილებების განხორციელება;
2. დემოკრატიული ინსტიტუტების შესახებ ცნობიერების ამაღლება;
3. ტოლერანტობისა და თანასწორობის წახალისება;
4. ეროვნული და კულტურული იდენტობის შესახებ ცნობიერების ამაღლება;
5. სკოლების, მოსწავლეების, სამოქალაქო საზოგადოებისა და ყველა დაინტერესებული მხარის ერთობლივი ძალისხმევის (სინერგიის) ხელშეწყობა;
6. სასკოლო კულტურის განვითარება;
7. სასკოლო შეფასების სისტემის რეფორმირება.

ევროპის უნივერსიტეტი გამოხატავს მზადყოფნას, დაინტერესებულ მხარეებთან გააგრძელოს მუშაობა აღნიშნული პრობლემის დასაძლევად, საქართველოს სკოლებში ევროპული ღირებულებების სწავლების გასაუმჯობესებლად და ამ გზით საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესისთვის უფრო მტკიცე საფუძვლის შესაქმნელად.

გამოყენებული ლიტერატურა

Agostini, C. & Capano, G. (2012). „Education Policy: Comparing EU Developments and National Policies“. In: ETUI (2012). *Social Developments in the European Union*. 14th Annual Report, pp. 147-180.

Andguladze, N. & Mindadze, I. (2015). “Georgia”. In: W. Horner, H. Dobert, L. R. Reuter, & B. v. Kopp (*Eds.*). *The Education Systems of Europe*. Heidelberg: Springer Reference, 2nd edition, pp. 293-304.

Cankaya, S. Kutlu, O, & Cebeci, E. (2015). The Education Policy of the European Union. *Procedia – Social and Behavioral Sciences*, 174, pp. 886-893.

Chankseliani, M. (2013). Higher education access in post-Soviet Georgia: Overcoming a legacy of corruption. In Meyer, H., John, E. P., Chankseliani, M. & Uribe, L. (*Eds.*). *Fairness in access to higher education in a global perspective: Reconciling excellence, efficiency, and justice.* pp. 171-187.

Chelidze, G., Kardava, E. & Bragvadze, Z. (2020). *Process of European Association in Georgia: A Handbook for Teachers of History and Civic Education*. Tbilisi: Caucasus University Publishing House.

CIVED (1999). *IEA Civic Education Study*. Amsterdam: IEA

Commersant. (2019). *Statement of the Georgian Prime Minister on Education Funding in Georgia*. Retrieved from: https://commersant.ge/ge/post/mamuka-baxtadze-gvsurs-ganatlebis-wili-mtlian-shida-produqtshi-11-procentamde-gavzardot

Council of Europe (2010). *Council of Europe charter on education for democratic citizenship and human rights education: Recommendation Cm/Rec(2010)7*. Strasbourg: Council of Europe Pub.

Dolata, R., Kosela, K., Wiłkomirska, A. & Zielińska, A. (2004). *Młodzi obywatele. Wyniki międzynarodowych badań młodzieży [Young citizens. Results of the international studies of youth]*. Warsaw: Warsaw University press.

European Parliament (2017). *Research for CULT Committee – Teaching Common Values in Europe*. Brussels: European Union.

EURYDICE (2016). *Promoting citizenship and the common values of freedom, tolerance and non-discrimination through education*. Luxembourg: Publications Office of the European Union.

EURYDICE (2012). *Citizenship education in Europe*. Brussels: Education, Audiovisual and Culture Executive Agency.

Giroux, H. (1989). *Schooling for democracy*. London: Routledge.

Gorgodze, S. (2016). Rise and Fall of Decentralized School Governance--Decision-Making Practices in Georgia. *International Education Studies*, 9 (11), pp. 25-39.

Grover, S. (2007). Children’s right to be educated for tolerance: minority rights and inclusion. *Education and Law*, 19(1), pp. 59-70

Harecker, G. (2016). *Teaching Values at School: a Way to Reach a Better Understanding in Our World*. Retrieved on 15 May 2021 from https://conference.pixel-online.net/conferences/science/common/download/Paper_pdf/325-IBL26-FP-Harecker-NPSE2012.pdf

Held, D. (2006). *Models of democracy*. Cambridge: Polity.

Hoskins, B., Abs, H., Han, C., Kerr, D. & Veugelers, W. (2012). *Participatory citizenship in the European Union*. Brussels: European Commission.

Iberdrola (2021). *What is Values Education? The importance of values education in today’s society.* Retrieved on 15 May 2021 from https://www.iberdrola.com/talent/value-education

ICCS (2016). *Assessment framework*. Amsterdam: IEA.

ICCS (2010a). *ICCS 2009 International Report. Civic knowledge, attitudes and engagement among lower secondary school students in thirty-eight countries*. Amsterdam: IEA.

ICCS (2010b). *ICCS 2009 European Report. Civic knowledge, attitudes and engagement among lower secondary school students in 24 European countries*. Amsterdam: IEA.

Illeris, K. (2009). *Theories of learning*. London: Routledge.

Jakeli, T. & Silagadze, N. (2018). *Curriculum – The Way of Improving Pedagogical Practice: Conceptual and Methodological Guideline for the Third-Generation National Curriculum of Georgia.* Tbilisi: Ministry of Education, Science, Culture and Sports of Georgia, Republic of Estonia Government, UNICEF.

Janashia, N. (2004). *Corruption and higher education in Georgia*. Boston: Center for International Higher Education.

Kim, S. K. (2011). Democrazy? Democracy through education reform in the Republic of Georgia. *Journal of Comparative & International Higher Education*, 3 (Spring), pp. 15-17.

Kuusisto, E., Gholami, K. & Tirri, K. (2016). Finnish and Iranian teachers' views on their competence to teach purpose. *Journal of Education for Teaching*, 42(5), pp. 541-555.

Lange, D. (2008). Citizenship Education in Germany. In: Viola B. Georgi (*Ed.*). *The making of citizens in Europe. New perspectives on citizenship education*. Bonn: Bpb (Schriftenreihe der Bundeszentrale für Politische Bildung), pp. (89–95).

Lifelong Learning Platform (2018). *Guidebook to EU Decision-Making in Education and Training*. Brussels: Author.

Mekhuzla, S., & Roche, A. (2009). *National Minorities and Educational Reform in Georgia.* Tbilisi: European Center for Minority Issues. Retrieved July 10, 2021, from https://www.files.ethz.ch/isn/106681/working_paper_46_en.pdf

Ministry of Education and Science of Georgia (2021). Implementation of the Third-Generation National Curriculum – 2021-2022 Academic Year: Interventions and Participants' Functions. Tbilisi: Ministry of Education and Science of Georgia.

Ministry of Education, Science, Culture and Sport of Georgia (2020a). *New School Mode: Annual Report*. Tbilisi: Ministry of Education and Science of Georgia.

Ministry of Education, Science, Culture and Sport of Georgia (2020b). *Report on Distance Teaching and Learning and the New School Model [„ახალი სკოლის მოდელი" დისტანციური სწავლებისას]*. Tbilisi: Ministry of Education and Science of Georgia.

Ministry of Education, Science, Culture and Sport of Georgia (2020c). *The "new school model" is moving to a large scale*. Retrieved on 9 October 2021 from: https://mes.gov.ge/oldmes/content.php?id=10021&lang=eng

Ministry of Education, Science, Culture and Sport of Georgia. (2019a). *Midterm Evaluation of the Implementation of Unified Strategy for Education and Science 2017–2021.* https://mes.gov.ge/uploads/files/Midterm%20evaluation_education%20strategy_ENG_final.pdf

Ministry of Education, Science, Culture and Sport of Georgia (2019b). *2019, January the 18th order #48 of the Minister of Education, Science, Culture and Sports on the approval of "General Education Reform Support" programme*. Retrieved on 8 October 2021 from: shorturl.at/msvJ0

Ministry of Education, Science, Culture and Sport of Georgia (2019). *2019 Summative Forum to Discuss 'the New School Model' Outcomes*. Retrieved on 8 October 2021 from: https://bit.ly/2ZISH8N

National Core Curriculum for Basic Education (NCCBE) (2014). Helsinki, Finland, National Board of Education: The State Printing Press.

National Curriculum Portal (2016). *National Curriculum of Georgia*. Retrieved on 25 April 2021 from: http://ncp.ge/files/ESG/NC%202018-2024/ესგ%20-%202018%20წლის%207%20სექტემბრიდან.pdf

National Curriculum Portal (2015). *Civic Education: Grade IX*. http://ncp.ge/ge/curriculum?subject=38&subchild=78

National Curriculum Portal (n.d.). *The New National Curriculum 2018-2024*. Retrieved June 10, 2021, from http://ncp.ge/

Nucci, L., Krettenauer, T., & Narvaez, D. (2014). *Handbook of Moral and Character Education*. London: Routledge.

OECD (2019). *OECD Reviews of Evaluation and Assessment in Education: Georgia.* OECD. Retrieved on July 9 2021 from https://www.oecd-ilibrary.org/docserver/bbc437ae-en.pdf?expires=1627447393&id=id&accname=guest&checksum=BCB-0F479E30294ED7454C8FFA5FE1AA3

Official Journal of the European Union (2016). *Consolidated version of the treaty on European Union*. C202/17

Parjanadze, N., & Kapanadze, I. (2016). Equity in Access to Higher Education for Special Needs and Socially Deprived Students in Georgia. *Journal of Education in Black Sea Region, 2*(1), pp. 55-72.

Parliament of Georgia. (August 24, 1995). *Constitution of Georgia (Consolidated Version)*. Parliament of the Republic of Georgia. Available at: https://matsne.gov.ge/en/document/view/30346?publication=36 [accessed 14 June 2021]

Parliament of Georgia. (2005, April 08). *Law of Georgia on General Education*. Retrieved July 12, 2021, from Legislative Herald of Georgia: https://matsne.gov.ge/en/document/view/29248?publication=68

Putman, R.D. (2000). *Bowling Alone*. New York: Simon & Schuster.

Rasanen, R. (2007). Intercultural education as education for global responsibility. In: T. Kaivola & M. Melen-Paaso (*Eds.*). *Education for global responsibilities. Finnish Perspectives*. Publications of the Ministry of Education 2007: 31. Helsinki: Helsinki University Press, pp. 18-30.

Schuitema, J. & Veugelers, W. (2011). Multicultural contacts in education. *Educational Studies*, 37(1), pp. 101-114.

Schmidt-Braul, I.-E. M., & Kopp, B. v. (2007). "Georgia". In: W. Horner, H. Dobert, B. v. Kopp, & W. Mitter (*Eds.*). *The Education Systems of Europe*. Dordrecht: Springer, pp. 284-298.

Shady, S. (2010). Tolerance, empathy, or inclusion? Insights from Martin Buber. *Educational Theory*, 60(1), pp. 81-96.

Sharvashidze, G. (2003). Educational reform, curriculum change and teacher education in Georgia. *Teacher training and curriculum reform in the South Caucasus region: From vision to practice*, 37-39.

Solomon, D., Watson, M., & Battistich, V.A. (2001). "Teaching and schooling effects on moral/prosocial development". In: Richardson, V. (*Ed.*). *Handbook of Research on Teaching*. 4th edition, Washington: AERA, pp. 566-603.

Talib, M-T., Lofstrom, J. & Meri, M. (2004). *Kultturit ja koulu. Avaima opettejaille. [Cultures and school. Keys for teachers]*. Helsinki: WSOY.

Tirri, K. (2008). Introduction. In: Tirri, K. (*Ed.*). *Educating Moral Sensibilities in Urban Schools.* Rotterdam/Taipei: Sense Publishers.

Tirri, K. & Kuusisto, E. (2013). How Finland serves gifted and talented pupils. *Journal of the Education of the Gifted*, 36(1), pp. 84-96.

Torney-Purta, J., Lehmann, R., Oswald, H. & Schulz, W. (2001). *Citizenship and education in 28 countries, civic knowledge and engagement at age fourteen (ICCS)*. International Association for Evaluation of Educational Achievement (IEA).

Van Driel, B., Darmody, M., & Kerzil, J. (2016). *Education policies and practices to foster tolerance, respect for diversity and civic responsibility in children and young people in the EU*. NESET II report. Luxembourg: Publications Office of the European Union.

Veugelers, W. (2011). *Education and humanism*. Rotterdam: Sense Publishers

Veugelers, W. & Vedder, P. (2003). Values in teaching. *Teachers & Teaching*, 9(4), pp. 377 – 390.

Volante, L. & Ritzen, J. (2016). The European Union, education governance and international education surveys. *Policy Futures in Education*, 14 (7), pp. 988-1004.

Zachorska, M., Papiór, E. & Roszkowska, M. (2013). *Obywatele czy poddani? Młodzież szkolna a demokracja. [Citizens or subjects? School youth and democracy].* Warszawa: Wydawnictwo Akademickie „Żak".

საველე სამუშაოების მონაწილე სტუდენტ-მკვლევრები:

მარიამ ესიაშვილი
გიორგი ჯაჭვაძე
მარიამ ნატრაძე
მარიამ მესხი
თამთა ქვრივიშვილი
ნიკა ხომასურიძე
ნუცა ცირეკიძე
მარიამ ჯინჯიხაძე
ეკატერინე დოინჯაშვილი
თინათინ ხაბეიშვილი
ნინო ფარსადანიშვილი
ნინო ზოტიკიშვილი
თამარ ტყემალაძე
ანა გოგოჩიშვილი
თორნიკე ჩიხლაძე
ანა ჩაკვეტაძე
ანა ქირია
ელენა ქერდიყოშვილი
ინგა ფუტკარაძე
კონსტანტინე ხოფერია
აისუნ მამედოვა
მარი მანველიშვილი
ანჟელა გურეგიანი
მერი კვარიანთაშვილი
გვანცა ძიძიგური
სალომე მახათაძე
თეონა ლაფერიშვილი
ნათია ტოტოღაშვილი
ანი გეჯაძე
ნუცა ცირეკიძე

„ევროპული ღირებულებებისა და სტანდარტების განვითარება საქართველოს სკოლებში“ (620893-EPP-1-2020-1-GE-EPPJMO-PROJECT), იგივე EU-GS, გახლავთ ერასმუს+ ჟან მონეს პროექტი (2020-2022), თანადაფინანსებული ევროკავშირის მხრიდან და განხორციელებული შპს ევროპის უნივერსიტეტის მიერ.

პროექტს აქვს ამბიციური მიზანი, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გზაზე ხელი შეუწყოს საქართველოს საშუალო განათლების სისტემის ევროპეიზაციის მიმართულებით.

გეოგრაფიული არეალი: საქართველოს 10 რეგიონის ქალაქები (გორი, რუსთავი, მარნეული, ახალქალაქი, ბორჯომი, ზუგდიდი, მესტია, ამბროლაური, მცხეთა, თელავი, ქუთაისი, ლანჩხუთი, ბათუმი) და თბილისი

სამიზნე აუდიტორია: საშუალო სკოლის დირექტორები; საგანმანათლებლო ექსპერტები; პედაგოგები და სკოლის მოსწავლეები თბილისსა და რეგიონებში; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საგანმანათლებლო რესურს ცენტრები, მასწავლებელთა სახლი, უნივერსიტეტები.

საბოლოო ბენეფიციარები: საქართველოს მე –11 და მე –12 კლასის მოსწავლეები და მასწავლებლები (თბილისსა და რეგიონებში)

www.eu-gs.ge

info@eu-gs.ge